

exclusive



„იბელზე“ გრიგოლიას გადაცემა დასურეს

exclusive

ნიკა გვარამია: „კომენტარს ვერ გავაკეთებ მამ საკითხზე. ჯერ ახალი ამბავია და, შესაბამისად, არ გვიფიქრია“


სად გააბრძოლებს ჟურნალისტი საქმიანობას



მანანა კობახიძე:
 „თუ არ იქნება პოლიტიკური ნება, ნებისმიერი რეფორმის შემთხვევაში, მაინც შესაძლებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა“

რა ცვლილებები იგეგმება პროკურატურაში?

რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე დივერსიულ აქტებს განაგრძობს



„უნდა ველოდოდო დივერსიულ აქტებს ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე“
 „რუსეთმა რამდენჯერმე, კულუარულადაც და ღიადაც, გააფრთხილა ქართული მხარე, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა“

კრიმინალური ექსკლუზივი

სატელეფონო საუბრები და „ფაისბუქის“ მიმონერა ვაზაგაშვილის აფეთქების საქმეში

ვის ესაუბრა სოსანაშვილი საფრანგეთში?

exclusive

რა კავშირი ჰქონდა მას ოქროყანაში მოკლულ კალმელენავთან?





exclusive


რა ჯდება სიკვდილი საქართველოში?



სავალუტო კრიზისის გამო დაკრძალვა განვაღებთ გაუქმებულთა

საქართველოში

საქართველოში



ერთ დღეს მომხდარი ორი მკვლელობა და დანაშაულის საერთო ხელნაწი

„მამამ დანაშაული თავიდან აირიდა, არასრულწლოვანს არჩადენილი მკვლელობა აღიარებინა და შედეგად, მართლმსაჯულებას ორივე დაუძვრა“

exclusive



რა აკავშირებს „ალი და ნინოს“ ავტორს ბიძინა ივანიშვილთან?

თამარ კვეციანი: „ერთ-ერთ გამოფენაზე, ჩემი ნამუშევრების დიდი ნაწილი ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა“



„იბელზე“ ბრიგოლიას გადაცემები დასურეს

ერთ დღეა



სად გააბრძოლებს საქმიანობას შურნალისტი?

ინგა ბრიგოლია: „პროდიუსერობას ვბეჭავ, მაგრამ „იბელზე“ არა“

ნიკა გვარამია: „ჯერ ახალი ამბავია და კომენტარს ვერ გავაკეთებ“



N27, ორშაბათი, 14 სექტემბერი, 2009 წ.

მირიან ბოქლოიშვილი

საქართველოში პოლიტიკური გადაცემების დასურვა ახალი ხილი ნამდვილად არ გახლავთ. როგორც ჩანს, ტრადიცია გრძელდება და ამჯერადაც მთავარი სამიზნე ინგა ბრიგოლია აღმოჩნდა. საზოგადოებრივი შერეული შვეულენობიდან დაბრუნებულ შურნალისტსა და შემოქმედებით ჯგუფს არხის ხელმძღვანელობამ მოულოდნელი განაწყვეტილება დააბეჭდა. საზოგადოებას კი სპეციალური განცხადებით ამცნო, რომ არსზე ყველა პოლიტიკური თოქშოუ დროებით, 2016 წლამდე დაიხურა. როგორც ჩანს ტექსტი სახელდახლოდ არის შედგენილი, რაზეც გრამატიკული შეცდომებიც შეტყვევებს (სტილი დაცულია - ავტ).

„სამემოდგომო სატელევიზიო სეზონზე ტელეკომპანია იმედი დროებით აჩერებს საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუების სეგმენტს. ამის მიზეზია ჩვენი სურვილი შევცვალოდ არსებული გადაცემების ფორმატი და შევიშოშოოდ თვისობრივად ახალი სატელევიზიო პროდუქტი, რომელსაც შევთავაზებთ მალევე და 2016 წლიდან“.

ამავე განცხადებაში დიდი მადლობა გვიხდა გადაუხადლოთ გადაცემების გუნდის წევრებს, რომელთაც თითოეულს დიდი წვლილი აქვს შეტანილი იმედის საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქშოუების შექმნაში“ - ნათქვამია ტელეკომპანიის „იმედის“ განცხადებაში.
რა გახდა ყველაზე რეიტინგული და შესაბამისად, ფინანსურად მომგებიანი გადაცემების დასურვის მიზეზი? ეს კითხვა განსაკუთრებით აქტუალურია, რადგან კარს არის მომდგარი ახალი სატელევიზიო სეზონი და ყველა ტელევიზია ცდილობს დასაყრდენს „დაბმას“. დგას თუ არა ამ გადაწყვეტილების უკან პოლიტიკური დაკვირვა? ჩვენ გვსურდა ამ კითხვებზე განმარტება თავად „იმედის“ ხელმძღვანელობას გადაეცემინა, თუმცა ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი გიორგი ბახტაძე მთელი დღის განმავლობაში არ პასუხობდა სატელეფონო ზარებს. „იმედის“ მმართველი კომპანიის დირექტორის, ირაკლი რუხაძის მოადგილე, დავით შონია (ტელეკომპანიის ყოფილი ფინანსური დირექტორი) კი ამბობს, რომ ეს საკითხი მას არ ეხება.

სად და რომელ არხზე განაგრძობს საქმიანობას ინგა ბრიგოლია? მოულოდნელი განაწყვეტილების შემდეგ შურნალისტი საზოგადოებრივი გამოსვლები არ არის, თუმცა ადასტურებს, რომ მუშაობას და ამჯერად ძალუბს პროდიუსერობა შესთავაზა... „პრაიმტაიმთან“ საუბრისას გრიგოლია ამბობს, რომ ტელეკომპანიის ხელმძღვანელობამ გადაცემის დასურვის ალტერნატივად ვებგვერდზე მუშაობა და პროდიუსერობა შესთავაზა... „ამერიკაში ვიყავი წასული, სახელმწიფო დეპარტამენტის მედი-პროგრამაზე და იქ ვლაპარაკობდი სიტყვის თავისუფლებასა და მის ხარისხზე ჩვენს ქვეყანაში. ჩამოვფრინდი და მითხრეს, რომ გადაცემა დაიხურა. ნამდვილად არ ვიცოდი. უფრო მეტიც, ჩემი პრომო, რომელიც ეთერში უნდა გასულიყო, ზუსტად იმ დღეს დამთავრდა. მითხრეს, რომ, თუ სურვილი მექნება, შემიძლია, ვიმუშაო ვებგვერდზე ან რომელიმე გადაცემის პროდიუსერად, მაგრამ ამ ეტაპზე ჩემი ინტერესი ეს არ არის. პროდიუსერობას ვეგებავ, მაგრამ ამ გადაწყვეტილების შემდეგ ვეჭვობ, რომ „იმედზე“ აღარ“. - განაცხადა ინგა ბრიგოლიამ „პრაიმტაიმთან“ საუბრისას.

შურნალისტი ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, სად შეიძლება გააგრძელოს საქმიანობა, თუმცა გადაცემების დასურვიდან მალევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, გრიგოლია „რუსთავი 2“-ის სახე გახდეს. ინფორმაციის გადასამოწმებლად ჩვენ „რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორს, ნიკა გვარამიას დაუუკავშირდით.
„კომენტარს ვერ გავაკეთებ მაგ საკითხზე. ჯერ ახალი ამბავია და, შესაბამისად, არ გვიფიქრია. ასევე, ჩემი მხრიდან მიზანშეუწონელია სხვა არხის გადაწყვეტილების შეფასება“, - აღნიშნა ჩვენთან საუბრისას გვარამიამ.
მედიაექსპერტი ია ანთაძე ტელეკომპანია „იმედზე“ ინგა ბრიგოლიას გადაცემების დასურვას საარჩევნო წლის მოახლოვებას უკავშირებს და ამბობს, რომ შესაძლოა გრიგოლია არხის სტრატეგიაში არ ფიქრება. ანთაძე ვარაუდობს, რომ მალე გრიგოლია სხვა არხზე გამოჩნდება.
„უცნაური განაწყვეტილებაა, რადგან სულ მალე ახალი სატელევიზიო სეზონი იწყება. მგონი, დაგვიანებული იყო ამ გადაწყვეტილების გამოცხადება. ცხადია, ეს საკითხი დღეს და გუშინ არ განაწყვეტებდა. ალბათ, კარგახანია ფიქრობენ საერთო ბაზე როგორ დალაგონ. ამიტომ, მგონია, რომ ბევრად გვიან გაასაჯაროვეს, ვიდრე გადაწყვეტილება იყო მიღებული“.

შეგვიძლია, ვივარაუდოთ, რომ ინგა ბრიგოლია (ციკლი და უკვე არსებობს ხედევა, ესა თუ ის ტელევიზია, როგორ უნდა შეხვდეს საარჩევნო წელს. შესაძლოა, ეს არის ტელეკომპანიის სტრატეგია და ამ სტრატეგიაში არ ჯდება ინგა ბრიგოლია.
არა მგონია, რომ ეს იყო ხელისუფლების მითითება, რადგან ასე მდიდრი გაკონტროლება შეუძლებელია. მოგხსენებთ, როდესაც ერთი კარი იხურება, იქვე იხსნება მეორე კარი“. - ამბობს ია ანთაძე.
თავად გრიგოლია კი ეჭვებს, რომ ეს პოლიტიკურად მოტივირებული გადაწყვეტილება იყო, რომელიც ტელეკომპანია „იმედმა“ გააფორმა.
„ორივე გადაცემა რეიტინგული იყო და არც ერთი ნორმალური ტელევიზია რეიტინგულ გადაცემებს არ ხურავს, ამიტომ მაქვს უფლება, ვიფიქრო, რომ ეს არის პოლიტიკური გადაწყვეტილება. მათ განცხადებაში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ამ ეტაპზე ტელევიზია პოლიტიკურ მოუბზე უარს ამბობს“, - აცხადებს გრიგოლია.
ასევე, გავრცელდა ინფორმაცია, რომ შესაძლოა, „იმედზე“ ინგა ბრიგოლია ურნალისტმა ნანა ლეჟავამ ჩაანაცვლოს. ამ ინფორმაციას პირად საუბრებში თავად არხის ურნალისტი ავრცელებდნენ, თუმცა „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ლეჟავა „იმედის“ ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებებს კატეგორიულად უარყოფს.
„არანაირი შემთავაზება „იმედთან“ არ ყოფილა. საერთოდ კონტაქტი არ მაქვს. ჩემს კოლეგებს ვეკონტაქტები, ინგას, სხვებს, ვსაუბრობო ტელეფონით, მაგრამ ხელმძღვანელობასთან და ვინც „იმედში“ რაიმე გადაწყვეტილებას იღებს, არანაირი კონტაქტი არ მაქონია“, - განუცხადა „პრაიმტაიმს“ ნანა ლეჟავამ.
ტელეკომპანიის ხელმძღვანელობისგან მეტ განმარტებებს ითხოვს „რეაქცია“ და „იმედის კვირის“ შემოქმედებითი ჯგუფიც. ამ გადაცემების სტაფთან არხის ხელმძღვანელი შეხვედრას დღეს გამართავს, რის შემდეგაც გაიკვევება, დარჩებიან თუ არა არხზე ამ ორი გადაცემის პროდიუსერები და შურნალისტები. ამბობენ, რომ ტელეკომპანიის დირექტორი მათ სამუშაო ადგილების შენარჩუნებას სთავაზობს.
„ჯერჯერობით არ ვიცი, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. დაგვიძლია შეხვედრა დირექტორთან და, ალბათ, გვეტყვიან, რა და როგორ იქნება ჩვენთან დაკავშირებით“, - ამბობს „რეაქციის“ პროდიუსერი ენო ხუზიაშვილი.
ერთ-ერთი ინფორმაციით კი, სტაფის ნაწილი შესაძლოა, ტელეკომპანია „იბელზე“ ვიხილოთ, რომელიც მალე დასურვდება სრულფასოვან ალდგენას გეგმავს.



ინგა ბრიგოლია

„ჯერჯერობით არ ვიცი, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული. დაგვიძლია შეხვედრა დირექტორთან და, ალბათ, გვეტყვიან, რა და როგორ იქნება ჩვენთან დაკავშირებით“

მირიან ბოქლოიშვილი
სექსუალურ ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობები და არასრულწლოვნების ბურუსით მოცული საქმეები... ამ თემით „პრაიმტაიმში“ მას შემდეგ დაინტერესდა, რაც დროის ერთსა და იმავე მონაკვეთში ორი გახმაურებული მკვლელობა მოხდა. ორივე შემთხვევაში საქმეში არასრულწლოვანი გოგონა ფიგურირებს, დანაშაულის ხელნერა კი ერთმანეთს ძალიან ჰგავს: მამა, რომელმაც არასრულწლოვან შვილზე სექსუალური ძალადობის შესახებ შეიტყო, მოძალადე სიცოცხლეს გამოასალმა, თუმცა არსებობს მთელი რიგი გარემოებები, რაც ორივე მკვლელობის შემთხვევაში ძალადობის მოტივს ეჭვქვეშ აყენებს.
რამდენიმე დღის წინ სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა 19 წლის დავით ხიზანიძის მკვლელობაში ბრალდებულ კ.ფ.-ს და მას 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მოუსჯავ. მკვლელობა, რომელიც გასული წლის 15 დეკემბერს მოხდა, იმთავითვე მედიის ყურადღების ცენტრში მოექცა. პრესა წერდა, რომ ვარკეთილში შუახნის მამაკაცმა არასრულწლოვანი შვილის შეყვარებული სიცოცხლეს გამოასალმა.
გარდაცვლილის ოჯახი მკვლელობის მოტივად შურისძიებას ასახელებს და ამბობს, რომ ხიზანიძის სახლიდან არასრულწლოვანმა გოგონამ ნ.ფ.-მ გამოიყვანა და ოჯახის წევრებს მოაკლევინა.
„ჩემი შვილი ნ.მ-მ გაიტყუა სახლიდან, შემდეგ კი დააბეჭდა მამა“.

„მოსაკლავად დამდევენ, მეძინა, ვიღაცები ამოვარდნილან სასლში, თურმე პარზე აბრახუნებდნენ“

ბაბუა და ბიძა, რომლებიც ჩასდნენ ჩემი შვილის ავტომობილში და სცემეს იგი. შემდეგ კი მამამ, რომელიც უკან იჯდა, ჩემი შვილი ცივი იარაღის მხლობდა მამის, არამედ ბაბუსა და ბიძის გასამართლებლად, რაზეც იმედი გვაქვს, რომ პროკურატურა გამოძიებს დაიწყებს... - ამბობს გარდაცვლილის დედა.
მკვლელობას წინ უძღოდა მიმწერა სოციალურ ქსელში, სადაც ხარაზიმბეილი მეგობარს ატყობინებდა, რომ მოსაკლავად დასდევდნენ.
„მოსაკლავად დამდევენ, მეძინა, ვიღაცები ამოვარდნილან სასლში, თურმე პარზე აბრახუნებდნენ. დედაჩემმა მითხრა, ვინმეს რამე ხომ არ დაუბუფო. არ ვიცი, ვინ იყვნენ. მაცი მანქანიდან ყოფილან, ჯერ კორპუსის წინა მხრიდან მოსულან, მერე უკან დაუყენებიათ მანქანა. მეზობლისთვის უკითხავთ, ხარაზიმბეილი აქ ცხოვრობსო? აბრახუნებდნენ თურმე ჩვენს კარზე, მერე მეზობლის კარზე. არ ვიცი, ვინ შეიძლება ყოფილიყო, არათვისის არაფერი მინყენინებია. მით უმეტეს, ისეთი, რომ ცაცები დამდგომოდნენ სასლში. გაკვირვებული ვარ“, - წერდა ხარაზიმბეილი მეგობარს გარდაცვლილთან.
ბუნებრივად ჩნდება კითხვა - რა გახდა მკვლელობის მოტივი? თავად ბრალდებულის ოჯახი სექსუალური ძალადობაზე საუბრობს, თუმცა შესახებაც არასრულწლოვანმა გოგონამ დედას უამბო, დედამ კი ოჯახის უფროსებს შეატყობინა.
ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ 15 წლის შვილის გაუპატიურების გამო

ეს მომხდარი ორი მკვლელობა ნაშაულის საერთო ხელნერა

იხილეთ ვ.ფ.მ. თუმცა გარდაცვლილის ოჯახი სექსუალურ ძალადობას გამოიხატავს და ირწმუნება, გოგონა კვლავაც ქალიშვილია. ხარაზიშვილის დედა, ხათუნა ელიზბარაშვილი აცხადებს, რომ ნ.ფ.მ. ოჯახის წევრებს მიაწოდა ცრუ ინფორმაცია, თითქოს დათო ხარაზიშვილი იმ გააუბატიურა. ცრუ ინფორმაციის მიზანშეწონიერება კი გარდაცვლილის ოჯახი იმას ასახელებს, რომ „გოგონას დათო უყვარდა, თუმცა ბიჭისგან იმავს არ გრძობდა“.

არასრულწლოვნის გაუბატიურებაში დარწმუნებულია ბრალდებულის ოჯახი, რომლის ადვოკატებმაც გასულ კვირას ექსპერტიზის დასკვნა გაასაჯაროვეს. „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ადვოკატმა ირმა ბრეკლიძემ განაცხადა, რომ ნ.ფ.მ-ს საქალაქო სასამართლომ დააკისრა პატივსაცემი აღმკვეთი სასჯელი.

„ექსპერტიზის დასკვნაში შავი თეთრი ნერია, რომ საქალაქო სასამართლოს მთლიანობა დარღვეულია, არ არის მთელი. მისი დარღვევის ხანდაზმულობის დადგენა ამჟამად შეუძლებელია, ვინაიდან გასულია 2 კვირაზე მეტი დრო. ნ.ფ.მ-ს უკანა ტანის არეში აღენიშნება მორუხო მოთეთრო ფერის უსწორმასწორო ნაპირების მქონე ნაწილები, რაც წარმოადგენს ნასკდომის შეხორცების შემდეგ კვალს. მიყენებული უნდა იყოს მკვირივი ან ზღაგვი საგნის მოქმედებით. ხანდაზმულობის დადგენა ამჟამად შეუძლებელია, რადგან გასულია 2 კვირაზე მეტი დრო“, – აღნიშნულია დასკვნაში.

მიუხედავად ამისა, კვლავაც დაუდგენელი რჩება, ადგილი ჰქონდა თუ არა სექსუალურ ძალადობას, რადგან თავად ექსპერტიზის დასკვნაშივე ვითხოვლობთ, რომ „გაუბატიურების ფაქტის დადგენა არ შედის სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიკომპეტენციაში“.

აქედან გამომდინარე, რთულია იმის თქმა, არასრულწლოვანი გაუბატიურებულია, თუ ეს სექსუალური კავშირი ნებაყოფლობით შედგა. ბრალდებულის ადვოკატის მტკიცებით, ნ.ფ.მ. მამამ, მას შემდეგ რაც შვილის გაუბატიურების შესახებ შეიტყო, დათო ხარაზიშვილი გოგონას ბაბუსთან და ბიძასთან ერთად წაიხი, რათა ვითარებაში გარკვეულიყო, თუმცა მკვლელობა მას არ ჩაუდგინა. ადვოკატი შემთხვევის ადგილზე მყოფ გამოძიებით დაუდგინდა პირზე მიუთითებს, რომელსაც შესაძლოა, ეს დანაშაული უკავშირდებოდეს.

კიდევ უფრო ბურუსით არის მოცული გასული წელს, ზუსტად იმავე დღეს ხუდადოვის ქუჩაზე მომხდარი მკვლელობა. ამ შემთხვევაშიც საქმეში არასრულწლოვანი ფიგურირებს, მკვლელობის მოტივად კი, ასევე, სექსუალური ძალადობა სახელდება, თუმცა აქაც ბევრი ეჭვი და კითხვის ნიშანია.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ, აღიარებით ჩვენების მიუხედავად, 41 წლის თემურ გეგელიძის მკვლელობისთვის პასუხისმგებლობა არავინ მიუციათ. აღიარებითი ჩვენება გამოძიებას არასრულწლოვანს გოგონამ მისცა, რომელიც ამტკიცებს, რომ მამაკაცი მასზე სექსუალურ ძალადობას ახორციელებდა და მკვლელობა თავდაცვის მიზნით ჩაიდინა. გარდაცვლილის ოჯახი კი დარწმუნებულია, რომ მკვლელობა გოგონას არ ჩაუდგინა და თემურ გეგელიძე სიციცხლე არასრულწლოვნის მამამ გამოასაღმა.

16 წლის ს.გ. პოლიციის განყოფილებაში იმავე დღეს გადაიყვანეს, თუმცა ერთსაათიანი დაკითხვისა და აღიარებითი ჩვენების შემდეგ გაათავისუფლეს. გარდაცვლილის ოჯახის ადვოკატი „პრაიმტაიმთან“ საუბრისას ირწმუნება, რომ ეს იყო კარგად დაგეგმილი მკვლელობა, რომელიც დღემდე ბურუსით არის მოცული.


ადვოკატი თემურ გეგელიძის მიერ არასრულწლოვანთან სექსუალური კავშირის დასტურებს, თუმცა იქვე განმარტავს, რომ მამაკაცს გოგონას ცოლად მოყვანა ჰქონდა დაგეგმილი და ამის შესახებ საკუთარ დასაც ესაუბრა.

რა მოხდა შემდეგ და რატომ დაიბა არასრულწლოვანსა და გეგელიძის შორის ურთიერთობა? რატომ ჩართო საქმეში გოგონას მამა და რეალურად ვინ მოკლა 41 წლის მამაკაცი? ამ კითხვებზე პასუხს გამოძიება არ იძლევა, კომენტარი არ კეთდება არც არასრულწლოვანი გოგონას ოჯახში.



EXCLUSIVE

POLICE LINE DO NOT CROSS



ორივე შემთხვევაში საქმეში არასრულწლოვანი გოგონა ფიგურირებს, დანაშაულის ხელნერა კი ერთგანეთს ქალიან ჰგავს

მოკლულის ოჯახი კი რეალური დანაშაულის გამოვლენასა და პასუხისმგებლობის მიცემას ითხოვს. მათი ინფორმაციით, მამამ დანაშაული თავიდან აირიდა, არასრულწლოვანს არჩადენილი მკვლელობა აღიარებდა და შედეგად, მართლმსაჯულებას ორივე დაუფერა. ადვოკატ ირინე გორგაძის თქმით, რეალურად განზრახ მკვლელობისთვის მამას საკმაოდ მძიმე სასჯელი ელოდა, მით უმეტეს, რომ ის ნარსულში ერთხელ უკვე იყო ნასამართლავი და საბატონო მკვლელობამდე რამდენიმე თვით ადრე დატოვდა. გოგონას აღიარებითი ჩვენების საფუძველზე კი მის მიმართ გამოძიებამ, როგორც ჩანს, საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული შემამსუბ-

უქმელი ზომები გამოიყენა, უტყუარად მიიჩნია, რომ არასრულწლოვანი სექსუალური მოძალადისგან თავს იცავდა და შედეგად, მას სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან განრიდება გაუკეთეს.

ირინე გორგაძე, ადვოკატი:
– რეალურად, ეს იყო განზრახ მკვლელობა, რომელიც არასრულწლოვანს ნამდვილად არ ჩაუდგინა. ამ გოგონამ თემური სახლიდან გაიყვანა, შემდეგ კი მამამისმა მოკლა.
– **რამდენად სერიოზული იყო ურთიერთობა ან გარდაცვლილსა და არასრულწლოვანს შორის?**
– ამ გოგოს პატრონობდა თემური, მთელი მისი შემოსავალი ხმარდებოდა მას. კი ბატონო, ჰქონდათ ურთიერთ-

ობა, მაგრამ ეს იყო ორივე მხარის თანხმობით და თემურს გადანყევტილი ჰქონდა მისი ცოლად მოყვანა. დასაც არაერთხელ უთხრა, რომ ჰყავს შეყვარებული, რომელსაც მალე გააცნობს და მის ცოლად მოყვანასაც აპირებდა. ასაკობრივი სხვაობა საკმაოდ დიდი იყო, მაგრამ ეს გოგო თანხმობდა იყო მასთან ურთიერთობაზე, რადგან პრაქტიკულად ყურადღების მიქცევი არავინ ჰყავდა. თემური „პრეგომი“ მუშაობდა პიცას აცხობდა. ხშირად ეს გოგონაც მიჰყავდა. აქმევდა, უკეთებდა საჩუქრებს, ყიდულობდა ტანსაცმელს. კი ბატონო, დასაჯონ ჯერ რეალური მკვლელი და შემდეგ გამოძიონ არასრულწლოვანთა სექსუალური კავშირი.

– **რატომ გამოიხატავთ, რომ მართლაც სექსუალური ძალადობა ჰქონდა ადგილი და არასრულწლოვანი, უბრალოდ, თავს იცავდა?**

– მე ვსვამ კითხვას – შეიძლება წელიწადნახევრის განმავლობაში ძალადობის ადამიანი შენზე და ხმას არ იღებდეს? ამ ხნის განმავლობაში ჰქონდათ ურთიერთობა და თუ ეს ძალადობით ხდებოდა, რატომ არ ჩააყენა საქმის კურსში ან ოჯახი, ან პოლიცია? წინა დღეს ეს გოგო ჰყოლია სახლში მიყვანილი, აჭამა, უყიდა ჩუსტები... გვიან ღამით მისივე მილი ტელეფონზე და სახლიდან გავიდა. დილაზე რომ არ დაბრუნდა და არც ტელეფონს პასუხობდა, დამ ჯერ სამსახურში დარეკა, შემდეგ კი პოლიციას დაუკავშირდა. ამ დროისთვის პოლიციას უკვე გადაკვეტილი ჰქონდა ხუდადოვის ქუჩა, სადაც #5 სკოლისთან თემურის გვამი იპოვეს. გარდაცვლილს

ჭრილობები სამზარეულოს დანით ჰქონდა მიყენებული. თუ ეს წინასწარ დაგეგმილი მკვლელობა არ იყო, საიდან განაწინა სამზარეულოს დანა?! საქმეში ფიგურირებს მამის მეგობარი ლ.გ. მინდა გითხრა, რომ დანაშაულის ჩადენის შემდეგ არ ირეკება არც პატრულთან, არც სასწრაფოში. ზარი ხორციელდება მხოლოდ მამის მეგობართან. მამა-შვილი მიდიან ვარკეთილის ტერიტორიაზე ლ.გ-სთან, სადაც დაივანა, რომ მკვლელობა თავის თავზე უნდა აეღო არასრულწლოვანს და უნდა ეთქვა, რომ თავს იცავდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ არასრულწლოვანზე გავრცელებულია გარკვეული მელაგაბები და მოახერხებდნენ მის დახმარებას, განსხვავებით მამისგან, რომელიც ნარსულში ნასამართლავი გახლავთ და გაცილებით მძიმე სასჯელი ელოდა, ამ გეგმით წარმოართა საქმე, მკვლელობა მართლაც გოგონამ აიღო საკუთარ თავზე. ფიზიკურად ეს გოგო ამხელა ბიჭს ვერ მოკლავდა. გოგომ გამოიყვანა სახლიდან, დაახვედრა მამა და სიციცხლეს გამოასაღმეს ახალგაზრდა კაცი. შეიძლება ითქვას, რომ ღორღით დაკლეს. ეს არის ამ საქმის ბურუსით მოცული მხარე, რომელიც დღემდე გამოუძიებელია და ახალგაზრდა კაცის მკვლელობისთვის ერთი დღითაც კი არავინ მიუციათ პასუხისმგებლობა.

„პრაიმტაიმთან“ საუბრისას ადვოკატი პირადი საუბრისას, ასევე, იხსენებს ადგილობრივი მაცხოვრებლების მიერ ნათქვამ ფრაზას: „ასეთი ნესიური ბიჭი შემოაკვდა გოგოს მამასო“. ამას ღიად არავინ ადასტურებს, თუმცა ბინის მეპატრონე, სადაც არასრულწლოვნის ოჯახი ქირით ცხოვრობდა, ბევრს საეჭვო გარემოებაზე მიუთითებს. მკვლელობის ღამეს ბინის მეპატრონე დეტალურად იხსენებს.

„ეს გოგო სკოლაში დადიოდა თუ არა, მაგასაც ვერ გეტყვით. თავის ასაკთან შედარებით ზედმეტად გადპარაქული ბავუვი იყო. ვინმესთან მე არ მინახავს, არც იმ ბიჭთან და არც სხვასთან. იმ ღამეს შემოვივიდა პოლიცია, მთელი ღამე გაგვათენებინეს. ნაიყვანეს დედამისი, თავად ეს გოგო სახლში არ იყო, არც მამამისი. მოგვიანებით, ორივე მიუყვანიათ განყოფილებაში და მერე გავრცელებდა ხმა, ამ გოგომ მოკლა ვილაც ბიჭო.“

მე არ ვიცი, ვინ მოკლა კონკრეტულად ეს ბიჭი, მაგრამ ფაქტია, რომ იმ დროს სახლში არც გოგონა და არც მამა არ იმყოფებოდნენ. გოგონა იმავე საღამოს გამოუძვეს და სახლში დაბრუნდა, მაგრამ მე უკვე ამ ოჯახს კატეგორიულად მოვთხოვე, ბინა დეტალურად და სხვაგან გადასულიყვნენ. ამ ამბის შემდეგ მართლაც დაუცლევინე ბინა და გადავიღენ“, – გვიყვება ბინის მეპატრონე.

თემურ გეგელიძის მკვლელობის საეჭვო გარემოებებზე საუბრობენ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებიც. „ადამიანის უფლებათა ცენტრმა“ ამ საქმესთან დაკავშირებით მთავარ პროკურორსაც მიმართა.

ნესტან ლონდარიძე, „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურიტი:

„ჩვენი ორგანიზაცია ამ საქმეში ჩართო ადვოკატის მომართვის საფუძველზე, ვინაიდან საქმეში არსებობს მნიშვნელოვანი დარღვევები. მივმართეთ მთავარ პროკურორს, რომ განსაკუთრებული ყურადღებით გასცნობოდნენ ამ საქმეს და განემარტათ, რატომ არის ამდენი დარღვევა. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე პასუხი არ მიგვიღია. რაც შეეხება დარღვევებს, ფაქტია, რომ არსებობს აღიარება, მაგრამ არანაირი სამართლებრივი გაგრძელება ამ აღიარებას არ მოჰყოლია. საქმეზე არ არიან დაკითხულნი მნიშვნელოვანი მონაწილეები, რომლებზეც დაყვანილია მუამდგომლობა. საუბარია თუნდაც გარდაცვლილის მეგობრებსა და მეზობლებზე, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი ინფორმაციის მინორება საქმის გარემოებების ირგვლივ. ეს დღემდე არ მომხდარა.“

„მამა დანაშაული თავიდან აირიდა, არასრულწლოვანს არჩადენილი მკვლელობა აღიარებდა და შედეგად, მართლმსაჯულებას კორივე დაუჭირა“



სიკვდილი ქართულად

გიორგი ურუშაძე

ბევრი რამ დაგვიგეგმავს, ბიუჯეტით გაგვინერია, მაგრამ საკუთარი სიკვდილის პროექტი და მით უმეტეს ხარჯები, ალბათ, არასოდეს დაგვითვლია. თუმცა, დრო იცვლება. ქართული რეალობა კი, არცთუ ისე სახარბიელო პირობებს გვთავაზობს. დაკრძალვის თანხები შეიძლება საკმაოდ მაღალ ნიშნულს მიაღწიოს.

თბილისში მოქმედი რამდენიმე ათეული დამკრძალავი ბიურო, მომსახურების თითქმის ერთი და იმავე სპექტრს გვთავაზობს. ფასებიც დაახლოებით მსგავსია. თუმცა, ე.წ. მდიდრულ დაკრძალვასა და მოკრძალებულ დაკრძალვას შორის მანიც დიდი სხვაობაა.

სასახლე, მაცივარი, მაკიაჟი, მინის გაჭრა, სასაფლაო, ქელები - ეს დაკრძალვის თანხებში პროცენტულობაა. თითოეული მათგანი ცალკე ღირებულებების მატარებელია, რაც ჯამში საკმაოდ დიდ თანხას გვადლევიან.

არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თბილისში ახალი სერვისიც გამოჩნდა. შპს „თბილისური“ საკუთარ მომხმარებელს ინოვაციური მეთოდი - დაკრძალვა განვადებით შესთავაზა. დამეთანხმებით და სიკვდილს წინასწარ არავინ გეგმავს, შესაბამისად, ოჯახურ ბიუჯეტში, თანხებიც ვერ იქნება გათვალისწინებული. კომპანიის აზრით, ფორსმაჟორულ სიტუაციებში, ფულის არქონის შემთხვევაში განვადება იდეალური საშუალებაა. თანაც ეს უკანასკნელი თუ უპროცენტო გახლეჩა. თუმცა, როგორც კომპანიის წარმომადგენელი გიორგი მამუკაშვილი „პრაიმტაიტანს“ საუბარში აცხადებს, განვადების სერვისი



რა დაგიჯდებათ სიკვდილი ქართულ რეალობაში?

სავალუტო კრიზისის გამო დაკრძალვა განვადებით გაუქმებულია

შანდლის და სუდარის ფასი კი 30 ლარია.

მინიმალური ხარჯი სარიტუალო მომსახურებისა, ჯამურად 925 ლარია, მაქსიმალური თანხა კი 4605 ლარამდე აღის. ეს კი საკმაოდ სოლიდური ნიშნულია.

გარდა, სარიტუალო ხარჯებისა, საჭიროა მინის გაჭრა და ცხედრის დასაფლავება. „პრაიმტაიმში“ შპს „ჰერმესის“ დაუკავშირდა, რომელიც თბილისის მასშტაბით სასაფლაოების უმრავლესობას ფლობს. კომპანიის დირექტორის მოადგილე, ოთარ კიკვაძე ფასებსა და თბილისში არსებულ სიტუაციაზე გვესაუბრა.

ოთარ კიკვაძე, „ჰერმესი“:
 „შპს „ჰერმესი“ არის თბილისის მერიის 100%-იანი ნილით დაფუძნებული ორგანიზაცია და შესაბამისად, „ჰერმესის“ განკარგავში არის თბილისის მერიის ბალანსზე არსებული საქალაქო სასაფლაოები. ამ მომენტისთვის 50-მდე სასაფლაო. ეს არ არის ჩვენს მფლობელობაში, უბრალოდ, ჩვენ ვმართავთ და ადგილს გამოვყოფთ.

სტანდარტულად, კომპანია ვალდებულია ფასიანი სასაფლაოების გვერდზე უფასო სასაფლაოები გამოიყოს. ჯამურად უფასო სასაფლაოების წილი 40%-ია.

- რა არის მინის ღირებულება?
 - ფასები 50-ლარიდან იწყება, სხვადასხვა სასაფლაოებისა და ზონების მიხედვით და მაქსიმუმ, 800 ლარს უტოლდება. ადგილები 1-დან ნ-მდეა. ჩვენ თვითონ შეგვიძლია გადავწყვიტოთ, რომ 8 ადგილიანი სასაფლაო გავცეთ, თუ 9 ადგილიანზე უფრო მეტი ადგილის ალება უნდა

კომპანია ვალდებულია ფასიანი სასაფლაოების გვერდზე უფასო სასაფლაოების გამოიყოს. ჯამურად უფასო სასაფლაოების წილი 40%-ია

შეჩერებულია. შეჩერების მიზეზად კი ეროვნული ვალუტის ვარდნა სახელდება. მისი თქმით, განვადების სერვისზე წამოსვლას ბანკები ვეღარ ბედავენ.

„განვადების სერვისი აღარ მოქმედებს, ბანკებთან ურთიერთობა, სავალუტო კურსიდან გამომდინარე, შეწყდა. გამართლებით გამართლდა. რაც შეეუძლო, ჩვეულებრივად ვეხმარებოდით მოქალაქეებს, მაგრამ კურსიდან და ბანკებიდან გამომდინარე სერიოზული პრობლემები შეგვექმნა. სერვისი დაახლოებით 5 თვეა შეჩერებულია. თუმცა, თითქმის 1 წელი მოქმედებდა და დაახლოებით 40-მა ადამიანმა ისარგებლა“ - ამბობს მამუკაშვილი.

მისი კომპანია მომხმარებელს სარიტუალო მომსახურების თითქმის სრულ სპექტრს სთავაზობს. მაგალითად, სასახლის ღირებულება 150 ლარიდან იწყება და 5000 ლარამდე აღის. მაცივრის ფასი 170 ლარიდან - 250 ლარამდე მერყეობს, ხოლო კატაფალკა - 50 ლარიდან ზემოთ. ფასი მანქანის მოდელსა და მანძილზე დამოკიდებულია.

შპს „ალაპი“ კიდევ ერთი თბილისური დაკრძალვის ბიუროა. იგი სარიტუალო მომსახურების სრულ სპექტრს არ ფლობს. მაცივარი და კატაფალკით მომსახურება კომპანიის მთავარი შემოსავლის წყაროა.

ბესარიონ ჯავაშვილი, „ალაპის“ წარმომადგენელი:

„ჩვენ გვაქვს მხოლოდ მაცივარი, ამ სერვისზე ვმუშაობთ. მაცივრის ფასი 100 ლარიდან იწყება. ტრანსპორტირებასაც ჩვენ უზრუნველყოფთ. თბილისში, კატაფალკის ფასი 50-60 ლარია“.

„ალაპისგან“ განსხვავებით, მომხმარებელს სრულ პაკეტს გვთავაზობს შპს „ჰადესი“. აქ ფასები შემდეგნაირად გამოიყურება:

- ბალზამირება: - 60 ლარი, ჩაცმა - გასუფთავება - 10 ლარი, გაპარსვა - 10 ლარი, მაკიაჟი - 70-150 ლარი, ფოტოს გადაღება - 25 ლარი, ჩასასვენებლის ფასი კი 250-დან 3500 ლარამდე მერყეობს. ფასი მასალაზე და ფორმაზე დამოკიდებულია.

კატაფალკის ფასი 80-დან 350 ლარამდეა. ფასი აქაც მანქანის მოდელზე და მანძილზეა დამოკიდებული. სასახლე-მაცივარი - 250 ლარი, ავტობუსის დაქირავება ტირისუფლებისთვის 70-დან 150 ლარამდე მერყეობს, გადასვენება ქალაქის ფარგლებში 40 ლარი, ხოლო მის ფარგლებს გარეთ კილომეტრი 1.20 ლარი დაგიჯდებათ. ტახტი ცხედრისთვის - 30 ლარი.



სიკვდილი ქართულად 1355-დან 5785 ლარამდე მერყეობს



მდებარეობას აქვს მნიშვნელობა. პირველი ზონა ყველაზე კარგად იღლებს და მას ყველაზე მაღალი ღირებულება აქვს. სხვა განსხვავება სასაფლაოებს შორის არ არსებობს. ისე არ უნდა განვიხილოთ, რომ მე-5 ზონა, რომელიც სრულიად უფასოა, იქ ყველაზე ცუდი ადგილებია. ასე არ არის. ჩვენ ვალდებული ვართ გვაქვს, რომ 40 პროცენტი უფასოდ უნდა შევთავაზოთ მომხმარებლებს. უფასო 40% პროცენტი, ამ მე-5 ზონაში ნაწილდება.

- რა ვითარებაა ადგილების თვალსაზრისით?

- ქალაქის ცენტრალურ ნაწილში ადგილები თითქმის ამონოურულია და თითო-ორთა ადგილი თუ იქნება. მაგალითად, ვაკეში საერთოდ აღარ არის ადგილები. მიმდინარეობს უკვე არსებული, სავალუტო სამარხებში დაკრძალვა. ძირითადი დატვირთვა მოდის მუხათვერდის, თემის, თბილისის ზღვის, ვარკეთილის სასაფლაოებზე, ამ უკანასკნელში ასევე გვეხვრება რაოდენობები. ადგილები ძირითადად, გარეუბნებში მდებარე სასაფლაოებზეა.

- ახალი ტერიტორიების დამატების საჭიროება თუ არსებობს?

- ახალი ტერიტორიების დამატების საჭიროება არ დგას, ვინაიდან ქალაქის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილება ასეთია, რომ ქალაქის ცენტრში აღარ განვითარდეს სასაფლაოები. შესაბამისად, რესურსის პრობლემაც არა გვაქვს. ამიტომაც ახალი ადგილის დამატების საჭიროება არაა.

კომპანია „ჰერმესი“ მინის გაჭრასაც ახორციელებს, რომლის ფასი 230 ლარია, მომსახურებაში 40 დღის განმავლობაში სასაფლაოზე ყვავილების ატანაც შედის. კომპანია მომხმარებელს სარიტუალო მომსახურების სრულ სპექტრსაც სთავაზობს. „ჰერმესის“ აგენტები ადგილზე მიდიან და ისე იღებენ შეკვეთას. სარიტუალო მომსახურების ფასები შემდეგნაირად გამოიყურება:

- კატაფალკა - 80 ლარი (მესრსედესის მარკის ფურგონი, კალიკოსის შემთხვევაში ფასი - 250 ლარია), ბალზამირება - 50 ლარი, მაცივარი - 250 ლარი, მაკიაჟი სირთულის მიხედვით - 50-დან 80 ლარამდე მერყეობს, სუდარა, მანდალი 25-30 ლარი, საფლავის ქვის დამზადება 150 ლარიდან იწყება, სასახლის ფასი 280 ლარიდან 900 ლარამდე მერყეობს.

როგორც, კომპანიის წარმომადგენელი განმარტავს, ძირითად და მოთხოვნაში 280 ლარიანი და 360 ლარიანი, ქართული და იტალიური ფორმის სასახლეებია. არსებობს უფრო დახვეწილი, ამერიკული ფორმის სასახლეები, თუმცა ეს უკანასკნელი ძვირია და შესაბამისად, მოთხოვნაც ნაკლებია.

სარიტუალო მომსახურების გარდა, არ უნდა დაგვაფიქვს ქართული ტრადიციული ქელები, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში აღინიშნება და თანაც, საკმაოდ სოლიდურად. ამ უკანასკნელის მინიმალური ღირებულება თითო კაცზე 15 ლარია. თუმცა, 80 ლარიანი ქელების პრაქტიკას სარიტუალო სახლებიც გვიდასტურებენ.

ჩვენი საბოლოო გამოთვლებით, დაკრძალვის მინიმალური დანახარჯი, ქელების გარეშე, 1355 ლარი გამოდის, მაქსიმალური კი - 5785 ლარი დავიჯდებათ. ასე რომ, სიკვდილი ქართულად არც ისე იაფი „ფუფუნება“.

სატელეფონო საუბრები და „ზაზა სიმონიშვილი“ მიმონარა ვაზაგაშვილის ავითქების საქმეში

მირიან ბოქლიშვილი

27 აგვისტოს, იური ვაზაგაშვილის დაბადების დღეს, მეგობრები და ახლობლები სასამართლოში შეხვდნენ, სადაც მისივე მკვლელობის საქმის განხილვა გრძელდება. ბრალდებულის სკამზე ამჟამად მხოლოდ პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, გია სოსანაშვილი ზის, თუმცა ამბობენ, რომ პროკურატურა საგამოძიებო მოქმედებებს უცხოეთში, კერძოდ აშშ-სა და საფრანგეთშიც ანარმონებს. ვის ეძებს გამოძიება საზღვარგარეთ და რა კავშირი აქვთ მათ ვაზაგაშვილის აფეთქებასთან?

როგორც „პრაიმტიმის“ ინფორმირებულმა წყარომ აცნობა, გამოძიება განსაკუთრებული ინტერესით სწავლობს საფრანგეთში მყოფი ერთ-ერთი პირის შესახებ ინფორმაციას. წყაროს ცნობით, საგამოძიებო უწყებას აქვს გარკვეული მტკიცებულებები, რომელიც ვაზაგაშვილის აფეთქებასთან ამ პირის კავშირს ადასტურებს. საუბარია პირზე, რომლის დნმ-ის კვალი საგამოძიებო ორგანომ სოსანაშვილის კვალთან ერთად აღმოაჩინა იმ ხელყუმბარის ფაქტზე, რომლის აფეთქებასაც იური ვაზაგაშვილი შეენირა.

წყაროს ცნობით, სოსანაშვილს სატელეფონო საუბარი ჰქონდა ზემოხსენებულ პირებთან, მათ შორის ერთი ზარი განხორციელდა აშშ-ში, ერთი კი საფრანგეთში. პროკურატურაში კონკრეტულ გვარებს არ ასახელებენ, თუმცა სატელეფონო ზარების აღრესატა ვინაობა თავად სოსანაშვილის ადვოკატმა გაასაჯაროვა. სოსო ჯოგლიძის თქმით, აფეთქების წინა პერიოდში მისი დაცვის ქვეშ მყოფი მეგობრებს - ზაზა

„გივი სილაგაძე და ზაზა სიმონიშვილი პოლიციის ყოფილი თანამშრომლები არიან, სიმონიშვილი უზუალოდ შიდა ქართლის პოლიციაში მუშაობდა“



ვის ესაუბრა სოსანაშვილი საფრანგეთში?



„თუ პროკურატურას აქვს საკმარისი მტკიცებულება იმისა, რომ გივი სილაგაძე და ზაზა სიმონიშვილი რაიმე სახით არიან გარეულები ამ საქმეში, უნდა მოითხოვონ ამ ადამიანების დაკითხვა“

ბასთან. ინფორმაციის დასაზუსტებლად ჩვენ გივი სილაგაძეს სოციალური ქსელში მივმართეთ, თუმცა ჩვენი მეტყობინება ვერავითარი უპასუხოდ დატოვა. მისი ფეისბუქგვერდი კი სოსანაშვილთან კავშირზე ცალსახად მიუთითებს. მაგალითად, გასულ წელს, გივი სილაგაძეს სოსანაშვილმა დაბადების დღე პირადად მიულოცა სწორედ სოციალური ქსელის მეშვეობით. ცხადია, ეს არც არაფერს ამტკიცებს, მაგრამ კითხვები კი ნამდვილად გააჩნია. საინტერესოა სწორედ ამ კითხვებზე პასუხი, ისევე როგორც იმ სატელეფონო ზარების მინარსი, რომელიც პროკურატურის მტკიცებით, სოსანაშვილმა სწორედ საფრანგეთში განახორციელა.

ამ საქმის ირგვლივ ბოლო ინფორმაცია პროკურატურამ ვაზაგაშვილის მეუღლეს გასულ კვირას გააცნო, თუმცა ბადაშვილის უწყებებიდან გამოვლენილი ციფრები ვაზაგაშვილის დეტალები არ გაუშვებია. გარდაცვლილის და, მანანა ვაზაგაშვილი კი ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ ჯერ კიდევ ორი თვის წინ ჰქონდათ ინფორმაცია, რომ პროკურატურა საფრანგეთში ვიღაც პიროვნებას ეძებდა.

„არ ვარ საქმის კურსში თუ ვის ეძებენ, ჯერ კიდევ ორი თვის წინ გვითხრეს, რომ იძებნებოდა ვიღაც პიროვნება საფრანგეთში. სხვა დეტალები არ უთქვამთ. არც სახელი და გვარი დაუსახელებიათ. ჩემს ძმას უყავდა ერთადერთი მტერი და ეს-ენი არიან მისი მეუღლის მკვლელები. ალბათ, იგივე ხალხზეა საუბარი“ - გვითხრა გარდაცვლილის დამ, მანანა ვაზაგაშვილი.

სოსანაშვილის ადვოკატი კი ირწმუნება, რომ არსებობს მტკიცებულებები, რომელიც ამ საქმესთან მისი დაცვის ქვეშ მყოფის კავშირს საერთოდ გამოიცხადებს და საქმეს თავდაყირა აყენებს.

სოსო ჯოგლიძე, სოსანაშვილის ადვოკატი:
- ეს ორივე პიროვნება სოსანაშვილის

ილის მეგობრები არიან. მოტივი, რომ ვითომ ალიზიანება ვაზაგაშვილის საზოგადოებრივი მოღვაწეობა, რადგან მისთვის პატივსაცემი ადამიანები არ აღმოჩენილიყვნენ საბრალდებო სკამზე, არის აბსურდული. ჩვენ გვაქვს ისეთი მტკიცებულება, რაც პრაქტიკულად გააბათილებს პროკურატურის მიერ შეკერილ ამ საქმეს.

- რა მტკიცებულებაზე საუბრობთ?
- იმ პერიოდზე, როდესაც ისინი ამბობენ, რომ სოსანაშვილი ყარაფილას ტერიტორიაზე იმყოფებოდა, ჩვენ გვაქვს მტკიცებულება, რომ ამ პერიოდში ის, რეალურად, თბილისიდან გამოდიოდა და ორიოდე წუთში ყარაფილაში ვერნაიარად ვერ მოხვდებოდა. ამოღებული გვაქვს თბილისში მდებარე ბანკომატის მონაცემები, სადაც დეტალურად წერია, თუ რომელ საათზე არის თანხა მოხსნილი, ანუ, შესაბამისად, რომელ საათზე იმყოფებოდა სოსანაშვილი თბილისში. ასევე ამოღებული გვაქვს ბენზინგასამართი სადგურიდან ვიდეოთვალის ჩანაწერები.

- ზემოხსენებულ პირებზე რას ამბობს თავად სოსანაშვილი?
- აბსურდიაო. მან მისცა ნებართვა გამოძიებას, ნახონ სატელეფონო ჩანაწერები, თუ არსებობს ამის საჭიროება.

ორგანიზაცია „თავისუფალი თაობის“ ყოფილი წარმომადგენელი გიორგი ყუფურაძე, რომელმაც სოსანაშვილის შესახებ ინფორმაცია ჯერ კიდევ მის დაკავებამდე გაასაჯაროვა, დარწმუნებულია, რომ სოსანაშვილი მარტო ვერ იმოქმედებდა.

„თუ პროკურატურას აქვს საკმარისი მტკიცებულებები იმისა, რომ გივი სილაგაძე და ზაზა სიმონიშვილი რაიმე სახით არიან გარეულები ამ საქმეში, უნდა მოითხოვონ ამ ადამიანების დაკითხვა, ან ექსტრადირება იმ ქვეყნიდან სადაც ისინი ამჟამად იმყოფებიან. უკვე ამ საქმეში გამოვლენილი და ბრალდებულთა გია სოსანაშვილის არანაირი პირადი მოტივი არ ჰქონია, ის, უბრალოდ, ვიღაცამ გამოიყენა ამ საქმეში და დაუკვეთა იური ვაზაგაშვილის მკვლელობა. ყველასთვის ცნობილია თუ რა გაჭირვებაში ცხოვრობდა სოსანაშვილი.“

კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ სოსანაშვილი მარტო ვერ იმოქმედებდა იმ ადგილას, მას აუცილებლად დასჭირდებოდა ვინმეს დახმარება. ვინაიდან სასაფლაო გაძლიერდებოდა და

დამზღვევი აუცილებელია მაგ დროს. ძალიან საინტერესოა, რომ ამ საქმეში ყოფილი თუ მოქმედი პოლიციის თანამშრომლები ფიგურირებენ. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, გივი სილაგაძე და ზაზა სიმონიშვილიც პოლიციის ყოფილი თანამშრომლები არიან, სიმონიშვილი უზუალოდ შიდა ქართლის პოლიციაში მუშაობდა.

კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსი ირაკლი ქადაგიძე ადასტურებს, რომ სილაგაძეც და სიმონიშვილიც პოლიციის თანამშრომლები იყვნენ, თუმცა მისივე თქმით, მათ ქვეყანა კარგა ხნის წინ დატოვეს.

„მაგალითად, გივი სილაგაძე დაახლოებით ორი წელია წასულია ქვეყნიდან. რამდენადაც ვიცი, ავად არის და მკურნალობს. შეიძლება სოსანაშვილიც იცნობს მათ და სატელეფონო საუბარზე ჰქონდა, მაგრამ ეს არაფერს ამტკიცებს. მასე სოსანაშვილი სხვადასხვა დღესასწაულებზე ყველას ურეკავდა და ულოცავდა“ - ამბობს ირაკლი ქადაგიძე.

ზემოხსენებული გივი სილაგაძე, სოციალური ქსელით 28 აგვისტოს, ოქტოვანაში მომხდარ ფაქტსაც ეხმაურება, რა დროსაც მძიმედ დაიჭრა შს მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან გვაზავა, მისი დეიდაშვილი, ასევე შსს-ს ყოფილი მაღალჩინოსანი რეზან კალომლენავი კი ადგილზე გარდაიცვალა.

„მარიაშვილის დღესასწაული ტრაგიკული დასრულდა, სიტყვებს ვერ ვპოულობ, რომ აქვს ვინ იყო ჩემთვის და ჩემი სამშაქაცოსთვის რეზან კალომლენავი... ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ამას ვიტყოდი რეზანის მისამართით“ - წერს სოციალური ქსელში სილაგაძე.

გენერალ-მაიორი ლევან გვაზავა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე 2008 წლამდე იყო. ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, 2013 წელს პროკურატურაში ის ძალიან უწყების სხვა ყოფილ მაღალჩინოსანებთან ერთად, ბუტა რობაქიძის საქმეზე მონაწილეობის ბრალდებით დაიკითხა.

ლევან გვაზავა ამჟამად სამართალდაცვათა დაცვის ლიგის ხელმძღვანელი და ერთ-ერთი დამფუძნებელია. ბოლო პერიოდში ის აქტიურად ეხმაურებოდა კორუფციის საეცოპერაციის საქმის მიმდინარეობას, რომელშიც ბრალდებულები მისი ყოფილი კოლეგები არიან.

შეშავარავი ქარ

გიორგი ურუშაძე

ჟორჟოლიანებისა და ხოჯა-ვეების დაპირსპირების ამბავი გასცდა სამეგრელოს საზღვრებს და ქართული რეალობის ამსახველ ფაქტად იქცა. დრომოჭმული და მახინჯი ქართული ტრადიცია - ქალიშვილობის ინსტიტუტი კვლავაც აქტუალურია. ქალთა დისკრიმინაციის შედეგად მიღებული ოჯახური პატივმოყვარეობა ჯერ კიდევ მყარ საფუძველზე დგას. პირადი თეთრეულის ჩვენება საზოგადოებრივი ინტერესის საგანი გახდა და ფართო აუდიტორიას განსჯის საბაზი მიეცა. თუმცა, ეს არ არის ჩვეულებრივი ისტორია. მარიამ ხოჯავასა და დავით ჟორჟოლიანის ამბავი სტერეოტიპების მსხვერვის სანყისი უნდა გახდეს და არა მისი გამყარების საფუძველი. ასეთია უფლებადამცველთა მოსაზრება.

ისტორია სამეგრელოში ვითარდება. ოჯახური წყვილი დავით ჟორჟოლიანი და მარიამ ხოჯავა, რამდენიმე დღიანი თანაცხოვრების შემდეგ შორდებიან. გოგონა მეუღლის სახლიდან საავადმყოფოში ინაცვლებს, მამაკაცი კი, 1 თვის შემდეგ ციხეში ჯდება. სასამართლო დავა, ოჯახური და სექსუალური ძალადობის მუხლებითაა აღძრული. საბოლოო განაჩენი ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი. ორივე მხარე განსხვავებულ ვერსიაზე საუბრობს.

ნინო ხოჯავა, დაზარალებული მარიამ ხოჯავას დაა. იგი „პრაიმტიმს“ ექსკლუზიურ დეტალებს უყვება და საზოგადოებას დისა და დავითის თანაცხოვრების შესახებ უამბობს. მისი თქმით, მარიამი დავითს არ ჰყვარებია და მათი ურთიერთობა გარიგების შედეგი იყო. ურთიერთობის მთავარი ინციტორები კი, დავითის დები, ხათუნა და ნესტან ჟორჟოლიანები იყვნენ.

ნინო ხოჯავა:

„მარის მხრიდან სიყვარული არ იყო და იმათაც იციან ეს. ამათ აქვთ მალაზია ზუგდიდის ბაზარში და იქ რალაცის საყიდლოდ შევიდა მარი. ამ დროს ის ბიჭი გამოელაპარაკა. თურმე დას მოსწონებია და ასე დაიწყო ნაცნობობა. დაუხლოვდნენ, კარგი გოგო ხარო და ასე შემდეგ. გარიგება იყო 100%-იანი, ხყალი არ გაუვა. შემდეგ, მარიმაც მოუხშირა მალაზიაში სიარულს. კარგი გოგო ხარო, რას შეგები და ასე უახლოვდებოდნენ ჩემს დას. ბევრი ხანი არ იყო გასული, რომ დაიწყეს საუბარი, ეს ჩვენი სარძლოაო, ბაზარში გაავრცელეს ეს ამბავი. თუმცა, ეს ისე მოხდა, რომ მარი და დავით არც კი ხვდებოდნენ ერთმანეთს, მარტოებიც არ დარჩენილან არასდროს. როგო-



ნინო ხოჯავა

რც ასეთი, დები აქტიურობდნენ. შემდეგ ბიჭსაც მისცეს ნომერი. მარიამს უთქვამს არ მიყვარხარო და არ მინდა შემეჩვიო. ამ საუბრის მერე, თურმე დავითს ტელეფონი დაუმტვ-

ნინო ხოჯავა: „დანა აულია, შრამი უნდა დაგადო სახეზე, რომ ყველაფერს ნახოს, ეს პოპოზის ნიუანიო“

რევი, დებისთვის უთქვამს, მარის არ უნდა ჩემთან ურთიერთობაო. დები ავალდებულებდნენ მარის, თითქოს ურთიერთობა უნდა ჰქონოდა

დათოსთან. ჩვენზე ყველაფერი გაკითხული ჰქონდათ ნინასწარ, მანამდე ვერ გაიგეს ვერაფერი და ახლა გავხდით ყველაფერი“?

თუმცა, ეს ისტორიის ერთი მხარეა. ბუნებრივია, არ უნდა დაგვავინყდეს, მეორე, დავით ჟორჟოლიანის ოჯახის ვერსიაც. „პრაიმტიმს“ დავითის დას, ნესტან ჟორჟოლიანს ესაუბრა. იგი წყვილის გაცნობის სულ სხვა ვერსიას გვიყვება. მართალია, ამ ვერსიითაც ნაცნობობა მალაზიაში დაიწყო, მაგრამ ცოტა სხვა ვითარებაში.

ნესტან ჟორჟოლიანი:

„ჩვენ მალაზიაში ვიყავით, როდესაც მარიამი შემოვიდა, ჩემი ძმაც იქ იჯდა. როდესაც მარიამმა ტონალური შეიძინა, ჩემს ძმას ჰკითხა: - მომიხდება ტონალური? ჩემმა ძმამ უთხრა, ნაისვი და თუ მოგიხდება, ხვალ გამომიარეო. ასე გაიცნეს ერთმანეთი. ჩვენ არ ჩავრეულვართ მათ გაცნობაში. მარიამი თავად აქტიურობდა, ასევე დაც, ნინო ხოჯავაც. მალაზიაში დღემდე 3-ჯერ, 4-ჯერ გვაკითხავდა. როცა აქვთ მოდის გოგო, მეტწილად არ არის სასიამოვნო, მაგრამ ჩვენ ამას არ მივაცხვიტ ყურადღ-

ება. რადგან კარგი ურთიერთობა ჩამოგვიყალიბდა. ჩემი ძმა მათთვის სანატრელი სიძე იყო“.

ნინო ხოჯავას ინფორმაციით, დავითს ადრე სხვა ცოლიც ჰყავდა. ეს ინფორმაცია მათ მეზობლებისგან გაიგეს, თუმცა ქორის დონეზე.

ნინო ხოჯავა:



ზინა გულია

„დავითს ცოლი ჰყავდა, როგორც ვიცი, მაგრამ დამამტკიცებელი არაფერი გვაქვს. ეს ინფორმაცია, ბევრმა ადამიანმა გვითხრა. იმასაც ზუსტად ამ ფორმით მოექცა. თურმე ხელნერილი დაადებინა, ვითომ კიბეებიდან ჩამოგორდა და თვითონ არ სცემდა. მასაც იგივე ბრალი დასწამა, თითქოს ქალიშვილი არ იყო“.

ნინო ხოჯავა ამბის დეტალებს მოყოლას განაგრძობს და ქორნილის დღის ამბებს გვიმხელს. მისი თქმით, მარიამ ხოჯავა მოტყუებით ნაიყვანეს კაფემი და ვალენტინობის დღეს სახლში რძლად შეიყვანეს.

ნინო ხოჯავა:

„სიყვარულის დღე რომ იყო, დებმა ხათუნამ და ნესტანმა მარის უთხრეს, რომ კაფემი ნავიდეთო, ჩვენ მარტო გოგოები ვიქნებითო. თურმე ამათ ყველაფერი მოუწყვიათ, სუფრაც გაუშლიათ ნინასწარ, ისე რომ ამის პასუხი არ იცოდნენ. მე რომ ვკითხე, სუფრა ნინასწარ რატომ გააკეთეთო, მითხრეს, მარი რომ არ წამოსულიყო, კარგი სუფრა ხომ მაინც შეგვრჩებოდაო. ყველაფერი დაგეგმეს. მერე თქვეს, ეს და-

ოჯახური დაპირსპირება, რომლის კვალი დრომოჭმულ ქალიშვილობის ინსტიტუტზე გადის



თუელი რეალობა

თომ გადანევიტაო, რომ მარი უნდა მოეცენა ცოლადა. არადა, ბოლო პერიოდში მარი დათოს საერთოდ აღარ ელაპარაკებოდა. ტელეფონს არ იღებდა, უთიშავდა. რომ დაღვრიდა ხოლმე ცხრაათასჯერ რეკავდა. ყველაფერი წინასწარ იყო განზრახული. ბეჭდებიც თურმე წაიფი 3ქ-ონდათ, დაფიქრების საშუალებაც არ მისცეს და ასე უცბად, სახლში შეიყვანეს“.

ნესტან ჟორჯოლიანი კი ამ ამბის განსხვავებულ ვერსიაზე საუბრობს. იგი სოციალურ ქსელში ვიდუოსაც აქვეყნებს, სადაც წვეილის ბედნიერება ასახული. ვიდუოში მართლაც წვეილი შეხმტკტილულადაა ერთმანეთთან. თუმცა, ეს ამბის უმნიშვნელო მხარეა. მთავარი ის დანაშაულია, რა დანაშაულიც დავით ჟორჯოლიანს ბრალად აქვს წაყენებული.

ნესტან ჟორჯოლიანი:
„ვიდეო არის ოჯახური ცხოვრების 8 დღის ამსახველი. ბედნიერი წვეილი იყო. მართლა ძალით შემოგვაპარეს თავი. ჩვენც რატომღაც გული გაუფლეთ და შემოვუშვით ჩვენს სულში, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. სახლში 14 თებერვალს შემოვიყვანეთ, ქეიფი 7 საათამდე გაგრძელდა, ნინოს ნათესავებიც მოვიდნენ. ყველანი ბედნიერები ვიყავით. შემდეგ სიძე-პატარძალი თავის ოთახში ავიდა. მათ არავინ არ გაჰყოლია ოთახში, როგორც ამას ავრცელებენ. ეს სრული სიცრუეა. წვეილის ურთიერთობა პირადი საქმეა“.

წვეილის პირველი ღამე, ქორწინებიდან რამდენიმე დღეში შედგა. მოულოდნელად კი ქმარმა მეუღლეს ბრალი დასდო, რომ ის არ იყო ქალიშვილი.

ნინო ხოჯავას ინფორმაციით, ამ ამბის შემდეგ დავით ჟორჯოლიანმა მარიამი სასტიკად სცემა, ხოლო ნესტან ჟორჯოლიანი ასეთ ფაქტს საერთოდ არ ადასტურებს. მისი თქმით, ამ ამბის გაგების შემდეგ, როდესაც მარიამი სახლში დაბრუნდა, მას მამამისი სასტიკად გაუსწორდა. მსგავს ფაქტს, მარიამის ოჯახი კატეგორიულად უარყოფს.

ხოჯავების ოჯახი, სასტიკ მეუბრძულზე საუბრობს. მათი თქმით, მარიამი სასტიკად ნაცემია. იგი ამ ამბიდან მეორე დღეს მეუღლემ კიდევ ერთხელ გააუპატიურა და სცემა. დაფიქსირებულია გაუკულმართებული სექსუალური კავშირიც. ამ ყველაფერს ლევან სამხარაულის ექსპერტიზაც ადასტურებს. თუმცა, ნესტან ჟორჯოლიანს ექსპერტიზის სარწმუნოებაში ეჭვი შეაქვს. მისი თქმით, ოჯახმა დამატებითი ექსპერტიზა ჩატარა და დარღვევები გამოავლინა. თუმცა, ნიშანდობლივია, რომ ექსპერტიზა ორჯერ ჩატარდა, ერთხელ, თავად მარიამის ოჯახის და მეორედ, გამოძიების მიერ. ორივე დასკვნამ ერთი და იგივე დადასტურა, მარიამ ხოჯავას საქალწულე აპკი ქმართან ურთიერთობის შედეგად დაირღვა. ქალიშვილობის დაკარგვის თარიღი ქმართან სექსუალური აქტის თარიღს დაემთხვა.

ნინო ხოჯავა შემთხვევის შესახებ საზარელ დეტალებს გვიყვება:

„ისე სცემა, რომ სახეზე ეტყობოდა, მაგრამ იძულებით მაკიაჟი გააკეთებინა. ყელზე ხელი მოუჭირა. გინდა თუ არა მითხარი რა დაგებართაო. ლოგინზე თავი არტყმევინა, თუ არ მეტყვი, დაგაბრჯობო. მერე მეორე სართულზე აათრია, კარი ჩაუკეტავს. მაგრამ დედამისმა რომ გაიგო, შევიდა შიგნით, მაგრამ დათომ დედამისაც გაარტყა ხელი. მერე დანა აუღია, მრამი უნდა დაგადაო სახეზე, რომ ყველამ ნახოს, ეს ბოზობის ნიშანიაო“.

შემთხვევის განსხვავებულ ვერსიას გვიყვება ნესტან ჟორჯოლიანი:

„მე და მარიამის დას, გვერდზე ოთახში გვედინა. თუ ჩემმა ძმამ სცემა ის, მე თუ არა, დამ, ნინომ როგორ ვერ გაიგო. რატომ არ უშველა თავის დას? ან, ჩემს ძმას რატომ არ ჩაუტარეს ექსპერტიზა? გოგომ, აღნარა, რომ ის 12 წლის ასაკში სიძის ბიძაშვილმა გააუპატიურა, როგორ იყო ქალიშვილი? - ჩვენ ვაპირებთ გავსაჩივროთ ექსპერტიზა და ვუჩივლოთ ექსპერტებს“.

ნესტან ჟორჯოლიანი: „ჩემი ძმა მათთვის სანატრელი სიძე იყო“

ამ კომენტარის თანახმად, ნესტან ჟორჯოლიანი ბრალს მარიამის ნათესავს სდებს, რომელმაც თურმე 12 წლის ასაკში მარიამი გააუპატიურა, შემდეგ კი, მარიამის და, ნინო ხოჯავა მონათლა.

ამ ფაქტს ნინო ხოჯავა სასაცილოდ მიიჩნევს და არგუმენტს ცილისმწამებლურს უწოდებს. მისი თქმით, ლევან სამხარაულის ექსპერტიზის დაკენა ყველაფერს ნათელს გახდის. ამის საპასუხოდ ის, ნესტან ჟორჯოლიანის „პრაიმტიმთან“ მიმონერას ასაჯაროებს. მიმონერაში ნესტან ჟორჯოლიანი ნინო ხოჯავას შემდეგი სახის წერილს უგზავნის:

„კაი, დათოს შეეტენა ეს საქმე და მიესაჯა 8 წელი, რაც შენ ასე გინდა. მაგრამ რომ გამოვა, ხვდებით იმას, რომ ციხიდან თქვენი მკვლელი გამოვა. აი, ეს გინდა. დაე, აღსრულდეს, რაც უფალს უნდა“.

ამ ფაქტს, ნესტან ჟორჯოლიანი თავისებურად ხსნის: „წარმოდგინეთ, ადამიანს, უსამართლოდ ციხეში 8 წელი, რომ გამოკეტავენ, იქიდან როგორი დაბეჭავებული და გაბოროტებული გამოვა. აბა, სხვა რას ელიან?“

დავით ჟორჯოლიანის წინააღმდეგ საქმე, 126-ე პრიმა და 138 მუხლებითაა აღძრული, რაც ოჯახურ ძალადობასა და სექსუალურ ძალმომრეობით ქმედებას გულისხმობს. „პრაიმტიმი“ ორივე მხარის ადვოკატს დაუკავშირდა.

მარიამ ხოჯავას ადვოკატის, **ჯიჯა გულიას** თქმით, ყველაფერი ნათელია. დამნაშავე დავით ჟორჯოლიანია და ამას ექსპერტიზაც ადასტურებს. საქმის ფაქტები მარიამ ხოჯავას სასარგებლოდ მეტყველებს. მეორე მხარის ადვოკატს სოსო ჯალაღონიას კი, თავის დაცვის ქვეშ მყოფის გამართლებას იმედი აქვს და ასეთი განაჩენის მოლოდინშიცაა.

თუმცა, ორი გვარის დაპირისპირება, სამართლებრივ საფეხურზეც გადადის. კერძოდ, ნესტან ჟორჯოლიანი და მისი ადვოკატი სოსო ჯალაღონია, მარიამ ხოჯავას ადვოკატის და საქმის პროკურორის




ნესტან ჟორჯოლიანი

„გოგომ, აღნარა, რომ ის 12 წლის ასაკში სიძის ბიძაშვილმა გააუპატიურა, როგორ იყო ქალიშვილი?“

EXCLUSIVE

გაია პატარია: „ეს არის უცნაურესობით გამოწვეული კომპლექსი, რომელსაც ასაზრდოებს დრომოჭმული, მავენ ტრდიცია და პატიოსნების ქალიან დამახინჯებული გაგება“



დავით ჟორჯოლიანი

მია ფაბრეს ნათესაურ კავშირზე საუბრობენ.

ნესტან ჟორჯოლიანი: „ჯიჯა გულია არის პროკურორის მანია ფაბრეს დის მეგობარე. სწორედ ამ ფაბრეს ინიციატივით აიყვანა ხოჯავების ოჯახში ჯიჯა გულია ადვოკატად. ჩემს ძმას ჩემი სახით ასეთი მებრძოლი ადამიანი რომ არ ჰყავდეს, ხომ გაუბედურდებოდა? მე თავს შეენიშნავ ამ საქმეს, თუნდაც საკუთარ თავისუფლებას, თუნდაც საკუთარ სიცოცხლეს“.

ამ ფაქტს „პრაიმტიმთან“ ადვოკატი ჯიჯა გულია ეხმაურება: „არანაირი ნათესაური კავშირი არ არის. მე არ მესმის რა არგუმენტები მოაქვთ. ეს, უბრალოდ, სასაცილოა“.

რაც უფრო შორს მივდივართ, საქმე მით უფრო იხლართება. ტრადიციებს ამოფარებული და კლიშეადაბული ამბავი, უფრო სერიოზულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის მატარებელია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. მასში არასამთავრობო ორგანიზაციები ერთვებიან. მარიამის მხარდასაჭერად აქტიურობს ქალთა მოძრაობა. სოლიდარობის კამპანია ბაია პატარაიასა და ნინო დანელიას ორგანიზებით დაიწყო. ისინი ადგილზე ჩავიდნენ და ვითარების შესწავლის შედეგად, ხოჯავების ოჯახს მხარდაჭერა აღუთქვეს. მათ მარიამ ხოჯავას მხარდაჭერა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოსთანაც გამოუცხადეს, სადაც მისი მეუღლის საქმის განხილვა მიმდინარეობდა.

ნინო დანელია:

„იმის გამო, რომ მარიამი ვითომ არ იყო ქალიშვილი, ქმარმა სასტიკად სცემა. ეს ფაქტი ცოლად მოყვანის შემდეგ, რამდენიმე დღეში მოხდა. ისე სცემა, რომ ამ ადამიანს აღარ შეეძლო გადაადგილება. აქედან დაიწყო ოჯახში მოქმედება. საქმე მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ ერთი თვე ეს ოჯახი ცდილობდა დაეკავებინათ მოძალადე, იმიტომ რომ შესაბამისი უწყებები ამბობდნენ, რომ ეს არ არის სახელმწიფოს ჩარევის ღირსი, ოჯახური კონფლიქტია და თვითონ უნდა გაარკვიროს. ერთ თვეში ეს ადამიანი დაიჭირეს, ძალიან სწორი მუხებში წარუდგინეს. რაც შეეხება ფაქტობრივ მონაცემებს, მარიამს ორჯერ ჩაუტარეს ექსპერტიზა, სწორედ ქალწულობის აპკის შესამოწმებლად. თავისთავად, ეს არ უნდა იყოს განსჯის საგანი, რადგან ეს არის ორი ადამიანის გადაწყვეტილების საგანი“.

ბაია პატარაის თქმით კი, საქმე განათლების პრობლემასა და ადამიანების იმ კომპლექსებშია, რომელიც დრომოჭმული ქალიშვილობის ინსტიტუტს ასაზრდოებს.

ბაია პატარაია:

„ფაქტია, რომ ჩვენ გვაქვს საქმე ადამიანთან, რომელიც ვერ ერკვევა ქალის ფიზიოლოგიური აგებულების საკითხში. არსებობს მითი საზოგადოებაში, რომ ეს საქალწულე აპკი არის მთლიანი, ყველა ქალს აქვს ერთნაირი საქალწულე აპკი. ზოგს ჰგონია, რომ შადრევნები უნდა წამოვიდნენ. ეს არის უცნობისგან გამომდინარეული კომპლექსი, რომელსაც ასაზრდოებს დრომოჭმული, მავენ ტრადიცია და პატიოსნების ძალიან დამახინჯებული გაგება. ჩვენ ბოლომდე მივადევნებთ თვალს სასამართლო პროცესებს, თუ საჭირო იქნება დავესწრებით, გავმართავთ აქტივებს, ასევე, ვთავაზობთ დახმარებას და სარეაბილიტაციო პროგრამაში მართვას მარიამს, რომელსაც რეალურად სჭირდება დახმარება. მომავალშიც ადუთუქვა მით მხარდაჭერას ოჯახს, იმიტომ რომ ოჯახისთვის ეს არის უაღრესად მნიშვნელოვანი. მით უმეტეს მაშინ, როდესაც მოძალადე ოჯახი არის გავლენიანი და მუდმივად ახორციელებს შევიწროებას“.

ამბავი ასეთია. სასწორზე ადამიანის უფლებებსა და დრომოჭმული ტრადიციების გამძლეობას ვნძით. სასურველი მხარის ამორჩევა, თქვენივენი მომინდია.



ივნისი



აგვისტო



ივნისი



აგვისტო



ივნისი



აგვისტო



my View
სალომე ჩაღუნელი

4 მილიონზე მეტი ზარალი, 277 დაღუპული ცხოველი, მოშლილი ინფრასტრუქტურა, გაუქმებული ტერიტორიები, ტალახით ამოვსილი ვოლიერები, დაზიანებული ატრაქციონები, ჩავარდნილი სეზონი და ადამიანური მსხვერპლი – რეალობა, რომლის წინაშეც თბილისის ზოოპარკი 13 ივნისის ღამით დადგა, კვლავ უცვლელია. ტერიტორიას დღემდე თანამშრომლები ასუფთავებენ. ზოოპარკის ქვედა ნაწილი ვერეს მოტანილი ტალახითაა საფარს. ზოოპარკის თბილისის ზღვაზე გადატანა ჯერჯერობით მხოლოდ ინიციატივად რჩება. მერიაში ამბობენ, რომ მუშაობა დანაწევრებულია, მაგრამ იმასაც აღიარებენ, რომ ახალი ზოოპარკის მშენებლობა მრავალწლიანი პერსპექტივაა. თბილისის ზღვაზე ჯერ მხოლოდ მშენებლობის სავარაუდო ტერიტორიაა შემოღობილი, პროექტი დღემდე არ შეფასებულა, შესაბამისად, არ დაპროექტებულა და დონორის ძებნაც არ დანერგებულა.

მერიაში განმარტავენ, რომ დონორის მოძებნა რამდენიმე თვეს წაიღებს, ხოლო მშენებლობა რამდენიმე წელი გაგრძელდება. თბილისის ვიცე-მერმა, ირაკლი ლეციანიძემ განაცხადობს, რომ მუშაობა ჯერჯერობით ზოოპარკის განლაგებისა და განვითარების კონცეფციებზე მიმდინარეობს და წლის ბოლომდე ტერიტორიის შემოღობვით სამუშაოებს განახორციელებენ. ზოოპარკი კი თბილისის ზღვაზე მაქსიმუმ 3-5 წელიწადში გადავა.

„წელს გვინდა მოვასწროთ და შემოღობვით სამუშაოები. ამჟამად მიმდინარეობს პროექტირება, ზოოპარკს სპეციფიკური ტიპის ლობე სჭირდება, ჩვეულებრივი ლობით არ იღობება. როგორც ეს უკვე დასრულდება, ჩვენი ბიუჯეტიდან 2 მილიონამდე თანხა 48 შექტარი მიწის შემოღობვას მოხმარდება. დანარჩენი სამუშაოები გრძელდება, რათა კონცეფციები დაიხვეწოს და აბუშვადეს. ირლანდიული და ქართული კონცეფციები. ამასთანავე არის რამდენიმე ინვესტორი, რომელსაც ახალი ზოოპარკის პროექტის განვითარებაში სურს ჩართვა, ამიტომ წინადადებების განხილვის პროცესში ვართ. ძვირადღირებული პროექტია და ეტაპობრივად მოხდება ყველაფერი. შემოღობვაზე ტენდერი სავარაუდოდ სექტემბერში გამოცხადდება. ზოოპარკის სრულად გადასვლას თბილისის ზღვაზე, საშუალოდ 3-5 წელი დასჭირდება, თუმცა საბოლოოდ პროექტი იტყვის, ეს ყველაფერი რა დროშია შესაძლებელი“.

„განაცხადა ირაკლი ლეციანიძემ. სანამ ზოოპარკს მთლიანად თბილისის ზღვაზე გადაიტანენ, დამთავლიერებულს გადარჩენილი ტერიტორიისა და სახეობების ნახევა სექტემბრის შუა რიცხვებში, ისე ვერეს პირას, ისე სტიქიის ზონაში შეეძლება.“

„პრაიმტიმში“ დაინტერესდა, როგორ მიმდინარეობს მზადება გახსნისთვის? რას აკეთებს ადმინისტრაცია? რომელი ქვეყნების ზოოპარკები დაეხმარებიან მას? რა რაოდენობის ცხოველების ჩამოყვანაზე საუბარი და რამდენი სახეობის მიღება შეუძლია დღევანდელი შესაძლებლობებით თბილისის ზოოპარკს?

ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად ჩვენ თბილისის ზოოპარკის დირექტორს ზურაბ გურიელიძეს ვესაუბრეთ:

– EAZA-ს (ევროპის ზოოპარკებისა და აკვარიუმების ასოციაცია) დაგუკავშირდით, დახმარება ვთხოვეთ და მათ ძალიან დიდი გულსხმიერება გამოიჩინეს. ევროპის თითქმის ყველა ზოოპარკი, და არამარტო ევროპის, მზად არის, დაგვეხმაროს. ცხოველების ძალიან ბევრი შემოთავაზება იყო, ჩვენ გავაგზავნი სიას, რომელი ცხოველები გვინდა ამ ეტაპზე. ყველა ცხოველის მიღება შეუძლებელია, სანამ მეტი ვოლიერი არ აღდგება. ჩვენ გვინდა ცხოველები, რომლებიც შედარებით მარტივი მოსაველელები, მაგრამ საინტერესოები არიან. უამრავი შემოთავაზება მივიღეთ, თუმცა ცხოველების ჩამოყვანა საკმაოდ ხანგრძლივი პროცედურაა. ცხოველების ლეგალურობა უნდა იყოს დადასტურებული, მით უმეტეს იმ ბრალდებების შემდეგ, რაც არის. ამიტომ ეს სწრაფად არ მოხერხდება.

„ახალი ზოოპარკი თბილისის ზღვაზე წლებს შეიძლება აუენდება. მანამდე კი ისევ აქ ვიქნებით“

ბა და ყველაზე გვიან, გაზაფხულისთვის ეს ცხოველები ისევ გვესტუმრებიან. ის ცხოველები იქნებიან, რომლებიც თბილისის ზოოპარკში აქამდე არ ყოფილან. როგორ იქნება, რა იქნება, საბოლოო სია რომ გვექნება, მერე შევაცხობინებთ.

– კონკრეტულად რომელი ქვეყნის ზოოპარკებმა გამოთქვეს ცხოველების დახმარების სურვილი?

– EAZA-მ, იერუსალიმის, ჰოლანდიის, რიგის, საფრანგეთის, ბელგიისა და ფრანკფურტის ზოოპარკებმა.

– დაახლოებით რამდენობის ცხოველებზეა საუბარი?

– დაახლოებით 150-მდე ცხოველი იქნება.

– ეს ნებისმიერი სახეობაა, თუ რომელიც ზოოპარკს აღარ ჰყავს?

– არა, ესენი არიან ის სახეობები, რომლებიც ჩვენ გადავუგზავნით, ზოგიერთი სახეობებისგან ჯერ თავი შევიკავეთ. ჩვენ რა ცხოველები გვინდოდა, ისინი გაგვიგზავნეთ EAZA-ს და მან გადაგზავნა ყველა ზოოპარკში და ვისაც რა ცხოველის მოცემა შეუძლია, იმას გამოგვგზავნის.

– დაახლოებით რამდენი ცხოველის მიღება შეუძლია ზოოპარკს ახლა?

– რამდენიმე სახეობა შეიძლება ერთად ჩასვას და აი, ამის გამო კონკრეტულად ვერ ვიტყვით. აუცილებელი არ არის, რომ თითო სახეობა თითო ვოლიერში იყოს.

– ოდესიდან გამოსავლენი ცხოველების მიღების პირობა ისევ ძალაშია?

– ძალიან ბევრია მოტივირებული, რომ ცხოველები გამოგზავნოს. შესაძლოა, ოდესიდანაც მივიღოთ, მაგრამ გააჩნია, რა ცხოველებზეა ლაპარაკი. მაგალითად, რომელიც არ გვყავს: მტაცებელი ცხოველების ერთი წყვილის მიღების შანსი, ალბათ, გვექნება. ეს ყველაფერი გასარკვევია, მაგრამ არის სახეობები, რომელთა მიღების რესურსებიც არ გვაქვს და ვერ მივიღებთ. ცხოველის ტრანსპორტირების თანხა განისაზღვრება მისი მოცულობით და სიდიდით და არა სახეობის უმთავრესობით. რაც უფრო დიდია ცხოველი, მით უფრო მეტი თანხა სჭირდება მის გადმოყვანას.

– და სად განთავსდება ის ცხოველები?

– ჯერჯერობით აქ იქნებიან, პარალელურად დანერგულია მუშაობა თბილისის ზღვაზე. ჯერ შემოღობვითი სამუშაოები, უნდა შემოღობონ. რა თქმა უნდა, პროექტირების გარეშე არაფერი იქნება და ახლა სწორედ ამ ეტაპზე ვიმყოფებით.

– როდის გადავა ზოოპარკი თბილისის ზღვაზე?

– როგორც გითხარით, უკვე დანერგულია მუშაობა, მაგრამ ზოოპარკის ამენება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და წლების განმავლობაში გაგრძელდება. ახალი ზოოპარკი თბილისის ზღვაზე წლების შემდეგ ამენდება. მანამდე კი ისევ აქ ვიქნებით და აქ შეეძლება ხალხს მოსვლა. ბიუჯეტი არ აქვს ჯერ, შერჩეულია ტერიტორია და მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფომ არა მგონია, შეძლოს ასეთი პროექტის განხორციელება. ჯერ

„ხმაგაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ზოოპარკში ცხოველები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით იკვებდნენ“

რკი სექტემბრიდან ახალ სისტემას იწყებს



ზურაბ ბურიელიძე:
„ყველაზე გვიან,
გაზაფხულისთვის
ცხოველები ისევ
გვესტუმრებიან“



როგორ გამოიყურება ამჟამად სტიქიის შედეგად განადგურებული ტერიტორია?

EXCLUSIVE

თანხა არ არის მოპოვებული. რამდენად სწრაფად მოხდება ახალი ზოოპარკის აშენება, ეს დამოკიდებულია თბილისის მერიის, ჩვენზე და დონორებზე. რადგან სახელმწიფო ამ პროექტს უზრუნველყოფს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გულუხვად დავეხმარებოდეთ დავეხმარებოდეთ და ველოდით. ჩვენც უნდა ვიმუშაოთ.

– ახუ შეიძლება ითქვას, კვლავ სტიქიის ზონაში რჩებით?

– ხო, მაგრამ ჩვენ სტიქიისგან დაზარალებულ სივრცეს აღარ მივეკარებოთ, იმიტომ რომ სტიქია ისეთი რამეა, ამის პროგნოზს ვერ გავაკეთებთ. ამიტომ სჯობია, საერთოდ აღარ გავეკაროთ იმ დაზიანებულ ადგილს. ჩამოყვანილი ცხოველები სხვა ტერიტორიაზე განთავსდებიან, უნდა მოწესრიგდეს ტერიტორია და ვოლიერები უნდა გაკეთდეს. ეს საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია. არიან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებმაც ვოლიერების აშენებაში შემოგვთავაზეს დახმარება.

– და ეს ყველაფერი რა თანხებით კეთდება?

– ნაწილი ზოოპარკის ბიუჯეტით, ნაწილი მერიის ბიუჯეტის დახმარებით. ცხოველებს უფასოდ გვამლევენ. ზოოპარკები ცხოველებით არ ვაჭრობენ, შესაბამისად, ამ ცხოველებს მივიღებთ უფასოდ. ტრანსპორტირების ღირებულება მინიმუმამდეა დაყვანილი, არიან ზოოპარკები, რომლებიც ცხოველებს

თავიანთი ტრანსპორტირების ხარჯით გვანვდიან.

– ზოოპარკის სივრცეში თქვენი ხარჯებით კეთდება ყველაფერი?

– არა მერამ დაგვიმატა თანხა, მაგალითად, იგივე ბუქმონის ვოლიერისთვის, ზოგიერთი სხვა სამუშაოებისთვის, გარდა ამისა, ველოდებით სხვადასხვა ფონდებისგან დახმარებას, რომლებმაც სიტყვიერი დაპირება მოგვცეს. ვინც რას დაგვპირდა, ვგულისხმობ ფონდებსა და ზოოპარკებს, ყველა ასრულებს თავის დანაპირებს. ზოგადად, ჩვენ დაფინანსების ორი წყარო გვაქვს: თბილისის მერია ბიუჯეტიდან 2 700 000 ლარით გვაფინანსებს. დაგეგმილი იყო ასევე 1 300 000 ლარის შემოსავალი ბილეთებიდან და ატრაქციონებიდან, ახუ შიდა სივრცედან მიღებული შემოსავალი, მაგრამ ახლა ამ გეგმას ვერ შევასრულებთ, მთავარი სეზონი ჩაგვივარდა. ჩვენ ხმამაღლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს ზოოპარკში ცხოველები საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით იკვებებიან. ეს თანხა ხელფასების საერთაშორისო სტანდარტებს ვერ აკმაყოფილებდა, თორემ კვებას ჰყოფნიდა.

– არის ცხოველთა სახეობები, რომლებიც სრულიად განადგურდა?

– მინიმუმ ორგანოა შემცირებული ცხოველების რაოდენობა, ეს განსაკუთრებით ძუძუმწოვრებს, მტაცებლებს შეეხება. მსხვილი მტაცებლებიდან მხოლოდ

„ევროპის თითქმის ყველა ზოოპარკი, და არამარტო ევროპის, გზად არის, დაბვეხმაროს“



ოდ ორი სახეობა დაგვრჩა: ლეოპარდი და თეთრი ვეფხვები. ჩვენ გვქონდა საკმაოდ კარგი კოლექცია. დიდი კატების ყველა წარმომადგენელი გვყავდა, ვეფხვები, იაგუარები, ლომები, თეთრი ლომები, თეთრი ვეფხვები... სამწუხაროდ, ახლა დარჩენილი ლეოპარდები და თეთრი ვეფხვები. პრიმატები მთლიანად განადგურდნენ. იყვნენ საინტერესო ცხოველები, როგორებიცაა მილკილა (არდვარკი). ძალიან ბევრი სახეობაა ისეთი, რომელთა ხელმეორედ ჩამოყვანა ძალიან დიდ პრობლემებთან იქნება და-

კავშირებული. აქედან გამომდინარე, ეს დანაპირი აუნაზღაურებელია.

– რა პრობლემებთან არის დაკავშირებული?

– მაგალითად, ქოჩორა გიბონი, რომელიც ერთ-ერთი უიმეოესი სახეობაა და ევროპულ ზოოპარკებშიც მხოლოდ ერთი ულტიმუმი ჰყავდა. სხვა გიბონები აუცილებლად იქნებიან, მაგრამ ასეთი რომ იყოს, ეჭვი მეპარება. ძნელი სათქმელია, რამდენად შესაძლებელი იქნება თუნდაც მილკილას მოძიება, რომელიც აფრიკიდან ჩამოვიყვანეთ და ერთ-ერთი ყველაზე

უფრო იშვიათად სანახავი ცხოველია როგორც ზოოპარკებში, ასევე ბუნებაში. სამწუხაროდ, ისიც დაიღუპა და ბევრი ასეთი. იაგუარები, რომლებიც ძალიან კარგი ეგზემპლარები იყვნენ, აღარ არიან.

PS. დიდი დანაპირის მიუხედავად, თბილისის ზოოპარკი სექტემბრიდან ახალ სივრცეს იწყებს, თუმცა ჩვენს ფოტორეპორტაჟშიც კარგად ჩანს, რომ 13 ივნისის ტრაგედიის კვალი ჯერაც არ ნაშლილა.



„ბებრი სახეობა არის ისეთი, რომელთა ხელმეორედ ჩამოყვანა კალიან დიდ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული, აქედან გამომდინარე, ეს დანაპირი აუნაზღაურებელია“



შვიდი წლის შემდეგ შეცვლილი ჩვენება

ნინო გაბინაშვილი

„ტელეფონზე დამირეკა ვიღაც ბიჭმა, რომელიც „იკათი“ გამეცნო, მითხრა, შენი გაცნობა მინდა და ჩამოდიო, იქნებოდა ასე 20-23 წლის, რომელსაც მე ადრე არ ვიცნობდი, იმ უცნობმა მითხრა, მე შენ მომწონხარ და შენთან სექსობრივი კავშირი უნდა დავამყარო, და თუ შენ ჩემთან სექსობრივი კავშირის დამყარებაზე უარს იტყვი, მოგკლავო. მე შემეშინდა და გავყვი მას... შემეშინდა არ მოვეკალი და წინააღმდეგობას არ ვუწვევდი, მე მას არ ვუცემეფარ... ის იყო მთვრალი და მისი ამოცნობა შემიძლია“, - ეს არის ნაწყვეტი 12 წლის გოგონას ჩვენებიდან, რომელიც მან გამოძიებას 2008 წლის 2 მარტს მისცა.

არასრულწლოვანის გაუპატიურების მუხლით, ფოთის პოლიციის განყოფილებაში, იმთავითვე დაიწყო გამოძიება.

მომხდარიდან მეორე დღეს, დილის 07:45 საათზე სამართალდამცველებმა ფოთის მკვიდრი, შალვა შალიკაშვილი საკუთარი სახლში დააპატიმრეს. 2008 წლის 31 ივლისს ფოთის საქალაქო სასამართლომ შალიკაშვილს მსჯავრი დასდო 2008 წლის 2 მარტს ძალადობით და ძალადობის მუქარით მცირეწლოვანი მ.ს.-ს გაუპატიურებაში და 14 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. შალიკაშვილმა თავი დამნაშავედ არ სცნო.

ალბათ, მკითხველს გაუჩნდება კითხვა, თუ რატომ დაინტერესდით 2008 წელს ჩადენილი დანაშაულით, რომელიც ერთი მეხედვით მართლაც საზარელია. საქმე ის გახლავით, რომ მომხდარიდან 7 წლის შემდეგ, დაზარალებული გოგონა ჩვენებს ცვლის და აცხადებს, რომ იგი არავის გაუპატიურებია. მის ამ განცხადებას თუ დავეყრდნობით, გამოდის, რომ სრულიად უდანაშაულო ახალგაზრდა მამაკაცი ციხეში ცრუ-დასმენის შედეგად გამოკეტეს.

ამ საქმის დეტალებს უფრო შორს მივყავართ და ჩვენც ოდნავ შორიდან დავიხეხებთ. საქმე ის გახლავით, რომ 2006 წელს უგზო-უკვლოდ გაუჩინარდა შალვა შალიკაშვილის ძმა - გია. სამთავრობო ძებნის შემდეგ ცხედარი პალიატომის ტბაში იპოვეს. გვამი საკმობდ ნაწამები იყო... ყველაფერი იმაზე მიუთითებდა, რომ გია შალიკაშვილი ჯერ მოკლეს, შემდეგ კი გვამი ტბაში გადააგდეს.

ოჯახის განცხადებით, გაუჩინარების დღეს გია შალიკაშვილი საქმის გარეგნულ მიზნით მანქანაში ჩასვა ვინმე გურამ ახალაიამ. ამის თვითმხილველი გიას ძმა - შალვა შალიკაშვილი გახდა. ოჯახი ამ დღიდან ყველა საშუალებით ცდილობდა სამართალდამცველების ყურადღების მიპყრობას, თუმცა ამაოდ. გია შალიკაშვილის საქმის ერთადერთი მოწმე, მისივე ძმა ერთხელაც კი არ დაუკითხავთ. მაღვამ იცოდა თუ როდის და როგორ მოხდა მისი ძმის გატაცება და რომელ მანქანაში ჩასვეს. საინტერესოა ხარი, რომელიც ძალგამ ძმის ტელეფონზე განახორციელა. მას ზემოხსენებულმა გურამ ახალაიამ უპასუხა და ესმოდა მისი განწირული ხმა. საქმის გამოძიების მოთხოვნის პარალელურად ოჯახი მუდმივად აწყვეტდა მუქარას, რომ გაჩუმებულიყვნენ.

„გვეუბნებოდნენ, თუ არ გავჩუმდებოდით უარესი მოხდებოდა“, - ამბობენ შალიკაშვილების ოჯახში. როგორც შემდეგ გაირკვა, ეს „უ-



მთავარი პროკურორის სახელზე შესული განცხადება დანაშაულს თავდაყირა აყენებს

რისი“ არასრულწლოვანი გოგონას გაუპატიურების ბრალდებით, გარდაცვლილის ძმის, შალვა შალიკაშვილის დაკავება იყო. შალიკაშვილის ადვოკატის, ვახტანგ გაგნიძის განცხადებით, დაკითხვა მთელი რიგი კანონ დარღვევებით წარმოებდა. „გამოძიებამ არც გარკვევა მცირეწლოვანების გამო დაზარალებულს რამდენად სწორად შეეძლო აღქვა, აღედგინა, დაემხსოვრებინა და გადმოეცა ფაქტები“, - ამბობს ადვოკატი.

დაზარალებული „პრაიმტიმთან“ საუბრისას აღასტურებს, რომ წლების წინ ცრუ ჩვენება მისცა, რის საფუძველზეც ახალგაზრდა მამაკაცი ამაჟამადც პატიმრობაშია

თავდაპირველ, დაკითხვის ოქმებში არც დაზარალებული გოგონა და არც მისი დედა მოძალადეს არ ასახელებენ. მოულოდნელად საქმის მასალებში ჩნდება შალვა შალიკაშვილი.

სასამართლო პროცესზე შალიკაშვილმა დუმის უფლება გამოიყენა, რითაც, ფაქტობრივად, თავი დამნაშავედ არ სცნო.

დაზარალებულმა მ.ს.-მ სასამართლო პროცესზე გაიმეორა დაკითხვის დროს მიცემული ჩვენება და შალვა შალიკაშვილი კიდევ ერთხელ ამხილა.

ამ საქმეში ბუნდოვანია მ.ს.-ს ექსპერტიზის დასკვნაც. ციტატა დასკვნიდან: „საქალაქო აპკის მთლიანობა დარღვეულია, თუმცა აღებულ ნაცხებში სპერმატოზოიდები არ აღმოჩნდა“. შესაბამისად, გამოდის, რომ ბიოლოგიურად მოძალადის დადგენა ექსპერტიზით შეუძლებელია. დასკვნით მხოლოდ და მხოლოდ იმას ვიგებთ, რომ არ-

სრულწლოვან გოგონასთან მართლაც დამყარდა სექსუალური ურთიერთობა, თუმცა ვის მიერ, ეს ექსპერტიზის შედეგებით უცნობია.

მოკლედ, შალიკაშვილი, ალბათ, ბოლომდე მოხსნიდა სასჯელს, რომ არა 15 აგვისტოს, მთავარი პროკურორის სახელზე შესული განცხადება. განცხადებაში მოქალაქე მ.ს. ნერს, რომ 2008 წელს მან ცრუ

ქე შალვა შალიკაშვილი, იმის გამო, რომ თითქოს მან გამაუპატიურა. იგი ამჟამად ციხეშია და იხდის სასჯელს. მინდა გაცნობოთ და კატეგორიულად ვაცხადებ, შალვა შალიკაშვილს ჩემ მიმართ არავითარი ძალადობა და არც გაუპატიურება არ ჩაუდენია. უფრო მეტიც, არც მსგავსი რამ უცდია. მე შხად ვარ ვითანამშრომლო პროკურატურასთან, ვთქვა სრული სიმართლე მომხდარის შესახებ, რის გამოც ვითხოვ კვალიფიციურ გამოძიებას“, - ნათქვამია მ.ს.-ს განცხადებაში.

„პრაიმტიმმა“ მოახერხა გოგონასთან დაკავშირება. მთავარი კითხვა, რომელიც გამიჩნდა იყო ის, თუ რატომ შეეცალა 7 წლის წინ მიცემული ჩვენება. ის ამბობს, რომ მაშინ უცხო პიროვნებამ გააუპატიურა, შალვას კი მხოლოდ იმიტომ დააბრალა, რომ ეგონა მოძალადის სახელს უმაღლავა.

პირველ რიგში ბოდიშს გიხდით, რომ ძალიან მძიმე თემას ვეხები. მაინტერესებს 7 წლის წინ რატომ მიეცით ჩვენება შალვა შალიკაშვილის წინააღმდეგ? რეალურად რა მოხდა?

- მაშინ ძალიან პატარა ვიყავი, 12 წლის. დაკითხვა მოხდა იმ აზრით, რომ მალევე სტრესის ქვეშ ვიყავი, ყველა კითხვაზე „დიას“ „დიას“-ს ვუპასუხებდი.

დამინებას ხომ არ ჰქონია ადგილი? ან ვინმემ ხომ არ გითხრაო, რომ შალიკაშვილის წინააღმდეგ მიგეცა ჩვენება?

- არ მინდა დეტალებში გავისხინო ფაქტები. ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვიყავი, სტრესულში.

შალიკაშვილის თუ იცნობდი?

- არა, არ ვიცნობდი.

მალევე მიხვდი, რომ არასწორი ჩვენება მიეცე?

- დიას, მალევე, მაგრამ არასრულწლოვანი ვიყავი. უკვე შევიტანე განცხადება, რომ ცრუ ჩვენება მიმეცე.

პატიმრის ოჯახთან თუ გქონია რაიმე სახის ურთიერთობა?

- არა.

შენთვის მტკივნეული არ იყო კიდევ თავიდან გავგხსენებინა ეს ფაქტი?

- დიას, მაგრამ სინდისი

არ მომეცა საშუალებას თავისუფლად მეცხოვრა, როცა უდანაშაულო ადამიანი ციხეშია. იმედი მაქვს, ფოთის პროკურატურა გამოიძიებს ამ ფაქტს. დიდი იმედი მაქვს, გათვალისწინებენ ჩემს ჩვენებას.

პატიმრის ადვოკატმა, ამ განცხადების საფუძველზე არაერთხელ მიმართა სათანადო უწყებებს.

ვახტანგ გაგნიძე, ადვოკატი:

„ადგილი უქვს პატიმრის უფლებების უხეშ დარღვევას, 2008 წლიდან იგი უკანონოდ იხდის სასჯელს, სააკაშვილის რეჟიმის დროს ხდებოდა უკანონო დაპატიმრებები და შალიკაშვილი ერთ-ერთი მათგანია, დღეს ყველაზე გარემოება არსებობს მისი გამართლების, თუმცა ფოთის პროკურატურა საქმეს არ იძიებს. ეს საქმე არის პროკურატურის გამოსაძიებელი და შედეგ უნდა გადაეცეს სასამართლოს და შალიკაშვილის დროს მოსამართლე იყო, სუბიექტური დაინტერესება აქვს და ამჟამად იკვეთება ნეპოტიზმის ნიშნები“.

აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით, ვახტანგ გაგნიძემ სახალხო დამცველის აპარატსაც მიმართა.

„უჩა ნანუაშვილი გააოცა საქმის მასალებმა, თუმცა ამის შემდეგ რამდენჯერ მივმართე სახალხო დამცველის აპარატს, მაგრამ ვერ შევხვდი მას, სამწუხაროა, რომ დღეს სახალხო დამცველის აპარატი დაემსგავსა საჩივრების რეესტრს, ამ საქმის მიმართ უყურადღებობა ნიშნავს გამართლო ის ქმედებები, რასაც სააკაშვილის ხელისუფლება ახორციელებდა“.

განცხადება, რომელიც მთავარი პროკურორის სახელზე დაინერა და რომელმაც შესაძლოა ადამიანის ბედით გადაწყვიტოს, ამჟამადაც განუხილველია. ახალგაზრდა მამაკაცი კი დღემდე არჩადენილი დანაშაულისთვის იხდის სასჯელს.

ახლა მთავარი სიტყვა პროკურატურამ უნდა თქვას. საგამოძიებო უწყებამ ასევე პასუხი უნდა გასცეს კითხვას - რა კავშირშია შალვა შალიკაშვილის უკანონო დაპატიმრება მისი ძმის მკვლელობასთან.

„დღეს მისი გამართლების ყველანაირი გარეგანი არსებობა, თუმცა ფოთის პროკურატურა საქმეს არ იძიებს“



დაზარალებული: „სინდისი არ მიმცემდა საშუალებას თავისუფლად მიცხმოვრა, რომ უდანაშაულო ადამიანი ციხეშია“

ელოდა თუ რა თბილისს საავტომობილო კოლაფსი

სალომე ჩადუნელი

ავგისტოში თბილისში მანქანით გადაადგილება ნამდვილი სამოთხე იყო. რამდენიმე ცენტრალური ქუჩის გადაკვეთის მიუხედავად, საცობს თითქმის ვერსად წაწყდებოდით. გზები თავისუფალია, მანქანები ცოტა, პიკის საათებშიც კი.

თუმცა, სექტემბრის მოახლოებას ექსპერტები ძირითადად ელოდებიან. დედაქალაქში დაბრუნებულ ათი ათასობით მანქანას ორი ცენტრალური მაგისტრალი დაკეტილი დახვდება. მარშალ გელოვანის გამზირზე, მდინარე დილშულაზე ხიდის რეკონსტრუქცია მიმდინარეობს; ვაკე-საბურთალოს ახალი გზის შეკეთებას კი კიდევ ერთი თვე დასჭირდება. სტიქიის დროს დაზიანებულ გვირაბებსა და გზებს რეაბილიტაცია უჭირდება.

ექსპერტები ნამდვილ საავტომობილო „ნარღვენს“ წინასწარმეტყველებენ და თითქმის მეორედ იმეორებ, რომელიც მათი მტკიცებით, არაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ქალაქში საცობები აღარ იყოს. მერიას ინფრასტრუქტურის განვითარების ვალდებულება აქვს აღებული და სწორედ ისაა პასუხისმგებელი მოქალაქეების უსაფრთხოდ გადაადგილებაზეც.

აქ ორი ფაქტორი უპირისპირდება ერთმანეთს: ზოგიერთი ექსპერტის მიხედვით, რომ გზებზე მანქანებით გადაადგილება რალაქ პერიოდში გართულდება და მეორე, მერიის პასუხისმგებლობა უსაფრთხოდ იმპროვიზირებულ სიტუაციებში ხიდებსა და გზებზე. ზოგიერთი ექსპერტის საპასუხოდ, მერია სწორედ ამ პასუხისმგებლობაზე ამხევილებს ყურადღებას.

„მდინარე დილშულაზე გადასასვლელი ხიდი 1958 წელს დაპროექტდა და აშენდა. ბოლო რეკონსტრუქცია 1970-ან წლებში ჩატარდა, ხოლო ბოლო გამოკვლევა 2000 წელს.

თბილისის მერიის ინიციატივით ხიდების გამოცდა მდგრადობასა და ავარიულობაზე დედაქალაქის მასშტაბით ჩატარდა. ს.ს.იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „ხიდსაცდელმა ცენტრმა“ გამოკვლევა ჩატარა 20 ხიდე და 1 გვირაბზე, რომლებზეც ათწლეულებია არ ჩატარებულა არც კვლევა-შემოწმება და შესაბამისად, არც რეაბილიტაცია.

ხიდების, ხიდი აკვედუკების, გზაგამტარების და პანდუსების გამოცდის შედეგად გამოვლინდა, რომ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ხიდებზე არსებობს სხვადასხვა კატეგორიის დაზიანებები, მათი მანძილი კი იმდენად ავარიულ მდგომარეობაში იმყოფება, რომ საჭიროებს სასწრაფო რეაბილიტაციას.

არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე თბილისის მერიის კუთრი მონიჭების საქალაქო მასშტაბით ხიდების რეაბილიტაცია მიმდინარე წლის ერთ-ერთ პრიორიტეტად განსაზღვრა. რეაბილიტაცია უკვე ჩატარდა მეტეხის საგვირაბო კომპლექსის გაგრძელებაზე არსებულ ხიდებს. მიმდინარეობს აღმასმენბლის ხეივანიდან მუსხატგერისკენ გადასასვლელი ხიდის რეაბილიტაცია. სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის დეკემბერში.

სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს მარშალ გელოვანის გამზირზე მდ. დილშულაზე არსებულ ხიდზე. სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის დეკემბერში - ეს განმარტება „პრაიმტიმმა“ მერიიდან მიიღო.

ახლა ვნახთ რისი ემინიათ და რას პროგნოზირებენ ექსპერტები. ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის თავმჯდომარის დავით მესხიძის განცხადებით, მოლოდინი საკმაოდ მძიმეა და სატრანსპორტო კოლაფსი სერიოზულ პრობლემებს შექმნის.

„თუ დედაქალაქში სატრანსპორტო კოლაფსი შეიქმნება სასწრაფო, სახანძრო, სამაშველო სამსახურები თავის დროზე საჭირო ადგილას ვეღარ მივლენ. საერთოდ თუ მივიდნენ. დედაქალაქის მერია პრობლემას სიღრმეში არ ეძებს და მძღოლებს ხოლოდ შენიშვნებს აძლევს. მეორე პრობლემა



ყოველდღიურად, დედაქალაქში მოძრაობი ტრანსპორტის რაოდენობა 400 000-ს აჭარბებს

სუფთა ეკონომიკური თვალსაზრისით, ტაქსი იქნება თუ დისტრიბუციის მანქანა აზრი არ აქვს, გადაადგილების ხარჯი ყველას გაეზრდება. როდესაც მოძრაობა გადატვირთულია და წელა ვმოძრაობთ, სანავის ხარჯი ორჯერ იზრდება და როცა ჩვენ ვლაპარაკობთ კოლაფსზე და ჩაქვილი გზებზე, სანავის ხარჯი სამჯერ იზრდება. ტაქსის მძღოლისთვის სანავის სამჯერ გაძვირება მგზავრების გაძვირებას ნიშნავს. დისტრიბუციის ავტომობილებისთვის ტრანსპორტირების ხარჯი მოიმატებს. რამდენჯერაც მოიმატებს სანავის ხარჯი, იმდენჯერ მოიმატებს მასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. ჩვენ ევროპის მასშტაბით შვედის დაბინძურების მაჩვენებლით სამარცხვინო სიაში ვართ. დედაქალაქის მთავარი დამაბინძურებელი წყარო გამოწვევები, ამორტიზებული ავტომობილები აბინძურებს შვედს. არა ტექნიკური დათვლიერება, ამას საკომში დგომა ემატება, მით უმეტეს მაშინ, როცა დამძვრასა და შემდეგ შეჩერებას აკეთებ. ამიტომ ევროპაში შვედის დაბინძურების მაჩვენებლებით „საუკეთესოები“ ვართ, ეს გამყარდება და ვეღარც ჩამოვალთ წლების განმავლობაში. ამ ყველაფერს გამოიწვევს ის სატრანსპორტო მოძრაობა, რომელიც სექტემბერში გველოდება.“

და მაშინ ისმის მთავარი კითხვა: რას ირჩევს საზოგადოება. დროებით თავი შეიკავოს

საკუთარი მანქანებით გადაადგილებისგან, სანამ ხიდები და გზები გადაადგილებისთვის უსაფრთხო გახდება თუ იმპროვიზირების რისკს ქვეშ იმ მოლოდინით, რომ წინააღმდეგობა უზედური შემთხვევა ისევ მორიგი ტრაგედიის წინაშე დაგვაყენებს.

რა თქმა უნდა, გამოსავალი ინფრასტრუქტურის განვითარებაა, ახალი ესტაკადები და ხიდები უნდა აშენდეს, რაც ისევ და ისევ გზების გადაკეტვას მოითხოვს. მზად არის საზოგადოება ამას გაგებით მოეკიდოს? არა, და არც არასოდეს იყო. ექსპერტები მაშინაც მნავე კრიტიკით გამოდიოდნენ, საზოგადოება მაშინაც მოუთმენელი იყო. თუმცა, როცა ახალი ესტაკადები გაიხსნა და ამოქმედდა, ყველა დარწმუნდა პროექტების აუცილებლობაში.

მერიის განმარტებით დედაქალაქის მასშტაბით სხვა პროექტებიც ხორციელდება:

„მიმდინარეობს ახალი ხიდის მშენებლობა გვირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩების დამაკავშირებელ მაგისტრალზე, რომელიც 13 ივნისის სტიქიის შედეგად დაზიანდა. სამუშაოები დასრულდება მიმდინარე წლის სექტემბრის ბოლოს.

სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურ ფაზაშია შესული მდ. მტკვარზე, ბარათაშვილის სახელობის ხიდზე. სამუშაოები დასრულდება 2016 წლის გაზაფხულზე. მიმდინარე წელს რეაბილიტაცია დაიწყება ვახუშტისა და დეგულიას ხიდებზე (ამ პროექტებზე სამუშაოები დასრულდება).

ექსპერტები რამდენიმე მთავარ პროექტზე: რკინიგზის ადგილას ახალი მაგისტრალია და მტკვარზე დამატებითი ხიდების აშენებაზე საუბრობენ.

დავით მესხიძის: „დათვლილია, რომ მარჯვენა და მარცხენა სანაპიროებზე ტრანსპორტის 37% ტრანზიტულია. თუ რკინიგზის ახალი მაგისტრალი გაკეთდება, მთელი ეს მოძრაობა გადავა ამ მაგისტრალზე გვირთა მოედანი და სააკადის მოედანი - ამ ორ ნერტილზე მოძრაობა ქალაქში საგრძნობლად გადატვირთული. სააკადის მოედანს ამიძიმებს პარკინგი შუაგზაში, რაც არანორმალურია, მაგრამ სხვა გზა რომ არაა, იმიტომ არის იქ. სააკად

ის მოედანზე ორდონიანი მოძრაობა უნდა მოენყოს. უნდა მოხდეს გვირთა მოედნის რეკონსტრუქცია და მანამდე სააკადის მოედნის, რომელიც ქალაქის კვანდად გადაიტყა, უნდა აშენდეს მარჯვენა და მარცხენა სანა



პიროს დამაკავშირებელი ერთი დამატებითი ხიდი, იმიტომ რომ ხიდები გადაიტვირთა და განმუხტვისთვის საჭიროა პროექტები. სულ შეჩერებულია 12 მასშტაბური პროექტი.“

ამის პარალელურად მერია იმ პროექტებზე გვესაუბრება, რომლის განხორციელებაც ან დაწყებულია ან მალე დაიწყება.

„სავაო მოძრაობის საკითხების რადიკალური გადაწყვეტისათვის აუცილებელია შეიქმნას თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი საგზაო ქსელი, მაგრამ ასეთი მოცულობის სამუშაოები მოითხოვს არა მარტო დიდ კაპიტალ დაბანდებას, არამედ იწვევს რთულ სოციალურ პრობლემებსაც, რაც დაკავშირებულია ქალაქის რეკონსტრუქციასთან. ასეთ პრობლემებს განსაკუთრებით ვაწყდებით ჩვენი დედაქალაქის ისტორიულად ჩამოყალიბებულ ძველ უბნებში, სადაც, პრაქტიკულად, შეუძლებელია ქუჩების სარეკონსტრუქციო სამუშაოების ჩატარება.“

დედაქალაქში სატრანსპორტო სამუშაოების შეუფერხებელი და უსაფრთხო მოძრაობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია განხორციელდეს ახალი ქუჩების, ხიდების, გადასასვლელების, ქუჩების სხვადასხვა დონეზე გადაკვეთების, გვირაბების მშენებლობები და ა.შ. ასეთი ღონისძიებები გათვალისწინებული იქნება თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაში, სადაც მითითებული იქნება თითოეული ასეთი ღონისძიების განხორციელების ვადა. (თბილისის განვითარების გენერალურ გეგმაზე კონკურსი დასრულდა და გამარჯვებულის გამოვლენის

პროცესი მიმდინარეობს)... წელს ასზე მეტი ქუჩა მოწესრიგდა და პროცესი გრძელდება.

რაც შეეხება მასშტაბურ პროექტებს, რომლის რეალიზაციაც იგეგმება, ესენია: კონანის-მინდისის დამაკავშირებელი გზა, რომელზეც უკვე მიმდინარეობს პროექტის სამუშაოები და გზის მშენებლობა მომდევნო წლის გაზაფხულზე დაიწყება. მიმდინარე წლის ზაფხულის დასრულებამდე მოხდება გაზის მილის გადასანა. შემოდგომაზე გადაიარგება ხეები, რათა მოხდეს ტრასის გაფართოება და მოძრაობის განტვირთვა. 2016 წლიდან მოხდება აღნიშნული გზის გაფართოება, კაპიტალურად შეკეთება და 7 მეტრი სიგანის ახალი გზა გაკეთდება. აღნიშნული სატრანსპორტო ნაკადებისაგან განტვირთავს ისეთ ცენტრალურ ქუჩებს, როგორცაა: ლეონიძის, ლერმოზტოვის, მარაბლის, ასათიანის, დავითაშვილის, ამალბის, იაშვილის და მათ მიმდებარე ქუჩებს.

გარდა ამისა, იგეგმება სამებისა და მახათას მთის დამაკავშირებელი გზის გაყვანა, რომელიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტი იქნება.

ამასთან, აეროპორტის ხიდიდან ლოჭინის ხილამდე დაგეგმილია გზის კაპიტალური შეკეთება. ამჟამად აღნიშნულ გზაზე აეროპორტის ხიდიდან ცალმხრივი მოძრაობა ხდება ორმხრივი და გზა ვიწროვდება, არ არის გამყოფი ზოლი. ამ პროექტთან დაკავშირებით ტენდერი გამოცხადებულია. პროექტი, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს იქნება და მოდერნიზაცია ჩატარდება აეროპორტის ხიდიდან თბილისის გასასვლელამდე გზის მონაკვეთს.

პროექტით განხორციელების შემდეგ სატრანსპორტო ნაკადების განტვირთვა ისეთი სატრანსპორტო კვანძები, როგორცაა: კახეთის გზააკვეცილის გადაკვეთა ოუშაშვილის ქუჩასთან, ლილოს სადგურთან, სახევის დასახლებიდან და სოფელ

ნასაგურიდან გამომავალი გზების გადაკვეთასთან.

მოხსარიგდება ასევე სატრანსპორტო კვანძები. იგეგმება ცინცადისა და თამარაშვილის ქუჩების კვეთაზე სატრანსპორტო კვანძის მოხსარიგება და დაგეგმილია შექმნის მოხსარა და მოძრაობის განმუხტვა. აღნიშნული პროექტი 2016 წელს დასრულდება სატრანსპორტო კვანძის მოხსარიგება ცინცადისა და კარტოზიას ქუჩების კვეთაზე.

სატრანსპორტო კვანძი მონესრიგდება ასევე ამერიკის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე. იგეგმება არსებული მოქმედების გაუქმება და ნოიუი მოძრაობით სატრანსპორტო მოძრაობის განტვირთვა.

პროექტების სტადიაშია თბილისის მთავარი გამზირის (რუსთაველის) პუშკინის ქუჩით სანაპიროებთან დაკავშირება, პუშკინის ქუჩაზე სატრანსპორტო სამუშაოების ორმხრივი მოძრაობის აღდგენა, რომელიც განტვირთავს მარჯვენა სანაპიროს, მშრალი ხიდის მიმდებარე ტერიტორიასთან და მიმდებარე ქუჩებს (სანტორიას, ფურცელაძის, ვანჩაძის, ვირსალაძის)...

სავაო ინფრასტრუქტურის მონესრიგებისთვის, მიმდინარე წელს 45 მილიონი ლარია გათვალისწინებული და პროექტების უმეტესობა დასრულდება.

P.S. ვითარება საკმაოდ მძიმეა, პრობლემა კომპლექსური, თუმცა ფაქტია, რომ მასშტაბური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებამდე საცობები დგომა მოგვინებს.

რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე დივირსიულ აქტივს გაგმავს

მირიან ბოქოლიშვილი

საქართველოში რუსეთის მხრიდან მორიგ პროვოკაციებს ელოდებიან... ექსპერტები არ გამორიცხავენ, რომ მცოცავი ოკუპაციის შემდეგ ჩრდილოელი მეზობელი დივერსიულ აქტივზე გადავიდეს. რუსეთის აგრესიული ქმედებებს საფუძვლად შესაძლოა, ნატოს საწვრთნელი ბაზა დაედოს, რომელიც გასულ კვირას ნატო-ს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ლარიაშვილმა გახსნეს. ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნისა და შეფასების ცენტრი ეროვნული სასწავლო ცენტრ „კონანისის“ ტერიტორიაზე გახსნა.

ინაუგურაციის ცერემონიის ფარგლებში იენს სტოლტენბერგი საქართველოს შეიარაღებული ძალების იმ ასეულს შეხვდა, რომელიც ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებისთვის გადამზადდა.


ლონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ საქართველოს თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ლარიაშვილი, ნატო-ს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი გიორგი მარგველაშვილი. ლონისძიებას აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები დაესწრნენ.

წვრთნისა და შეფასების ცენტრის დაარსება უელსის სამიტზე მიღებული ნატო-საქართველოს არსებით ღონისძიებათა პაკეტის ფარგლებში იყო გათვალისწინებული. ცენტრის, ისევე როგორც პაკეტის სხვა ინიციატივის მიზანია საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება, თავდაცვისუნარიანობის ამაღლება და ნატო-ს ძალებთან თავსებადობის გაზრდა. სხვადასხვა სახის წვრთნების ჩატარების მიზნით, ცენტრი საქართველოში არსებულ ყველა საწვრთნელ ინფრასტრუქტურასა და შესაძლებლობას გამოიყენებს. პროექტის განხორციელებას, ქართველ კოლეგებთან ერთად, ნატო-ს წევრი ქვეყნების, კერძოდ, დანიის, ლატვიის, ლიტვისა და ნორვეგიის წარმომადგენლები ხელმძღვანელობენ.

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლების არარტოგზის მტკიცებისა, რომ აღნიშნული ცენტრი რუსეთის ინტერესებს არ ეწინააღმდეგება, ოფიციალური მოსკოვი გალიზიანებს არ მალავს. ქართველი ექსპერტები კი, როგორც უკვე გითხ-

რა პროვოკაციებს ელიან ექსპერტები?

„გააქტიურდება მცოცავი ოკუპაცია და ე.წ. საზღვარს სხვადასხვა მიმართულებით კიდევ გადმოსწვინ“



– რა პროვოკაციებს უნდა ველოდით ამ ცენტრის გახსნის შემდეგ?

– რუსეთის მხრიდან პროვოკაციებს ყოველდღე უნდა ველოდით. ჩემი აზრით, გააქტიურდება მცოცავი ოკუპაცია და ე.წ. საზღვარს სხვადასხვა მიმართულებით კიდევ გადმოსწვინ. ისევე და ისევე იქნება საქართველოს მოქალაქეების გატაცება ოკუპირებულ რეგიონში. უარეს შემთხვევაში, უნდა ველოდით დივერსიულ აქტივს ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე, იქნება ეს ელექტროგადამცემი ხაზები თუ გაზსადენი.

– უკიდურეს შემთხვევაში შესაძლოა თუ არა საქმე სამხედრო აგ-

რობის მხრიდან. ეს ცენტრი არანაირ პრობლემას არ წარმოადგენს რუსეთისთვის. მოსკოვში ამას ძალიან კარგად აცნობიერებენ, რადგან ბუნებრივია, არავინ არ აპირებს ნატოს რეკეტების რუსეთისკენ მიშვრას. უბრალოდ, რუსეთი მიიჩნევს, რომ საქართველო, როგორც პოსტსაბჭოთა ქვეყანა, უნდა წარმოადგენდეს მისი გავლენის სფეროს. აქედან გამომდინარე, მას ალიზიანებს ნატოს ნებისმიერი სამხედრო ობიექტის განთავსება საქართველოს ტერიტორიაზე.

მაშუკა არეშიძე, ექსპერტი:

– რასაკვირველია, ეს გამოიწვევს რუსეთის გალიზიანებას. რუსეთმა რამდენჯერმე კულუარულადაც და ლიადაც გააფრთხილა ქართული მხარე, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა. ამ თემის გარშემო ძალიან ბევრი მოსაზრება გამოითქვა, მაგრამ საზოგადოებას აინტერესებს ერთი მთავარი საკითხი – რამდენად იქნება დაცული? სწორედ ამ ფუნდამენტური უნდა ამოვიდეთ, როდესაც ვსაუბრობთ მსგავს საკითხებზე. რაც შეეხება პროვოკაციებს, რა თქმა უნდა, ეს მოსალოდნელია.

– რაში შეიძლება გამოიხატოს ეს პროვოკაციები?

– თავისთავად პროვოკაციაა ე.წ. ბანერის აქტი-იტი გადატანა, ე.წ. საზღვრის გადმოწევა და საპატრონო სივრცის დარღვევა. რასაკვირველია, ამ ეტაპზე სამხედრო ტიპის ინტერვენციას არ ვგაზარაუდობ, იმიტომ რომ თავად რუსეთს არა აქვს ახლა ამის თავი, მაგრამ სხვადასხვა ტიპის პროვოკაციებს ნამდვილად უნდა ველოდით. მაგალითად, ცოტა ხნის წინ თურქეთის ტერიტორიაზე მოხდა საქართველოში გამავალი გაზსადენის აფეთქება. ეს დაპირადებით ქართული პარტიზანული მოძრაობის წევრებს. ეს ასევე არის მაღალი ალბათობით, რადგან ქურთები თავის ინტერესებს იცავენ და ცდილობენ, ოფიციალური ანკარა გარკვეული შეთანხმებების შესრულებაზე დაიყოლონ. მაგრამ აქვე არ უნდა დაგვავინწყდეს, რომ რუსეთს ძალიან დიდი გავლენა აქვს ქართულ პარტიზანულ მოძრაობაზე და პოლიტიკურ ლიდერები –

ბზე. შესაძლოა, სხვა დროს ეს საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენონ.

– ანუ არსებობს დივერსიული აქტივების ალბათობა?

– რასაკვირველია. ყველაფერი შეიძლება მოხდეს. დღეს რუსეთის უმნიშვნელოვანესია სამი რამ: საქართველოს ტერიტორიაზე არ იყოს ნატოს არანაირი ინფრასტრუქტურა, არ გაიზარდოს საქართველოს და თურქეთს შორის სამხედრო თანამშრომლობა და მესამე – ჩინეთი, როგორც ეკონომიკური მოთამაშე, არ შემოვიდეს სამხრეთ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში.

– ნატოს გენერალურ მდივანთან შეხვედრისას პრემიერ-მინი-

ლი ზოლის შეჩერების მცდელობა. ცხადია, ეს ცენტრი რუსეთისთვის განსაკუთრებულ საფრთხეს არ წარმოადგენს, რადგან ეს არ არის შემტევი ფუნქციის მატარებელი ინფრასტრუქტურა. ეს არის ბაზა, სადაც წვრთნებს გაივლიან ქართველი სამხედროები და სამოკავშირეო ქვეყნის სხვა წარმომადგენლები, მაგრამ რუსეთი სხვა კატეგორიით ფიქრობს – თუ დღეს გაიხსნა საწვრთნელი ბაზა, ხვალ შეიძლება ვიხილოთ ნატოს სამხედრო ბაზა.

P.S. ნატო-ს საწვრთნელი ცენტრის გახსნას უკვე მოჰყვა გამომხატურება მოსკოვში. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ამ

ნიკა ჩიტიაძე: „უნდა ველოდით დივირსიულ აქტივს ინფრასტრუქტურულ ობიექტებზე“

არით, პროვოკაციების გააქტიურებას პროგნოზირებენ.

ნიკა ჩიტიაძე, ექსპერტი:

– საქართველოში ნატოს წვრთნისა და შეფასების ცენტრის გახსნა მისასაღებელია, თუმცა მოსალოდნელი იყო, რომ ამას მოჰყვებოდა რუსეთის გალიზიანება. ალბათ, შემთხვევითი არ იყო ის არაოფიციალური ინფორმაცია, რომლის თანახმადაც ზუსტად ამ დღეს რუსეთმა კიდევ ერთხელ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე. მართალია, ეს ინფორმაცია თავდაცვის უწყებამ უარყო, მაგრამ ფაქტია, რომ მაღალი დონის ვიზიტების დროს რუსეთი ასეთ პროვოკაციულ და გამოწვევ ქმედებებზე უარს არ ამბობს. მოგეხსენებათ, ასე მოხდა ევროკავშირის წარმომადგენლის, დონალდ ტუსკის ვიზიტისას, უფრო ადრე კონდოლიზა რაისის ვიზიტის დროს, რაც, სხვათა შორის, თავად რუსეთშიც აღიარა. ასეთი ქმედებები არის რუსეთის მხრიდან დაფიქსირება იმისა, რომ სწორედ ის არის ბატონ-პატრონი საქართველოსი და მთლიანად კავკასიის რეგიონის, მას ძალუქს უგულვებლყოს საერთაშორისო სამართლის ნორმები.

რესიამდე მივიდეს?

– ამ ეტაპზე ეს ნაკლებსავარაუდოა. არსებობს სხვა მეთოდებიც, მათ შორის ჩემ მიერ ნახსენები დივერსიული აქტივები, რაც აგრესიის ერთ-ერთი ფორმაა. თუმცა იმედი მაქვს, ამ შემთხვევაშიც საქართველო არ იქნება მარტო და ჩვენ მივიღებთ მტკიცე და ერთიან მხარდაჭერას ევ-



მაშუკა არეშიძე: „რუსეთმა რამდენჯერმე, კულუარულადაც და ლიადაც, გააფრთხილა ქართული მხარე, რომ ეს ნაბიჯი არ გადაედგა“

სტრმა რამდენიმე მესიჯი გააუფერა რუსეთის მისამართით და ხაზი გაუსვა, რომ ეს სასწავლო ცენტრი არ არის მიმართული ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის წინააღმდეგ... ეს ერთგვარად პრევენციული განცხადებები ხომ არ არის იმ საფრთხის შესაკავებლად, რომელზეც ახლა თქვენც საუბრობთ?

– რასაკვირველია ეს არის ნითე-

ფაქტს ალიანსის პროვოკაციული პოლიტიკის გაგრძელებად აფასებს. სერგეი ლავროვის უწყებში ოფიციალური წარმომადგენლის განცხადებით, რუსეთი კვლავაც განაგრძობს საკუთარი მოკავშირეების აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის უსაფრთხოების საიმედო დაცვას და ნატო-საქართველოს თანამშრომლობის განვითარებაში სიახლებს სათანადოდ გაითვალისწინებს. „ამ ნაბიჯს განვიხილავთ როგორც ალიანსის პროვოკაციული პოლიტიკის გაგრძელებას, რომელიც მიმართულია საკუთარი გეოპოლიტიკური გავლენის გაფართოებისკენ ბლოკის პარტნიორი ქვეყნების რესურსების გამოყენებით. საქართველოში ნატო-ს ასეთი სამხედრო ობიექტის განთავსება რეგიონის უსაფრთხოებისთვის სერიოზული დესტაბილიზაციის გამოიწვევს ფაქტორი გახდება, – აცხადებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი მარია ზახაროვა.

Fly With us!
იფრინეთ ჩვენთან ერთად!

ახალი მიმართულებები
ავიაკომპანია
ჯორჯიან ეარვეისისგან:

- პეტირგურბი** – ყოველ სამშაბათს და
პარასკევს – 145 ევროდან
- სამარა** – ყოველ კვირა დღეს – 135 ევროდან
- ოღესა** – 1 ივლისიდან – ყოველ
ოთხშაბათს 120 ევროდან
- ერევანი** – ყოველდღე – 55 ევროდან
- როსტოვი** – ყოველ სამშაბათს და
პარასკევს – 124 ევროდან



Georgian Airways
ჯორჯიან ეარვეისი

ნაჩქარავი დასკვნები თუ სენსაციუ

უცვლის თუ არა ბრაკლიანის ნარწერა ქართული დამწერლობის ისტორიას?

EXCLUSIVE



ნინო გაბინაშვილი

გასულ კვირას გრაკლიანის გორა კიდევ ერთხელ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. სოფელ იგოეთისა და სამთავისის ტერიტორიაზე მდებარე ეს გორა შესაძლოა, მორიგი სენსაციური აღმოჩენის ეპიცენტრი გახდეს, თუმცა მეცნიერების ნაწილი ნაჩქარავი დასკვნების გაკეთებისგან თავს იკავებს და მედიაში ატეხილ აუიოტაჟს ნაადრევად მიიჩნევს.

არქეოლოგიური გათხრები აქ 2007 წელს, თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალის მშენებლობის დროს დაიწყო. ამ დროიდან სამუშაოებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ვახტანგ ლიჩელი ხელმძღვანელობს.

ადგილზე გამოვლენილია ძვ.წ.აღ. IV ათასწლეულით დათარიღებული საცხოვრებელი კომპლექსი, საკულტო ნაგებობები, სამარხები, თიხის ჭურჭელი, ასევე ბრინჯაოს, რკინის, ვერცხლისა და ოქროს ნივთები, საყოფაცხოვრებო და საბრძოლო დანიშნულების იარაღები და სამკაულები.

ექსპედიციამ, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისგან შედგებოდა, გრაკლიანის არქეოლოგიური ძეგლის კვლევის პროცესში ახალი აღმოჩენა გააკეთა. სულ ახლახან აღმოჩინეს ძვ.წ.აღ. VII საუკუნის ტაძარი, ორი საკურთხეველი და საკურთხევის პოსტამენტზე (საძირკველი) დღემდე უცნობი დამწერლობის ერთსტრიქონიანი ნარწერა, რომელიც, ვახტანგ ლიჩელის აზრით, ყველაზე ადრეულია და საქართველოში დამწერლობის გამოყენების 2700 წლის ისტორიას ცხადყოფს.

მეცნიერების ნაწილი, ექსპედიციის ხელმძღვანელის მსგავსად, ამ აღმოჩენას სენსაციურს უწოდებს, მეორე ნაწილს კი მიიჩნია, რომ შემდგომი კვლევები უნდა ჩატარდეს და მხოლოდ შემდეგ უნდა დაიდოს დასკვნები.

საეციალისტების აზრი კიდევ ერთ საკითხზე გაიყო: ვახტანგ ლიჩელი მიიჩნევს, რომ ეს დამწერლობა, რომელიც გრაკლიანზე აღმოჩნდა, ანალოგს არ პოულობს სხვა დამწერლობის სისტემებთან. სხვა მეცნიერების აზრით კი, გრაკლიანზე აღმოჩენილი დამწერლობა არამეულის მსგავსია (არამეული დამწერლობა – ჩრდილოეთ სემიტური დამწერლობის ერთ-ერთი ძირითადი სახეობა. შედგება 22 ნიშნისგან, რომლებიც გამო-



მიხეილ ვახტაძე: „ამ ნარწერის გამო ბევრი რამის გადახედვა მოგვიწევს და, ჩემი აზრით, ნაჩქარავი დასკვნების გაკეთება საჭირო არ არის“

ყენებულია მხოლოდ თანხმობებისთვის. ტექსტი იწერება მარჯვნიდან მარცხნივ. ძველი ნელთალრიცხვით პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში არამეული ანბანი გავრცელდა მთელ ახლო აღმოსავლეთში და საფუძვლად დაედო მრავალი დამწერლობის განვითარებას). „პრაიმტიმი“ გრაკლიანზე ნარმოებული არქეოლოგიური სამუშაოებისა და ბოლო აღმოჩენის დეტალებზე პირადად ვახტანგ ლიჩელს ესაუბრა.

ვახტანგ ლიჩელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:

– გრაკლიანზე გათხრები, თავდაპირველად დაკავშირებული იყო გადარჩენით სამუშაოებთან, გათხრების

ვახტანგ ლიჩელი: „ცხადია, ეს არის უძველესი დამწერლობა“

პროცესში პირველად დადასტურდა, რომ საქმე გვექონდა უძველეს კულტურულ ფენებთან. არქეოლოგიურ სამუშაოებს აფინანსებდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტები და ყველას ერთად ძალიან გაგვიმართლა, რომ ეს აღმოჩენა ჩვენ გვხვდა წილად.

– რაში გამოიხატება ამ ძეგლის მნიშვნელობა?

– შესაძლოა და მეოთხე ტერასების გათხრისას აღმოჩნდა ძალიან მნიშვნელოვანი მასალა. პირველ რიგში, რასაც მინდა ყურადღება მივაქციო, ეს არის ძალიან დიდი ქრონოლოგიური მონაკვეთი, ქვის ხანიდან მოყოლებული, ვიდრე შუა საუკუნემდე.

– ანუ რამდენიმე კულტურული ფენა?

– დიას, საზოგადოების განვითარების 11 კულტურული ფენაა. რამდენიმე ათასწლეულზეა აქ საუბარი. განსაკუთრებით კარგადაა შემონახული მეორე და პირველი ათასწლეულები. გრაკლიანი ნარმოადგენდა ორ მდინარეს შორის აღმართულ კონცხს. საკმაოდ სტრატეგიულ ადგილას იყო, თავისი ბუნებრივი პირობების გამო. დადგენილი გვაქვს, რომ 2,500 წლის წინათ ამ ადგილას იყო შედარებით თბილი კლიმატი, კლიმატი, სადაც გვიმრა ხარობს. აქ მოჰყავდათ მარცვლეული, მე ამ ყველაფერს ვამბობ არქეოლოგიურად დადასტურებული ფაქტებით. აქ იყო კერამიკის სანარმო, აღმოვაჩინეთ გამოსწავლი ქურებიც. აქედან გვაქვს ინფორმაცია, როგორი კერამიკული ფორმები და დეკორი იყო იმ დროს, აქვე იყო მცირე სანარმოები, სპილენძსა და ანარმობდა გრაკლიანის მოსახლეობა. ამკარაა, რომ გრაკლიანზე მცხოვრები საზოგადოება დანიშნულებისა და ეკონომიკური განვითარების საკმაოდ მაღალ საფეხურზე იდგა, ასევე, მაღალ საფეხურზე იყო სავაჭრო ურთიერთობებიც. ძვ.წ. აღ. მე-4 საუკუნითაა დათარიღებული 21 წლის გოგონას სამარხი, რომელშიც აღმოჩენილია სპარსული ნანარმი, მინის პატარა ჭურჭელი, სადაც შემონახული იყო ნაწარმების შავად შესაღები სითხე, საგარეო ურთიერთობები, როგორც ჩანს, კარგად იყო განვითარებული.

– ახლად აღმოჩენილ ნარწერაზე რას მეტყვით? რაში დამოკიდებულია მისი სენსაციურობა?

– ნარწერა აღმოჩნდა შესაძლო ტერასაზე, ძვ.წ.აღ. მე-7 საუკუნით თარიღდება. ეს ტაძარი მეფილად საუკუნეს რომ განეკუთვნება, ძალიან ადვილი დასათარიღებელია, აქ არის კერამიკაც, რითაც ადვილად ხდება დათარიღება, ამ ტაძარში გამართული იყო ორი საკურთხეველი, ცენტრალურ საკურთხეველზეა ამოკვეთილი ერთი სტრიქონი, ეს სტრიქონი საკმაოდ კარგად არის შესრულებული. შესრულების მანერით შეიძლება ვიმსჯელოთ, რომ ნარწერები კეთდებოდა და არ იყო ეს პირველი. ჯერჯერობით შეუძლებელია, ვთქვათ, რა არის გადმოცემული ამ ნარწერით, სავარაუდოდ, რელიგიურ-სარიტუალო მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს.

– თქვენი განცხადების შემდეგ რამდენიმე მეცნიერმა განაცხადა, რომ ნაადრევი იმის მტკიცება, რომ ესაა უძველესი ნარწერა...

– იმდენად ცხადია, რომ ეს არის

რი აღმოჩენა?



რწმუნა და არამეულს ჰგავს, მაშინ უნდა ვეცადოთ, რომ გავიფიქროთ. თავისთავად ძალიან საინტერესო ფაქტია. რასაკვირველია, ამ აღმოჩენასთან დაკავშირებით ბევრი კითხვა ჩნდება, მაგრამ ამ კითხვებს პასუხები შესაბამისი კვლევისას გაცემდა. რატომ არის აქ ეს ნარწმუნა? რატომაა არამეულის მსგავსი? ამ ნარწმუნის გამო ბევრი რამის გადახედვა მოგიწევს და, ჩემი აზრით, ნაქარევი დასკვნების გაკეთება საჭირო არ არის. ამ წუთას გვაქვს ძალიან ზოგადი ინფორმაცია, უფრო დასაზუსტებლად საჭიროა შემდეგი კვლევები. მევისნაყოლო და შემდეგ გავაკეთოთ დასკვნები, იმიტომ რომ მერე შეიძლება აღმოჩნდეს, რომ მთლიან ასე არ იყო. ზოგი მიიჩნევს, რომ დაძველებული არ არის, ამიტომ ამ საკითხს კვლევა საჭიროა, ამიტომ სჯობს, ფრთხილად გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრებები და ვნახოთ, რას გამოაჩენს შემდგომი კვლევა.

ჯაბა სამუშია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:



„პრაიმიტივიზმ“ ვახტანგ ლიჩელის „საყდრისის გადარჩენის კომიტეტის“ წევრების ბრალდებაზეც სთხოვა კომენტარის გაკეთება, თუმცა მეცნიერმა სამოქალაქო აქტივისტებისთვის პასუხის გაცემა არ ისურვა. მეტი თხრობის შეფასებებს, რომ გასულ კვირას გრაკლიანის აღმოჩენას „საყდრისის დაცვის კომიტეტი“ გამოეხმაურა. კომიტეტის წარმომადგენელი ირაკლი მამალაძე არქეოლოგიური სამუშაოებიდან ვახტანგ ლიჩელის ჩამოცილებას ითხოვს, რადგან, მისი თქმით, „ლიჩელი უცხოური კომპანიების მიერ შავ სიაშია შეყვანილი“.

გრაკლიანზე აღმოჩენილ ნარწმუნაზე კომენტარი გააკეთეს ისტორიკოსებმაც. მიხეილ ბახტაძის აზრით, საჭიროა, რომ ასეთ საკითხებზე ფრთხილად გამოვთქვათ აზრი, სანამ საჭირო კვლევები არ დასრულდება. ჯაბა სამუშიას აზრით, ეს აღმოჩენა მართლაც სენსაციურია. ორივე მეცნიერი აღმოჩენას დადებითად აფასებს და შემდგომი კვლევების გაგრძელების აუცილებლობაზე საუბრობს.

მიხეილ ბახტაძე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი:

– რასაკვირველია, ძალიან საინტერესო აღმოჩენაა, ძალიან მნიშვნელოვანია, მე პირადად ვერ მოვახერხე მისი ნახვა. ვიცი, ის, რაც ტელევიზიითა და ინტერნეტით გავრცელდა. საგარეუდოდ, ნარწმუნა. როგორც ჩანს, არის უფრო არამეულის მსგავსი და ძვ.წ.ალ. მე-7 საუკუნით თარიღდება. ვფიქრობ, საჭიროა შემდეგი კვლევა, რომ უფრო ზუსტად ვთქვათ, რომელი საუკუნეა და მართლა ნარწმუნაა, თუ ეს მხოლოდ ვარაუდია. და თუ ნა-

მიხეილ ბახტაძე

რა აკავშირებს „ალი და ნინოს“ ავტორს ბიძინა ივანიშვილთან?

გიორგი ურუშაძე

„ბათუმში რუსი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის მითითებით გაანადგურეს „ალი და ნინოს“ ქანდაკება“, - წერს მიხეილ სააკაშვილი და მონუმენტის დაზიანებას პოლიტიკურ ნიშნად აღნიშნავს. თუმცა, ეს მოვლენის ერთი, პოლიტიკური მხარეა. მეორეა, რას ფიქრობს თავად მონუმენტის ავტორი, თამარ კვესიტაძე.

სანამ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მონუმენტის დაზიანებას გამოეხმაურებოდა, მანამდე საზოგადოება აღშფოთდა და ერთი ჩვეულებრივი დღე ლამის „ალი და ნინოს“ მხარდამჭერის დღედ გამოცხადდა. უკმაყოფილო საზოგადოება მთავრობის უნიათობაზე აღაპარაკდა. ნაწილმა კი, ეს „ნაციონალური მოძრაობის“ პროპაგანდად ჩათვალია.

შემთხვევის დღესვე „პრაიმიტივიზმის“ მონუმენტის ავტორს დაუკავშირდა. საკუთარი ნაშრომის დაზიანების გამო დაძვინჯებული თამარ კვესიტაძე იმედინად გვპასუხობს.

თამარ კვესიტაძე:

– არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ მესაუბრენ და ძალიან შეუხებულები არიან. იმედი მაქვს, რომ გამოასწორებენ. კომპანიასაც ვესაუბრე და ეკონომიკის მინისტრსაც. თვითონ მითხრეს, რომ, სამწუხაროდ, ასეთი რაღაც მოხდა. აბსოლუტურად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ეს აღვადგინოთ და გადავიტანოთ. რას ვიზამთ, ყველაფერი ხდება.

– თქვენი კონსულტაციის გარეშე შეიძლება აღდგენა?

– ჩემი კონსულტაციის გარეშე, რა თქმა უნდა, შეიძლება აღდგენა. ეს ხომ გერმანელებმა გააკეთეს. ჩემი აზრით, ყველაზე დიდი შეცდომა იყო, რომ ერთი ადგილიდან მეორეზე გერმანელებმა არ გადაიტანეს. თვითონ გადაწყვიტეს გადატანა, გერმანელებმა არ დაუკავშირდნენ. თვითონაც ალაპარაკეს, რომ ეს იყო შეცდომა. მაგრამ, მეორე მხრივ, როგორ გავამტყუნო. ჯობდა, რომ გერმანელებს გადაეტანათ, მაგრამ შეიძლება იმათაც შემლოდათ.

– გადატანის თაობაზე თუ გაიარეს თქვენთან კონსულტაციები?

– დამირეკეს, კონსულ-

ტაციები არ ყოფილა. უბრალოდ, შემატყობინეს. მითხრეს, მომწონს თუ არა ადგილი. მიხლოდა სხვაგან, მაგრამ მითხრეს, რომ ეს ად-

ოზული გამომხაურება მოჰყვა ამ ფაქტს...

– დღეს შევიტყვე ასეთი არასასიამოვნო ამბავი. მგონია, რომ ყველაფერი კარგად იქნება. „ფენიტი“ არ ვარ და გავიგე, რომ ასეთი ამბავია ატეხილი. დიდი აუიოტაჟია, ამან ძალიან გამაკვირვა, დადებითად. ჩემთვის ძალიან საკვირველი გამომხაურება იყო. ეს ძალიან გამიხარდა.

ეს იყო პირველი დღის შეფასებები, რასაც მიხეილ სააკაშვილის კომენტარი მოჰყვა. პოლიტიკური ქულების დანერის მანისი, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერმა ამჟღავნა არ გაუშვა. „ოლიგარქის შურისძიებად“ შეფასებული მოვლენა საინფორმაციო სააგენტოების რეიტინგების სათავეში მოექცა. თუმცა, ყველაფერი არც ასე მარტივადია.

თამარ კვესიტაძე:

– სასაცილოც კია, რომ ამ ყველაფერს პოლიტიკური ელფერი ემალება. მე არ ვფიქრობ ასე. ეს ნამდვილად არ იყო შურისძიება. თავის დროზე, მიხეილ სააკაშვილს, ვიცი, რომ ძალიან მოსწონდა ეს მონუმენტი და უნდოდა, რომ დადგმოლიყო. რაც შეეხება ივანიშვილს, როგორ გგონიათ, ეტყობა, ამნეთი გადაიტანეთ და დაზიანეთ? – მე ეს რეალურად არ მიმანია. თვითონვე ალაპარაკეს და თქვეს, რომ თავისი დანაშაულია, რომ გერმანელები არ ჩართეს საქმეში. ვინაიდან გერმანელებმა ინსტრუქტორებმა თავის დროზე დატოვეს გეგმა, სადაც განერილი იყო მონუმენტის გადატანის გზები. ის ამნეთი კი არა, სპეციალური დანადგარით უნდა გადაეტანათ.

შურისძიების რა გიოხრათ, მაგრამ თამარ კვესიტაძე იმ ფაქტს იხსენებს, როდესაც ერთ-ერთ გამოფენაზე ქართველმა მილიარდერმა მისი ნაშუქვერების დიდი ნაწილი შეისყიდა.

თამარ კვესიტაძე:

– დიდი ხნის წინათ, ბიძინა ივანიშვილმა ჩემი გამოფენიდან ნაშუქვერების დიდი ნაწილი შეისყიდა. კოლექციონერი და აგროვებს ნაშუქვერებს. მაგრამ, რადგან შეიძინა, გამოცხადდა, რომ მოსწონს ისინი. ამ ამბავში პოლიტიკურ ელფერს ვერ ვხედავ.



თამარ კვესიტაძე: „ერთ-ერთ გამოფენაზე, ჩემი ნაშუქვერების დიდი ნაწილი ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა“

P.S. ფაქტია, რომ ყველა კითხვას, რაც გრაკლიანს უკავშირდება, შემდგომი გამოკვლევები უპასუხებს და თუ არქეოლოგთა მოსაზრება დადასტურდება, აღმოჩენა მსოფლიო მნიშვნელობის გახდება. რაც დადასტურებს, რომ ქართლში პირველი დაძველებულია 2700 წლის წინათ გამოიყენებოდა.



მარკუს მებრეველი



მაგდა კლდიაშვილი



ქობულეთის შალამბა

საფეხბურთო კლუბ „შუქურას“ ახალი მთავარი მწვრთნელი ეყოლება. გუნდს თემურ შალამბერიძე ჩაიბარებს. როგორც ცნობილია, ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა, გელა სანაიამ გუნდი ხელმძღვანელობასთან დაპირისპირების გამო დატოვა. მისი დატოვების მიზეზებზე ხმამაღლა არავინ საუბრობს, თუმცა კულუარებში ამბობენ, რომ კონფლიქტი, სპორტულ დი-



გიორგი ლორია უბუნდოდა

ბერძნული მედია შოკშია - პირეოსის „ოლიმპიკოსმა“ საქართველოს ნაკრების კარის მცველი, გიორგი ლორია თავისუფალი აგენტის სტატუსით გამოუშვა. საბერძნეთში შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო, პირეოსელები ლორიასთვის ხელფასის გადახდას ვერ ახერხებდნენ, ამიტომ მის ტრანსფერზე მუშაობდნენ. რამდენიმე ვარიანტის მიუხედავად, ლორიას გასხვისება ვერც ერთ გუნდში ვერ მოხერხდა, მათ შორის, ვერც „ტრაბზონში“, რომელსაც შოთა არველაძე წვრთნის. საუბარი იყო გორის „დილაზეც“, თუმცა მხარეები ორმხრივად კონტრაქტის განყვეტაზე შეთანხმდნენ. ჯერჯერობით, უცნობია სად გააგრძელებს კარიერას გამოცდილი მეკარე, თუმცა სავარაუდოა, რომ მისი მომავალი გუნდი, კვლავ ბერძნული „ლევადაკოსი“ იქნება.



ოთარ ხიზანაი

33 წლის მცველმა, ოთარ ხიზანაიშვილმა კარიერა დაასრულა. გამოცდილი მცველი ბოლოს, თითქოს საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის პირველი ლიგის ბინადარ ცხინვალის „ლიახვში“ გადავიდა, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, ფეხბურთელმა სხვაგვარი გადაწყვეტილება მიიღო. ხიზანაიშვილი ბოლო პერიოდში ტრავმებმა დატანჯა. „ზესტაფონში“ გადასული, სიტუაციის არევის შემდეგ, „სიონში“ გადმოვიდა, შემდეგ კი მძიმე ტრავმა მიიღო და დიდი პერიოდი გაუცდა. იმის გამო, რომ ბოლნისელებთან მისი ურთიერთობა აღარ გაგრძელდა, უეფას წესების მიხედვით, კვლავ „ზესტაფონში“ უნდა ეთამაშა, რადგან ერთ სეზონში ორ გუნდს ვერ შეიცვლიდა. იმერულ კლუბში სიტუაციის დამძიმების შემდეგ, ფეხბურთელი დიდი ხანი უთამაშებელი იყო. ბოლოს



„შუქურას“ თემურ რიძე ჩაიბარებს

რექტორთან, მამუკა ჯულელთან მოუვიდა.
 თემურ შალამბერიძე ქობულეთელების სპორტული დირექტორის, მამუკა ჯულელის ახლო მეგობარია და სწორედ მისი მიწვევით მივიდა გუნდში. შალამბერიძე ჯულელთან ერთად რამდენიმე წლის წინ გორის „დილაშიც“ მუშაობდა მთავარი მწვრთნელის პოსტზე. მისი თაოსნობით, 2012 წელს, „დილაში“ სკანდალური თასის ფინალი მოიგო „ზესტაფონთან“.



bazarr SPORT



დავით თარგამაძემ გუნდი იპოვა

როგორც იქნა, 26 წლის ნახევარმცველმა, დავით თარგამაძემ გუნდი იპოვა და ამიერიდან ის ისევ „ოლექსანდრიაში“ ითამაშებს.
 თარგამაძე „ოლექსანდრიაში“ 2011/2012 წლების სეზონში თამაშობდა, სადაც 35 შეხვედრაში 12 გოლის გატანა მოახერხა. ამ სეზონში თავის გამოჩენის გამო გადაწყვიტა დონეცკის „შახტარმა“ თარგამაძის გუნდში აყვანა, თუმცა დონეცკელთა რიგებში თარგამაძეს თამაში არ მოუწია, რის შემდეგაც „ილიჩევცში“ იყო განათხოვრებული კარგა ხანს. მწვრთნელთან კონფლიქტის გამო, თარგამაძემ გუნდიდან ნასვლის გადაწყვეტილება მიიღო და „შახტარში“ დაბრუნდა, სადაც, მეორე გუნდთან მხოლოდ ვარჯიში უზღებოდა. როგორც ჩანს, შემტევმა პრობლემები მოაგვარა და ის ყოფილ გუნდს უბრუნდება, სადაც დონეცკელებმა ის, 2015 წლის ბოლომდე იჯარის წესით განათხოვრეს.

bazarr SPORT

გვილი ფეხბურთიდან წავიდა

მისით „ლიახვი“ დაინტერესდა და პირველ ლიგაში უნდა გაეგრძელებინა კარიერა, თუმცა გამოცდილმა მოთამაშემ გადაიფიქრა და ფეხბურთიდან ნასვლის გადაწყვეტილება მიიღო.
 კარიერის დასაწყისში, ზიზანეიშვილს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მას უთამაშია ისეთ გუნდებში, როგორც „ფრაიბურგი“ და „აუგსბურგია“, თუმცა მისი კარიერა ისე არ აენწყო, როგორც მოლოდინიც იყო. ამის მიზეზი კი თავის დროზე სწორედ ტრავმები გახდა.



bazarr SPORT

paparazzi

ფოტო: თინა თუთიასანი



paparazzi



მია ჯაჯანიძე

რა ცვლილებები იგეგმება პროკურატურაში?

მირიან ბოქლოიშვილი

ხელისუფლება პროკურატურის რეფორმაზე მუშაობს, თუმცა კვლავ დავის საგანია, შექმნას თუ არა ეს რეფორმა ამ სისტემის დამოუკიდებლობის უზრუნველყოფას. უკვე ცნობილია, რომ ცვლილებები არ ითვალისწინებს პროკურატურის აღმასრულებელი ხელისუფლებიდან გამოყოფას, თუმცა მთავარი პროკურორის არჩევის უფლებამოსილება პარლამენტს გადაეცემა. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საკანონმდებლო ცვლილებებით გიორგი ბადაშვილს პოსტის დატოვება მოუწევს? ვის აირჩევს პარლამენტი მთავარი პროკურორის პოსტზე და რა მიზნით იქმნება საპროკურორო საბჭო? ამ თემებზე „პრაიმტიმის“ პარლამენტის ვიცე-სპიკერს, მანანა კობახიძეს ესაუბრა.

მანანა კობახიძე, პარლამენტის ვიცე-სპიკერი:

– ალბათ, ყველა ვთანხმდებით, რომ ის პროკურატურა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა, არ ვარგოდა, ამიტომ აუცილებელი იყო, ერთი მხრივ, სასამართლო ხელისუფლების რეფორმა და თქვენ იცით, რომ ამ რეფორმის ორი ეტაპი დასრულდა და ძალიან მალე მოგვიწევს მეტაპი ეტაპის საკანონმდებლო ცვლილებების განხილვა, მეორე მხრივ კი, აუცილებელია, პროკურატურის რეფორმა განვხორციელოთ იმ ჩარჩოებში, რის საშუალებასაც დღეს მოქმედი კონსტიტუცია გვაძლევს. მოგესხებათ, გაზრდილი კოორუმის პირობებში ძალიან რთულია კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანა, ამიტომ მუშაობს, თავის მხრივ, საკონსტიტუციო კომისია. დღეს მოქმედი კონსტიტუცია რის საშუალებასაც იძლევა, იმ დოზის ცვლილებებს განვახორციელებთ.

– კონკრეტულად რამდენად მნიშვნელოვან ცვლილებებზეა საუბარი?

– ვფიქრობ, ნამდვილად დადებითი სიახლე იქნება ის, რომ პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იქმნება კოლექტიური ორგანო – საპროკურორო საბჭო. პროკურატურას ექნება შესაძლებლობა, დააფუძნოს პროკურორების კონფერენცია. ჩვენ ვცდილობთ, სწორედ პროკურორები ჩავერთოთ მართვის პროცესში და პოლიტიკური კონტექსტი მაქსიმალურად ჩამოვაცილოთ ამ უწყებას. მთავარი პროკურორის კანდიდატურის არჩევის საკითხშიც საპროკურორო საბჭოს ექნება საკმაოდ სერიოზული დატვირთვა, შემდეგ უკვე პარლამენტის მეშვეობით მოხდება მთავარი პროკურორის არჩევა. ამ ცვლილებებით პროკურატურა რჩება აღმასრულებელი ხელისუფლების დაქვემდებარებაში, მაგრამ შემოგვავსებს საპროკურორო საბჭოს ინსტიტუტი და, ასევე, იზრდება პარლამენტის ზედამხედველობის ფუნქცია. შეიძლება, ეს არ არის იდეალური, მაგრამ, სამუხარუნოდ, არც ჩვენი კონსტიტუციაა იდეალური.

დატოვებს თუ არა პოსტს გიორგი ბადაშვილი?

„ნამდვილად დადებითი სიახლე იქნება ის, რომ პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იქმნება კოლექტიური ორგანო – საპროკურორო საბჭო“

– რომ დავიკონკრეტოთ, უშუალოდ რა ფუნქციის მატარებელი იქნება საპროკურორო საბჭო?

– თავად კანდიდატურის განხილვის მომენტში ამ საბჭოს ექნება მნიშვნელოვანი როლი. გარდა ამისა, ეს საბჭო განიხილავს სისტემის შიგნით არსებულ სხვადასხვა პრობლემებს, იქნება ეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხები, გადაცდომები, სიახლეების დანერგვა თუ სხვ.

– თუკი პროკურატურა კვლავ აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილად რჩება, მის დამოუკიდებლობაზე საუბარი ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის? არ ფიქრობთ, რომ ეს სისტემა აღმასრულებელ რგოლს საერთოდ ჩამოსცილდეს?

– რომელი შტოს დაქვემდებარებაშია პროკურატურა, ეს არ განსაზღვრავს მის დამოუკიდებლობას. მაგალითად, გერმანიაში პროკურ-

ატურა აღმასრულებელი ხელისუფლების ნაწილია, მაგრამ ვინმეს ეჭვი ეპარება მის დამოუკიდებლობაში? ასევეა ევროკავშირის არაერთ ქვეყანაში.

– გამოდის, რომ ბევრი რამ მაინც პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული?

– რა თქმა უნდა, პოლიტიკურ ნებაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული. თუ არ იქნება პოლიტიკური ნება, ნებისმიერი რეფორმის შემთხვევაში მაინც შესაძლებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა. მთავარია, რომ ჩვენს პოლიტიკურ გუნდს აქვს ამის პოლიტიკური ნება და ვცდილობთ, ეს ნება საკანონმდებლო დონეზე იყოს გამყარებული. ჩვენ შევარდნაძის დროს გვექონდა რეალობა, როცა გენერალურ პროკურორს ირჩევდა პარლამენტი, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გვახსოვს ის აურაცხელი პრეტენზია, რომელიც პროკურორის მისამართით ისმოდა და

„ის პროკურატურა, რომელიც „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა, არ ვარგოდა“



სამართლიანადაც. შემდეგ იყო სააკაშვილის პროკურატურა, რომელიც ძირითადად პოლიტიკურ დაკვეთებს ასრულებდა და ესეც კარგად ახსოვს საზოგადოებას. ახუ იმის თქმა მიხდება, რომ ჩვენი პროკურატურა არც ერთ ეტაპზე არ ყოფილა დამოუკიდებელი იმიტომ, რომ არ არსებობდა სწორედ პოლიტიკური ნება. ალბათ არც ახლა გვაქვს იდეალური მდგომარეობა, მაგრამ ვმუშაობთ, რომ სისტემა გაიმართოს და ის კანონს ემსახურებოდეს.

– წარმოდგენილი ცვლილებებით მთავარ პროკურორს საქართველოს პარლამენტი აირჩევს... ეს ნიშნავს, რომ გიორგი ბადაშვილს მოუწევს თანამდებობის დატოვება?

– ჩვენ ამ ეტაპზე ვიხილავთ კანონს. კანდიდატურების შესახებ რაიმე გადაწყვეტილება არ მიგვიღია. გააჩნია ვის კანდიდატურას წარმოვიდგინებთ პარლამენტს. შესაძლოა კვლავ მოქმედი პროკურორი ავირჩიოს, ისევე, როგორც არ არის გამორიცხული, მოხდეს ახალი მთავარი პროკურორის არჩევა.

– არადა ამბობენ, რომ „რესპუბლიკელებს“ სურთ მთავარი პროკურორის პოსტის დაკავება..."

– გუნდის შიგნით ამ საკითხზე არავითარი განხილვები არ ყოფილა. ჭორი ბევრია, მათ შორის ამბობდნენ უსაფრთხოების ახალი სამსახურის უფროსზე, შს მინისტრზე და სხვებზეც, მაგრამ რეალობა ის არის, რომ კანდიდატურების განხილვა არ ყოფილა და ამ ეტაპზე არც იგეგმება. მოქმედი პროკურორი სრული დატვირთვაშია.

ერთი მუშაობს.

– საინტერესოა, რამდენად კმაყოფილი ხართ მოქმედი პროკურორის მუშაობით?

– მეორე, ხელისუფლება არასდროს უნდა იყოს კმაყოფილი საკუთარი მუშაობით. ყოველთვის უნდა ვიყოთ კრიტიკულები. დღეს ამ უწყების ხელმძღვანელებს ურთულესი გამოწვევები აქვთ. ეს არის ხანგრძლივი პროცესი, რაც მოითხოვს დროს, ნერვებსა და ენერჯიას. შეიძლება საზოგადოებას მეტი მოთხოვნა აქვს. მათი პრეტენზიები აბსოლუტურად გასაგებია ჩემთვის.

– იგივე საზოგადოება უკვე დიდი ხანია, ვლის განმარტებულ მკვლელობებზე პასუხს... დღემდე უცნობი რჩება იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დამკვეთი. ასევე, ბურუსითაა მოცული ბესო ხარბიანის მკვლელობა და კიდევ სხვა რამდენიმე საქმე..."

– გასმარტებული საქმეები მეც მანუხებს და როგორც ამ საზოგადოების წარმომადგენელი, ველოდები პასუხს. ძალიან მნიშვნელოვანია, ყველა ეს საქმე გაიხსნას და დამნაშავემ პასუხი აგოს. მეორე მხრივ, გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: ჩვენ გვახსოვს, რომ წლების განმავლობაში პროკურატურა საქმეებს ნამებითა და არააღმართული მოპოვებით ხსნიდა. ასე მუშაობა ადვილია. ამ გზით შეეძლოთ, ადამიანისთვის არჩადენილი დანაშაულიც კი ელიარებიანი იქნებოდა. დღეს ეს მანკიერი პრაქტიკა წარსულს ჩააბარდა და დაცულია ყველა ბრალდებულის უფლება. სწორედ ამ ფორმატში ხდება საქმეების გამოძიება. რთულია, მაგრამ ეს არის სტანდარტი დემოკრატიულ ქვეყნებში.



მანანა კობახიძე: „თუ არ იქნება პოლიტიკური ნება, ნებისმიერი რეფორმის შემთხვევაში მაინც შესაძლებელია პროკურატურის საქმიანობაში ჩარევა“

„ვეუშაობთ, რომ სისტემა გაიმართოს და ის კანონს ემსახურებოდეს“

EXCLUSIVE

საგანგაუო სტატისტიკა

ლაშა ზარანდია

რატომ იმატა ქვეყანაში ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა? ამ საკითხით მას შემდეგ დაინტერესდით, რაც თვალი გადავავლეთ სტატისტიკურ მონაცემებს. ციფრები საკმაოდ საგანგაშოა... სპეციალისტები ავტოსაგზაო შემთხვევების გამომწვევად რამდენიმე მიზეზზე საუბრობენ, ძირითადი აქცენტი კი მძღოლების დაუდევრობასა და საზოგადოებრივი თვითშეგნების დაბალ დონეზე კეთდება. ამ ფონზე, საინტერესოა, რა უნდა მოიმოქმედოს სახელმწიფომ? ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ არსებობს, თუმცა ფაქტია, რომ აუცილებელია ფართომასშტაბიანი პიარკამპანია და არსებული სანქციების კიდევ უფრო გამკაცრება.

ახლა კი, რაც შეეხება ციფრებს, რომლის უკანაც ასობით გარდაცვლილი ადამიანი და გაუბედურებული ოჯახი დგას.

ჩვენ მიერ შინაგან საქმეთა სამინისტროდან გამოთხოვილი ინფორმაციით, 2014 წლის განმავლობაში ქვეყნის მასშტაბით 6000-მდე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, უფრო ზუსტად კი - 5992. ამავე ინფორმაციით, 2015 წლის პირველ ნახევარში მხოლოდ დედაქალაქში 1345 ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, გარდაცვლილი 40 ადამიანი. მთლიანად ქვეყნის მასშტაბით კი 2015 წლის ექვს თვეში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად დაშავებულია 4130 ადამიანი, ხოლო გარდაცვლილია 284.




როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოში ავტოსაგზაო შემთხვევების ძირითადი გამომწვევი მიზეზი მძღოლების დაუდევრობაა. ასევე, პრობლემად რჩება გაუმართავი ინფრასტრუქტურა.

„პრაიმტიმითან“ საუბრისას „ტრანსპორტისა და გზების ასოციაციის“ თავმჯდომარე დავით მესხიძემი ავტოსაგზაო შემთხვევების 30 პროცენტით მატებაზე საუბრობს და სანქციების გამკაცრების წინადადებით გამოდის.

დავით მესხიძე:
- ოფიციალური მონაცემები უკვე ცხადყოფს, რომ 30%-ით გაიზარდა ავტოსაგზაო შემთხვევები და დამავებულთა რაოდენობაც. ასევე, გაზრდილია ქვეითად მოსიარულეთა სიკვდილიანობა, მათ შორის 28 პროცენტი ბავშვებსა და მოზარდებზე მოდის. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, შემოიღო ვთქვა, რომ ჩვენ გვაქვს კატასტროფული მდგომარეობა და სწორედ ამიტომ, რამდენიმე თვის წინ, არასამთავრობო ორგანიზაციებმა მიმართეთ პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს. იმდენად საგანგაშოა მდგომარეობა, რომ აუცილებელია სწორედ პირველი პირების დონეზე მოხდეს ამ საკითხის მოგვარება. ახლა უკვე პეტეციას ვაგვრეცვლებთ, თუ არ მოხდა სახელისუფლებო ჩარევა, ყოველთვიურად ბევრად მეტ ადამიანს ვკარგავთ, ვიდრე ეს სტატისტიკური კატასტროფული, დამანგრეველი სტიქიის დროს ხდება. ეს ნიშნავს იმას, რომ ევროპის მასშტაბით „სა-უკეთესო“ სუთეულში მყარად ვინარჩუნებთ ადგილს.

- რა არის ამ „კატასტროფული მდგომარეობის“ მთავარი მიზეზი?

- უპირველესი მიზეზი ეს არის სიჩქარის გადაჭარბება და უწყვეტი ხაზის გადაკვეთა, რომელზეც ძალიან ხშირად ქილიკობენ, რომ არც ისე დიდი დარღვევაა. სინამდვილეში კი, ავარიების უმეტესობა მოძრაობის საპირისპირო მხარეს ხდება. მაგრამ უმთავრესი პრობლემა და ქართული სენი - ეს არის სიჩქარის გადაჭარბება. ხელისუფლებამ გაანახევრა ჯარიმა უწყვეტი ხაზის გადაკვეთაზე და ამით ერთგვარად ნახალისა ისედაც გათამამებული და „უმიშარი“ მძღოლები. ჩვენ ჩავატარეთ მონიტორინგი ავტობანებზე და დადგინდა, რომ ყოველი მეოთხე მძღოლი აჭარბებს დაშვებულ სიჩქარეს. დაშვებული სიჩქარის ნაცვლად გადაადგილდებიან, საშუალოდ, 140 კმ/სთ სიჩქარით, რაც ნამდვილად ძალიან სახიფათოა. ამ ყველაფერს კიდევ ერთი ფაქტიც ემატება, რომელიც ბოლო პერიოდში გავრცელდა, თითქოს რადარები არ მუშაობს. ნამდვილად არ ვიცით, შეესაბამება თუ არა სიმართლეს, მაგრამ თუ ნამდვილად ასეა, ეს ყველაფერი ბევრად უფრო „ნახალის“-



„ყოველთვიურად გვირად მებ ლაშქარს ვკარგავთ, ვიღრე ეს ნებისმიერი კატასტროფული, დაგანგაველი სტიქიის დროს ხდება“

ებს“ მძღოლებს და უბიძგებს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევებს. - გაზზე მომუშავე ავტომობილებზე რას იტყვით... რამდენად იზრდება რისკი, თუნდაც მცირე შეჯახების დროს?

- დიან, აუცილებლად მინდა შევეხო „მოსიარულე ნაღმების“ თემას, ახე ავტომობილებს, რომლებიც გაზზე მუშაობენ. საქალაქთაშორისო მიკროავტობუსები მასობრივად აღჭურვილია ზემოხსენებული გაზის აპარატურით და, ფაქტობრივად, მგზავრებს უდიდესი რისკის ქვეშ უნევეთ მგზავრობა. ღმერთმა არ ქნას და ელემენტარული შეჯახების დროსაც კი შეიძლება ააღდეს კუსტარულად დამონტაჟებული გაზის აპარატურა. კუსტარულად იმიტომ, რომ, თუ ავტომობილს ქარხნულად არ მოჰყვება მსგავსი საწვავის ავზი და მერე ხდება დამონტაჟება, ეს იმას ნიშნავს, რომ კუსტარულადაა დამონტაჟებული. ასევე, ხდება სატვირთო მიკროავტობუსების სამგზავრობად გადაკეთება, სადაც არაა გათვალისწინებული არანაირი უსაფრთხოების წესე-

ერი. ევროდირექტივის მიხედვით, სამარშრუტო ტაქსის მაქსიმალური, დაშვებული სიჩქარეა 80 კმ/სთ. ეს ყველაფერი კი საქართველოში, ფაქტობრივად, უგულებელყოფილია. შეჯახების სახით შემოიღია ვთქვა, რომ ჩვენ ახლა ვითხოვთ, გამკაცრდეს სანქციები სიჩქარის გადაჭარბებაზე და ასევე, მოხდეს კონტროლი გაზის აპარატურის კუსტარულ მონტაჟზე. ხელისუფლება მაქსიმალურად უნდა ეცადოს, რომ რისკის შემცველი ყველა ფაქტორი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი და მგზავრობა ნებისმიერი ადამიანისთვის უსაფრთხო გახდეს.

P.S. რა თქმა უნდა, საქართველო გამონაკლისი არ არის და ავარიები ყველა ქვეყანაში ხდება, თუმცა ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში სახელმწიფო (ცილინობს, მაქსიმალურ პრევენციას მიმართოს. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად 1,2 მილი-



ბი. ელემენტარულად, სავარძლები, უსაფრთხოების ღვედებითაც კი არ არის აღჭურვილი. ამ ყველაფრის მონიტორინგი სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს ევალება, რომელიც, სამწუხაროდ, ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის. რომ დაურევით და განმარტება მოითხოვით, მათ აქვთ მხოლოდ ერთი პასუხი - ჩვენ ვამზადდებით საკანონმდებლო ცვლილებებს და ეს მზადდება უკვე 7-8 წელია, გრძელდება, ცვლილება კი არაფ-

ონი ადამიანი იღუპება, ხოლო 50 მილიონი ადამიანი ფიზიკურ დაზიანებებს იღებს. ავტოსაგზაო შემთხვევების შედეგად მიღებული ზარალი წლიურად 518 მილიონ დოლარს აღემატება.

ავტოსაგზაო შემთხვევების ძირითადი გამომწვევი მიზეზებია: 70% - მძღოლის დაუდევრობა, 20% - გაუმართავი ინფრასტრუქტურა და ეს მზადდება უკვე 7-8 წელია, გრძელდება, ცვლილება კი არაფ-

„ვითხოვთ, გამკაცრდეს სანქციები სიჩქარის გადაჭარბებაზე და, ასევე, მოხდეს კონტროლი გაზის აპარატურის კუსტარულ მონტაჟზე“

ექვს თვეში ავტოსაგზაო შემთხვევებს 284 ადამიანი ემსხვერპლა





„აღმოვაჩინა, რომ მარიამი იყო ის ადამიანი, რომელიც ყოველთვის აკლდა, რომ იყო ის ნახევარი, რომელიც მინდოდა მთელი ცხოვრება ჩემ გვერდით ყოფილიყო“

my View ნიჩო გაბლიძე

ერთი წლის წინ, ერთ-ერთ წვეულებაზე გაიცნეს ერთმანეთი. საერთო მეგობრების წყალობით შეხვედნენ ერთმანეთს. მალე დაამეგობრდნენ. მეგობრობა სიყვარულში გადაიზარდა და... დღეს ცოლ-ქმარი ჰქვიათ.

ლევანს პირად ცხოვრებაზე პრესასთან არასდროს უსაუბრია. ალბათ, ამის მიზეზი ისიც იყო, რომ თბილისში ცნობილი მექალონის რომანები სერიოზულ ურთიერთობამდე არ მისულა. თუმცა პრესა ხშირად წერდა მის ურთიერთობაზე არა ერთ ლამაზ ქალთან.

მარიამი სწორედ ის არის, ვისაც მთელი ცხოვრება ვეძებდით, მითხრა ინტერვიუს დროს მსახიობმა...

წყვილი დიდი ხნის განმავლობაში მალავდა სიყვარულის ამბავს. როგორც მარიამი ამბობს, ეს მისთვის კონკრეტულად იყო.

მსახიობი ლევან ხურციან და ადვოკატი, მარიამ კუბლაშვილი დღეს ექსკლუზიურად „პრაიმტიმის“ მკითხველს უამბობს მათი სიყვარულის ამბავს.

ლევან ხურციან:

- ერთმანეთი ერთი წლის წინ გავიცანით. ყველაფერი მეგობრობით დაიწყო. საერთო მეგობრების წყალობით ზოგჯერ ვხვდებოდით ერთმანეთს. თავიდანვე დადებითი მთაბეჭდილება შემექმნა, მერე დავახლოვდით. აღმოვაჩინე, რომ მარიამი იყო ის ადამიანი, რომელიც ყოველთვის მაკლდა, რომ იყო ის ნახევარი, რომელიც მთელი ცხოვრება მინდოდა ჩემ გვერდით ყოფილიყო. ჩვენი ურთიერთობა ეტაპობრივად ღრმავდებოდა.

- რა იყო მთავარი, რამაც მარიამში მოგზიბდა?

- გარეგნულ სილამაზეზე არაფერს ვიტყვი, ეს ისედაც ნათელია. მარიამი ყველასგან გამოირჩეულია: ნიჭიერი, კეთილშობილია. ვიმეორებ, მე მასში ვიპოვე ჩემი მეორე ნახევარი.

- გვიამბობ, როგორ გამოუტყდი სიყვარულში?

- ეს ჩვენი პირადულია, ინტიმური, ჩვენია. დეტალებზე ლაპარაკი არ მინდა.

- ახლა რა ეტაპზეა თქვენი ურთიერთობა, ნიშნობა იყო?

- ყველაფერი იყო. დღეს მე და მარიამი ცოლ-ქმარი ვართ. ოჯახის წევრებიც გავაცანით ერთმანეთს, ყველაფერი ქართული ადათ-ნების მოთხოვნა.

- ქორწილი იქნება?

- რა თქმა უნდა, იქნება, უბრალოდ, ჯერ თარიღი თავადაც არ დაგვიტყვამს. მოვლენები ძალიან მალე განვითარდა. სწორედ ის მომხონდა მარიამთან ურთიერთობაში, რომ დაგვეგმილი და განვერიო არაფერი გვექონია. ყოველთვის გულახდილები ვიყავით ერთმანეთთან, უბრალოდ, ვურთ-

იერთობდით, მხოლოდ გულით. ბუნებრივად მოხდა, რაც მოხდა.

- აუცილებლად უნდა გკითხო მარიამის ოჯახის წევრებზე, «ცუკავენ ვარსკვლავების» პერიოდში ცნობილი გახდა, რომ მარიამს მძიმე ხასიათის ძმა ჰყავს. როგორ მოახერხე მისი გულის მოგება?

- ხასიათი ინდივიდუალურია, მძიმე ხასიათი ბევრ ადამიანს აქვს. მეც მსმენია მარიამის ძმის მძიმე ხასიათზე, მაგრამ, როცა გავიცანი, აბსოლუტურად სხვა რეალობა დამხვდა. არაჩვეულებრივი ბიჭია და ადეკვატურად უდგება ყველა საკითხს. როცა სწორ ინფორმაციას მიწვდი, აბსოლუტურად ადეკვატური რეაქცია აქვს. გიჟდება თავის დაზე, ისე უყვარს, ამიტომ ბედნიერია თავადაც მარიამის ბედნიერებით. ურთიერთობა შედგა.

- როგორ ურთიერთობა გაქვს მარიამის შვილთან?

- ვერჯერობით მეგობრები ვართ, ვაუგუთნებ ერთმანეთს. ჩემთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ვფრთხილობ მასთან ურთიერთობას. დარწმუნებული ვარ, ცხოვრება ამასაც დააღაგებს. ერთი ზუსტად ვიცი, მარიამის შვილი მისი ნაწილია, მარიამის ნაწილი კი ჩემი ნაწილიცაა.

- მარიამის დედა, ქისტე ქალბატონი, მზია მარალიკაშვილი, საკმაოდ ტრადიციული ქალია, როგორ შეეწყვეთ?

- მარიამს ძალიან ტრადიციული ოჯახი ჰყავს. მას ჰყავდა არაჩვეულებრივი მამა, რომლის ხსოვნასაც დღემდე პატივს სცემენ რაიონში.

ის ფაქტორი, რომ მარიამის ოჯახი ქართულ ტრადიციებზე დგას, ჩემთვის საამაყოა. რაც შეეხება ქალბატონ მზიას, შეიძლება ითქვას, რომ ზედმეტად ტრადიციულია, არაჩვეულებრივი ქალბატონია. დღეს თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ქალბატონი მზია ჩემი მეგობარია. სიდედრის შთაბეჭდილებას სულ არ ტოვებს.



„დანკინ დონატსის“ კიდევ ერთი რესტორანი თბილისში

ნიჩო გაბლიძე

„ვისოლჯგუფმა“ თბილისში, ვაჟა-ფშაველას ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე „დანკინ დონატსის“ კიდევ ერთი რესტორანი გახსნა.

„ვისოლჯგუფმა“ ამერიკული რესტორნების უმსხვილეს ოპერატორთან „დანკინ დონატსთან“ ექსკლუზიური ხელშეკრულებას ხელი 2014 წელს მოაწერა და დღესდღეობით უკვე 11 რესტორანია თბილისსა და რეგიონებში, ყველასთვის საყვარელი თავმჯდომარის ადგილი. 2015 წლის ბოლომდე „ვისოლჯგუფი“ საქართველოში 15 „დანკინ დონატსის“ რესტორანს გახსნის და კიდევ 500-მდე ადამიანს დაასაქმებს. მარჯანიშვილის მოედანზე „დანკინ დონატსის“ ახალ გახსნილ რესტორანში მოსულ სტუმრებს 25 სახეობის უგემრიელები დონატის მირთმევა შეეძლება.

სოსო ფხაკაძე „ვისოლჯგუფის“ პრეზიდენტი: „მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს მომხმარებლებს, რადგან მათი საშუალებით და სწორედ იმ ემოციით, რასაც მათგან ვიღებთ, გავხსენით ახალი რესტორანი, ასევე მადლობა იმისთვის, რომ შეიძლება ვარეს ჩვენი სენდვიჩები და



სენდვიჩებმა გაყიდვებით დონატების გაყიდვებს გაუსწრო“.

ახალი რესტორნის პირველი მომხმარებელი ჟურნალისტი ზაალ უდუმაშვილი აღმოჩნდა.

„მე დანკინის დიდი მოყვარული და თითქმის ყოველდღიური მომხმარებელი ვარ, იმიტომ რომ ძალიან პრაქტიკულია, როცა სამსახურში მივდივარ, თან ნავიყოლო“, - განაცხადა ზაალ უდუმაშვილმა.

შეგახსნებთ, რომ „ვისოლჯგუფმა“ შეძლო სამწლიანი მოლაპარაკებების შედეგად ამერიკის ერთ-ერთი უმსხვილესი და ლეგენდარული ბრენდის „დანკინ დონატსის“ საქართველოში შემოყვანა. ძალიან მოკლე დროში „დანკინ დონატსის“ ამერიკული რესტორნები ყველასთვის საყვარელ თავმჯდომარის ადგილად იქცა. „დანკინ დონატსი“ ამერიკის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული, ლეგენდარ-



ული ბრენდია, რომელიც უკვე თითქმის 65 წელია წარმატების ისტორიას ქმნის მთელ მსოფლიოში. „დანკინ დონატსი“ მსოფლიოს 40 ქვეყანაშია წარმოდგენილი. „დანკინ დონატსის“ რესტორნებში მომხმარებელს საშუალება აქვს დააგემოვნოს უგემრიელები სენდვიჩების დიდი ასორტიმენტი, ფუნთუშეული, ცივი და ცხელი სასმელები, უმაღლესი ხარისხის ესპრესო, კაპუჩინო, ლატე, ჩაი და ჩოკოლატას პროდუქტები.

„დანკინ დონატსის“ პროდუქტები ბავშვებშიც პოპულარობით სარგებლობს.

ანანო შიუკაშვილი, მომხმარებელი:

„ძალიან მომწონს ეს რესტორანი, მიყვარს დონატები, გამიხარდა, რომ ჩემს სახლთან ახლოს გაიხსნა“.

მარიამ კუბლაშვილი დაქორწინდა



პრიზებით განებივრებდა, ალბათ, რომელი დაგამახსოვრდა ყველაზე კარგად?

- პირდაპირ გეტყვით, ლევანმა იმდენი სიურპრიზი გამიკეთა, დათვლაც არ მიცვლია. საინტერესო სასწაულებით განებივრებული ქალი ვარ, ისეთი რამეები აქვს ჩადენილი, ადამიანი ვერ დაიჯერებს. ხან სიხარულისგან ვტიროდი, ხან გიჟივით ვიციხნოდი, ჩემი სასიამოვნოდ გაოცება ლევანს კარგად გამოსდის. ერთხელ, სამსახურში ჩემი კაბინეტი ყვავილებით მომირთო. თანამშრომლებსაც არ მოუწონდა, თავისი ხელით ამოუხიდავს თავიგულბი. ოთახში ადგილი არ იყო დარჩენილი, ყვავილები რომ არ ყოფილიყო... ერთხელ, ლამით, ტელეფონზე დავემშვიდობე ერთმანეთს, ძილინებისა მისურვა და წუთის მერე დამირეკა, ფანჯარაში გამოიხიდეო. გავიხიდე და ფოიერვერკების ხმაც გაისმა. იქვე იდგა და ყვიროდა, მიყვარხარო. მერე კართან მოდიო, მომწერა, გავალე კარი და თავიგულბით იყო სავსე იქაურობა, ყვავილებში ლამაზი, ძვირფასი საჩუქარი, ყელსაბამი ილი. აქ საჩუქარი არაა საქმე, ლევანს შეუძლია საჩუქრის ლამაზად მოტანა შენამდე. ახლახან ბაქოში ვიყავით, უამრავი რამ მიყიდა, მის დაბადების დღეზე რომ მეცვა, ის კაბა და ფესსაცმელი თავად შემირჩია. ერთ-ერთ მაღაზიაში „მონბლანის“ კალამი ვნახე. ძალიან მიყვარს კალამები და ვთქვი, როგორ მიხედავით. უი, რა ძვირია, რად გინდა, ამდენი კალამი გაქვსო, მითხრა. წამოვედი აეროპორტში. უკვე უნდა გამოფერულიყოყავით. მოსაწევად გავალო, მითხრა. დააგვიანდა. რომ დაბრუნდა, თვითმფრინვაში თვლები დამახუჭრდა და ის კალამი ამოიღო ჯიბიდან. ძალიან მაგარი ბიჭია ლევანი, არ ვიცი რა დავიმსახურე, რომ ასეთი მაგარი ბიჭი ჩემი ქმარია.

„მეც მსგავსია მარიამის ქმის მკიბე ხასიათზე, ვაგრამ, როცა გავიცანი, ახსოვდათ რაღაც სხვა რეალობა დაგვდა“

„სწორედ ის მომწონდა მარიამთან ურთიერთობაში, რომ დაგებშილი და განარჩილი არაფერი გვქონია“

ექსკლუზიური ინტერვიუ ნევილთან EXCLUSIVE

- ახლა შენ და მირიამი ერთად ცხოვრობთ, ერთ სახლში?
- ერთად ცხოვრებას ამას ვერ დავარქმევთ, ტექნიკური მხარეები დაგვრჩა მოსაგვარებელი. გვაქვს გვეგები, რომელზეც წინასწარ ლაპარაკი არ მიყვარს. ერთად ვართ, ძირითადად ჩემს სახლში.
- სამეგრელო უკვე აჩვენე მარიამს?
- ვაჩვენე, ზუგდიდში ჩავიყვანე, მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. აუცილებლად ვაჩვენებ სამეგრელოს უფრო ძირულად. მეც ვნახე პანკისი. მარიამის დედის შვიდიდან ნათესავები გავიცანი და აღფრთოვანებული ვარ იქაური ტრადიციებით.
- როგორ დაგვხვდნენ პანკისელები, სიძესთან დახვედრის რაიმე უცნაური ტრადიცია ხომ არ აქვთ?
- მაშინ სიძის სტატუსით არ ვიყავი ჩასული. ქორწინება ვიყავით სტუმრად. თუმცა, მათ იცოდნენ, რომ მარიამის მეუღლე ვარ, ჩემი სადღეგრძელოც დაილია, ძალიან თბილად მიმიღო ყველამ და ამით ბედნიერი ვარ.
- რამდენიმე დღის წინ დაბადების დღე ქონდა, რამდენი წლის გახლდა?
- 33-ის.
- როგორ მოგილოცა მარიამმა?
- შევიკრიბეთ ჩემი და მარიამის მეგობრები. მარიამმა ტორტი მომართვა და ვარსკვლავი გამიხსნა. აი, ასეთი ხუმრობანარევი სიურპრიზი გამიკეთა.

ვანი მშობლებთან და დასთან ერთად მოვიდა და ძმას სთხოვა ჩემი ხელი. ჩემმა ოჯახმა წინასწარ იცოდა ამის შესახებ. დედას ძალიან მოსწონდა ლევანი, ვერ კიდევ მაშინ, როცა ვმეგობრობდით. შეიძლება ითქვას, რომ შეყვარებული მასზე. დედა ზედმეტად კრიტიკულია, იშვიათად, რომ ვინმე მოეწონოს. ძმას რაც შეეხება, მარტომ ვერ გავხიდე თქმა. ბიძები, დედაშვილები, მამაჩემის მეგობარი ჩაერთო ამ საქმეში. ძალიან განიცადა, ოთხი დღე ნერვიულობდა. ზოგადად ემოციური ძმა მყავს. მაგრამ, როგორც კი გაიცნო ლევანი, მაშინვე შეუყვარდა და მიიღო. ლევანმა დამირეკა პირველივე შეხვედრის მერე და მითხრა, როგორი გულგრილი ძმა გყვლია, ამას მიმალავდიო. ჩემმა ძმამ არც იცოდა ვინ იყო ლევანი, ტელევიზორსაც არ უყურებს.
- როგორ შეგხვდნენ ლევანის მშობლები?
- ლევანის ოჯახის წევრებმა უფრო ადრე გამიცნეს, ვიდრე ჩვენთან მოვიდოდნენ ხელის სათხოვნელად. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ასეთი კარგი ადამიანები იშვიათად მინახავს. იმიტომ არა, რომ ისინი უკვე ჩემი ოჯახის წევრები არიან. ლევანის დედამ პირველად შეილთან ერთად მიმიპატიჟა ოჯახში. მითხრა, რომ ერთად მივიპატიოთ ოჯახთან ერთად. არც უგრძობიანებია ჩემთვის, რომ მე განათხოვარი ქალის სტატუსი მაქვს. საქორწინო ბიჭია ლევანი, შექმნილი ასეთი არჩევანი არ გავკეთებინა, მაგრამ შეგნებულნი ვარემოცვა ჰყავს გარშემო და მისი სიყვარული გაითავისეს, იმ კუთხით დამინახეს, როგორიც რეალურად ვარ. ლევანის მამა ძალიან თბილი ადამიანია, გაუძღვა ჩემზე. გაოცებული ვარ, ისეთ ოჯახში და ისეთ ხალხში აღმოვჩნდი, ერთი წუთით არ მიგრძნია უარყოფითი განწყობა. ხომ შეიძლება თავიდან მაინც გავპოვებოდა ტესტებინათ, ურთიერთობის დასაწყისში მაინც. ამასაც შეგუებული ვიყავი, მაგრამ არა. კონკრეტულად ისტორიას ჰყავს ჩემი სიყვარული ამბავი, უბრალოდ, დედინაცვალი არ მყავს (იცინის).
- ლევანს თბილისში მექალთანე ბიჭის სახელი აქვს. თქვენი ურთიერთობის რომელი ეტაპზე ეჭვიანობის საბაზი მოუღია?

- ყველაზე ნაკლებად ეს საკითხი მადარდებს. ლევანმა ისე გამათამაშა, პატარა მიზეზიც არ მქონია ეჭვიანობისთვის. კი, ლევანი ბევრ გოგოს მოსწონს, ბევრიც შეყვარებულია მასზე, მაგრამ ეს მხოლოდ მახარებს (იცინის). ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვაქვს, ისე გვიყვარს ერთმანეთი, ძალიან ბავშვური და არასერიოზული იქნება ჩემი მხრიდან ეჭვიანობა. მაგალითად ყველას, ვისაც ჩემი ლევანი უყვარდა და უყვარდა.
- ლევანი ეჭვიანია?
- არა. ქართველი მამაკაცია, თავისი სიმკაცრით, მაგრამ ეს ზომიერების ფარგლებს არ სცდება. არც მიმიცია საბაზი ეჭვიანობისთვის.
- არის საკითხები, რაზეც, სანამ ერთად ცხოვრებას დაიწყებდით, წინასწარ შეთანხმდით?
- რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას ვიღებდით ორივე, შესაბამისად, ბევრი ვისაუბრეთ, კარგად გავიცანით ერთმანეთი. 32 წლის განმავლობაში ლევანის ცხოვრებაში არ ყოფილა ქალი, ვისთან ერთად ოჯახის შექმნაზე იფიქრებდა. შესაბამისად, საათობით ვსაუბრობდით, უამრავ საკითხზე შევთანხმდით. ბოროტ ადამიანს რა გამოლევა, ბევრი ჭორი მსმენია ლევანზე, მაგრამ ერთი კარგი თვისება მაქვს, სანამ თვითონ არ გავიცნობ ადამიანს, სხვის აზრს, სხვის წარმოდგენას არ ვუწმენ... პრობლემა არ აქვს არც ჩაცმაზე. თავადაც არ ვიცვამ ვულგარულად. ლევანი აღფრთოვანებული იყო ჩემი ქცევებით. არასდროს დამიმსახურებია მისი შენიშვნა. რჩევის სახით თუ მეტყვის რამეს. მაგალითად, მისგან ვსწავლობ მეტყველების კულტურას, ლევანი პროფესიონალია ამ საკითხში.
- შენ რას ახსენებ მას?
- მე ძალიან მეტყველი ხასიათი მაქვს. ბევრი ქართველი გამოვიარე კარიერაში, სხვადასხვა სფეროში. ვურჩევ ლევანს, რომ მხოლოდ ერთი მიმართულებით, ერთი პროფესიით არ განვითარდეს. მას ბევრი კარგი

რამის გაკეთება შეუძლია. ამაში დავარწმუნებ.
- გავიგე, შენს შვილთან, გიორგისთან დამეგობრებულა ლევანი.
- ჰო, მოახერხა. გიორგი ლევანს უკვე თავის საიდუმლოებებსაც ანდობს. თუ რამეს დაამყვებს, გააფუჭებს, მეხვეწება ლევანს არ უთხრაო, უნდა კარგი წარმოდგენა ჰქონდეს

„მთელი ცხოვრება მიწოდდა ჯვარი დაიწერა, თეთრი კაბა მცემოდა. ლევანი დამპირდა, რომ ამ ოცნებას ამიხდენს“

ლევანს მასზე.
- მარიამ, შენმა ყოფილმა მეუღლემ ხომ არ მოგილოცა გაბედნიერება?
- არა, მასთან არანაირი კონტაქტი არ მაქვს და არც სურვილი, მილოცვა მივიღო მისგან.
- ქორწილს გეგმავთ?
- მთელი ცხოვრება მიწოდდა ჯვარი დამეწერა, თეთრი კაბა მცემოდა. ლევანი დამპირდა, რომ ამ ოცნებას ამიხდენს.
- ამ ხნის განმავლობაში სიურ-



„კონკრეტულად ისტორიას ჰგავს ჩემი სიყვარულის ამბავი, უბრალოდ, დედინაცვალი არ მყავს“



ფილოლოგი დედისა და რეჟისორი მამის ოჯახში გაიზარდა. თავადაც რეჟისურისკენ გაექცა გონება. დიპლომი ვერ აიღო, მაგრამ რეჟისორობა მაინც მოახერხა. მერე აშლერდა, ცოტა ივაჭრა კიდეც. პროფესიით ფილოლოგი, მომღერალი ახლა პოეზიამ გაიტაცა. ახლანხან პოემა გამოსცა „ქართ ზღაპარი ანი ბანი“. ამბობს, რომ ახლა უკვე მშვიდად შეუძლია წასვლა ამ ქვეყნიდან, რადგან ჰგონია, რომ ამით ბუნების დავალება შეასრულა.

დღეს „პრაიმტიმის“ სტუდიარი გაა ნიკოლაძე გახლავთ.

„ხულიგანი“ დისკომფორტი ოჯახში
- გაა, ჩვენ უნდა ვისაუბროთ ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე და იმ გამოცდილებით დავინწყით, რომელიც ოჯახიდან მიიღე, მშობლები-სგან და იმ გარემოდან, რომელშიც იზრდებოდი...

- ერთ ჩვეულებრივ თბილისურ ოჯახში ვიზრდებოდი. დედამ და მამამ ფილოლოგიური დაამთავრეს, თ.ს.უ. მერე მამამ, ვარლამ ნიკოლაძემ სარეჟისოროც დაამთავრა, ახლა თეატრის რეჟისორია. თან მსახიობობს კიდეც. დედა, თინათინ მარგველაშვილი ბავშვთა მეთოდური ალბრდის ცენტრში მუშაობდა. ახლა „კვირის პალიტრაში“ მუშაობს.

მე რომ ერთი წლის ვიყავი, მაშინ დაშორდენ მშობლები ერთმანეთს. შვიდი წლის რომ გავხდი, დედა მეორედ გათხოვდა, კვლავ რეჟისორზე (იციანის), დოკუმენტალისტია, ჯემალ გურგენიძე.

- უცხო მამაკაცი ოჯახში დისკომფორტი იყო შენთვის? მამინაცვალს ვგულისობ?

- არა, რასაც მინდოდა მაინც იმას ვაკეთებდი. მე უფრო ვიყავი იმისთვის დისკომფორტი.

- განსაკუთრებული დარღება გასხედება მშობლების მხრიდან?

- დედა სულ მეუბნებოდა, გააკეთე ის, რაც გინდა და ყველას ეყვარები, მაგრამ არავის არაფერი გაუფუჭო.

- მერე უჯერები დედას?
- როგორც შემეძლო.

- ვის ჰგავხარ ხასიათით, ვისი რა გაქვს?

- მამის ნიჭი და ხასიათი მაქვს, დედის - გონება და ხასიათი.

- დისკომფორტი თავად ვიყავი, მითხარი, რას აფუჭებდი?

- რა ვიცი, ყველაფერს. ხან მანქანას ვიპარავდი, ხან სიგარეტს, სულ ქუჩაში დავეძრნოდი ძმაკაცებთან ერთად.

„ერთი ერთზე მხოლოდ ერთხელ ვინახე“

- ქუჩის აკადემიამ რა მოგცა გამოცდილების თვალსაზრისით, რა გასწავლა?

- ყველაფერი! ეგ აუცილებელია ბიჭისთვის, მაგრამ არ



„სცენის კვლავიჭური კომპლექსი მქონდა და კულისებიდან ვუკრაპდი საქსაფონზე“

„კლიპის გადაღებისას ან კონცერტის ჩატარებისას რა ენერგია და დროც იხარჯება, ეგ რომ ბიზნესისკენ მიმართოს, ქარხანას ააშენებს კაცი“

უდიპლომო რეჟისორი - პროფესია როგორ აირჩიე?

- სარეჟისოროზე მინდოდა ჩაბარება, მაგრამ იმ წელს არ იყო ჯგუფი და ჯარში რომ არ წავეყვანეთ, თსუ-ში ჩავაბარე ბებიანებთან, ფილოლოგიურზე. მაგრამ სულ მიზიდვდა რეჟისურა და მუსიკა, და სულ რაღაცებს ვდგამდი სტუდენტურ დღეებზე. თან სცენის ძველბიჭური კომპლექსი მქონდა და კულისებიდან ვუკრაპდი საქსაფონზე (იციანის). ფილოლოგიური სულ იმარჯვებდა და მაგანაც შემინყო ხელი, რომ არ გამრიცხეს და დიპლომიც მომცეს. მერე „მელოტი კუ“ გადავიღე და თეატრალურში ჯგუფი ჩამაბარეს. იქაც ვასწავლიდი, მაგრამ მხოლოდ 4 კურსი დავამთავრებინე ჩემს სტუდენტებს. მერე შემცირებდა წავიდა და მეც მოვეყვი, რადგან თეატრალურის დიპლომი არ მქონდა! ახლაც ვძმაკაცობთ მე და ჩემი ყოფილი სტუდენტები.

პირველი ჰონორარით ნაყიდი „დუბლიონკა“

- ეგ იყო შენი პირველი მსახური, პირველი ხელფასი?

სკოლაში მანქანა შემარქვეს, რასაც ფილმში მეძახდნენ.

- რამდენი იყო შენი პირველი ჰონორარი და რაში დახარჯე თუ გახსოვს...

- მაგ ჰონორარით „დუბლიონკა“ ვიყიდე (იციანის). მერე ბაზლუნთან „უძინართა მზეზე“ ვმუშაობდი (ცოტა ხანი და მერე ჩემი საქმე დავინწყე. ეს უკვე მოგვიანებით, 25 წლის ვიყავი. ჯერ ყვავილების თაიგულების გასაყიდი ნერტილები გვექონდა ბავშვობის ძმაკაცებს, მე, ვასო ექსეულიძეს და ზაზა ხანთაძეს, მერე სარეკლამო გვექონდა ლევან ბუნრაშვილს და იგივე სასტავს და მერე 10 ჯიხური ჩავდგით და ძალიან დიდი ფული ვიმოვეთ, მაგრამ სად წავიღეთ არ ვიცი. სიგარეტებს, წვენებს და რა ვიცი, ყველაფერს ყიდდნენ ეგ ჯიხურები! ვიცი საქმის აწყობა როგორც უნდა! მაგრამ ეგ ამბები არ მიზიდავს! ისე, ერთი კლიპის გადაღებისას, ან კონცერტის ჩატარებისას რა ენერგია და დროც იხარჯება, ეგ რომ ბიზნესისკენ მიმართოს, ქარხანას ააშენებს კაცი! მაგრამ მერე ვაჭრობა მოწყვეტა და აი, მანდ არ შემიძლია რა. აი, ეს ლექსი გამოსხატავს ჩემ დამოკიდებულებას ვაჭრობაზე.

„ფული“

- ათ მანეთს ვაძლეე!
- არა ოცი ლირს!

- თორმეტი! ჯანდაბას ეგ შენი თავი!

- შენ რა გაგიყიდე? ოცი ლირს მეთქი! თვრამეთად მოგცემ, ჭკუით იყავი!

- კარგი ცამეტი და სამართალი!

- კარგი ჩვიდმეთად მოგცემ აილე!

- თოთხმეთად იქნება უფრო მართალი!

- თექვსმეტი ბოლო! ტვინი ნუ ნაილე!
არც შენი არც ჩემი - უთხრეს ერთმანეს!

თხუთმეტზე შეთანხმდნენ - დალაღეს ღმერთი!

ნეხვში გადაყვენ თვითოეულ მანეთს!
გვითხე: - დრო ფუჭად დაკარგეთ მეთქი?

მითხრეს - რას ამბობ ეს მსჯელობა!

ურთიერთობა ხომ ვაჭრობაა! ალარ ვეკამათე, რომ უაზრობაა!

და ვაჭრუკანობა რომ ეშმაკობაა!

რჩევა ქალებს

- სასიყვარულო გამოცდილებაზე რას მეტყვი? დიდი ბიჭი ხარ უკვე. ამასობაში ამოხსენი ქალის ფენომენი?

- სასიყვარულო გამოცდილება ისეთი მაქვს, რაც 51 წლის კაცს შეეფერება (იციანის). ამ კითხვაზე ლექსით გიპასუხებ.

„გვითხე: - გვირჩიე ნათელო, როგორ მიუდგეთ სიყვარულს, რომ განდევილის სხივ-ქალი არ შეიცავდეს აკრძალულს.“

ერმა და ბერმა როგორ ექნათ, როგორ მოვთოკოთ სხეული?

მის დაოკებას რომ ვცდილობთ, ქალს მაინც ითხოვს წყეული...

ჰონორარით „დუბლიონკა“ ვიყიდა

რა მოხდა! საერთოდ, რაც ეს პოემა „ქართ ზღაპარი ანი ბანი აი ია“ დავწერე, სულ შევიცვალე! ეს ამონარიდი ზუსტად მაგ თემას ეხება. „უშიშარ ვაჭკაცს უფრო მიენდე, მას არ სჩვევია ჩარაზვა კარის, აბა, ვისაც რომ შენი შიში აქვს?!“ ის უფრო მეტად საშიში არის!

- პირველი ჩემი გასამრჯელო ჰონორარი იყო. მაგრამ ადამიანმა, ბატონმა შერგილ შონიამ (ღმერთმა გაანათლოს მისი სასუფეველი) გადამიღო მოკლემეტრაჟიანი ფილმში. მთავარი როლი მქონდა, ჯემალ ლალანიძესთან და ვასილ ჩხაიძესთან (ბიძია-ბაბუა) ერთად ვთამაშობდი. ფილმს „პირველი კონცერტი“ ერქვა. მე-7 კლასში ვიყავი, 55 სკოლიდან 53-ში გადავედი და მაგ დროს გამოვიდა ფილმი.




„რასაც მიწოდდა მაინც იმას ვაკეთებდი. მე უფრო ვიყავი მაშინაცვალისთვის დისკოფორტი“



EXCLUSIVE

მითხრა: - გრძნობებს ნუ მოთოკავთ, არად ღირს თავის წვალება. სიყვარულს არვინ აკრძალავს.



თუ თავად არ ეკრძალება. რატომ იკვალავთ ბილიკებს, გზა უკვე გაკვალულია. ღმერთი სიყვარულს არ კრძალავს, ის თვითონ სიყვარულია!... ხოლო ამ გრძნობას ვინც კი გაუბრუნებს და ღმერთის ნებას ვერ ხედავს მასში, სწორედ ის მალავს ოქროს გასაღებს და არვის უშვებს სამოთხის კარში!
- რაღაც ძალიან გამელექსე, ნასვამი ხარ?
- არა. დაღევა ამიკრძალავს ორი წლით. ღვიძლებ ვემკურნალობ, პროგრამაში ჩამსვებს... სანამ ამ თემას ამოვწურავთ, რჩევა მინდა მივცე ქალებს ჩემი ლექსით.
„სულელი გოგონა რა იყო ბერდები? მით უფრო ბრახდები? რაც უფრო ბრძენდები?!“
სად გაქრა ის სხივი თვ-

ალში რომ ელავდა?! და ყოველ მამაკაცს მუხლებში ცეცხლავდა! რა ქენი თუ ფიქრობ მოხუცო გოგონა?! სიკეთე სად დადე?! რა? კვერცხი გეგონა? რას თესავ დაფიქრდი და ისე იარე! ჩახედავ სარკეს და ვერ დათვლი იარებს! ქალის ღირსება ის კი არ არის სილამაზით რომ ბატონობს სხვაზე, ღირსება ქალში მაშინ სჩანს მხოლოდ, როს მიატოვებს მას სილამაზე“.
„უმტკივნეულოდ შემიძლია მოვკვდე, იმიტომ რომ ასე მგონია, ბუნების დავალება შევასრულე!“
- გია, თავად რა გამოცდილება გაუზიარე შვილებს?
- ხარი ხართან დააბი სისტემაზე ვზივარ, მე ჩემსას ვაკეთებ და ისინი თავისით გადაიღებენ ან გადაედებათ. ჩემს შვილებს



„სახეზე და თავზე ხელები არასოდეს ამიფარებია“

ჩემს სიმღერებს ლექსებს და პოემას ვუტოვებ!
„თუკი სოფელი დამშეულია შვილს ნუ გამოზრდი თავლის კვერცხში, გიჯობს ის მშიერ ძერად დაგიგირჩეს, როს მსუქან მამლად მშიერ ძერებში“.
- სამომავლო გეგმებზე რას მეტყვი?
- ახლა გამოვიდა ჩემი პოემა „ქართ ზღაპარი ანი ბანი“, რომლიდანაც ნაწყვეტებს გიკითხავდი ინტერვიუს დროს. ისეთი კარგი გამოხმაურება აქვს, მოლოდინს აჭარბებს. ძალიან მიხარია, აღფრთოვანებული ვარ! საერთოდ უმტკივნეულოდ შემიძლია მოვკვდე, იმიტომ რომ ასე მგონია, ბუნების დავალება

შევასრულე!
სამომავლოდ მინდა ძალიან მაგარი გადაცემა გავაკეთო რომელიმე არხზე და ეზოთერული თემები გავაშუქოთ, მღვიმეები აღმოვაჩინოთ, გოლიათების, დევების ნასახლარები ვეძებოთ და ასე შემდეგ. ნამდვილი „ნიკოლშოუ“ გამოვა. და „ნიკოლშოუს“ ცოცხალი კონცერტიც მინდა ორკესტრთან, „ბიგბენდთან“ და მეგობრებთან ერთად.
- დასასრულ, შეცდომებზეც გკითხავ. ერთი და მთავარი, რომელიც ყველაზე ხშირად გახსენდება...
- ტიცციან ტაბიძის 14-ში საკუთარი სახლი მქონდა დიდი ბალით და 25 წლის წინ გავყვიდე და ეგ არ უნდა მექნა.

კალათბურთელი, რომელიც სუპერთასზე მიზეზ კლბისთვის მძღოლი იყო

მაგდა კლდიაშვილი

ზვიად ანთაზე 25 წლისაა და კალათბურთელია. უკვე მოასწრო და შეერთებულ შტატებში წელიწად-ნახევარი ითამაშა ნაციონალურ საკალათბურთო ასოციაციაში, თუმცა მხოლოდ რეგიონალური დონის კარიერა დაიწყო. მისი ამერიკული კარიერა ოჯახური პრობლემების გამო ვეღარ გაგრძელდა. ახლა კი გუნდის ძიებაშია. საქართველოს სუპერთასის რამდენიმე გუნდიდან შემოთავაზება აქვს, გადაწყვეტილება კი ჯერ არ მიუღია. ვიდრე გუნდის საკითხს გარკვევდა, საზაფხულო სამსახურის ძიება დაიწყო და მოძებნა კიდევ. ჯერ თბილისის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალზე მუშაობდა, ერთ-ერთი კომპანიიდან, შემდეგ, იმავე კომპანიის რეკომენდაციით, უფასო სუპერთასზე, „ნისანის“ მძღოლად გაუშვეს. ანთაძეს, არც მეტი, არც ნაკლები, ლეგენდარული ფრანგი ფეხბურთელისა და უფასო პრეზიდენტის, მიშელ პლატინის ტარება ხვდა წილად.

როგორ აღმოჩნდა კალათბურთელი მძღოლად და როგორი პიროვნებაა პლატინი, რისგან ჩავარდა შოკში მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდა და რას ყვება ზვიად ანთაძე მის შესახებ. „პრაიმტაიმი“ დეტალებით.

- ამერიკაში თამაშობდი წელიწად-ნახევარი, რატომ წამოხვედი იქიდან?

- კოლეჯში ვთამაშობდი, მონტრო კოლეჯი, ნიუ-იორკის შტატშია. ეს გუნდი ვა-

ჟა კვარაცხელიამ გამოკეთა, თან ჩემი აგენტი იყო და ინდივიდუალურადაც მავარჯიშებდა, თვითონ გამიშვა. წელიწად-ნახევარი ვიყავი, ვთამაშობი, შემდეგ ოჯახში პრობლემების გამო ჩამოვედი და სამწუხაროდ, ვეღარ მოვახერხე წასვლა. იქ, რეგიონის და შტატის ჩემპიონი გახვდი.

- დარჩენის ან დაბრუნების ვარიანტები გქონდა?

- სურვილი იყო, როგორ არა, მაგრამ, ვერ მოვახერხე, მიზეზების გამო, ოჯახური პრობლემების გამო, ისევ წასვლა ვერ მოვახერხე და დავრჩი საქართველოში. იმის შემდეგ თბილისში ვარ.

- ახლა გუნდის ძიებაში ხარ, რა შემთავაზებები გაქვს და სად გაგრძელებ კარიერას?

- ჯერჯერობით, არაფერი მაქვს გადაწყვეტილი. რალაც შემოთავაზებები მაქვს, მაგრამ არ ვიცი, სად გაგაგრძელებ თამაშს. მაინც თავს შევიკავებ გუნდების დასახელებისგან, სანამ არ გაირკვევა ყველაფერი.

- მიუხედავად იმისა, რომ რეგიონალურ ლიგაში თამაშობდი, რომ შევადართო საქართველოს ჩემპიონატთან, განსხვავება ძალიან დიდია?

- ევროპის ჩემპიონატსა და კალათბურთის ლიგას ვერ შეადარებ კოლეჯის ლიგას. ძალიან რთულია შედარება. დიდი საერთოდ სხვაა. მოთამაშეების ფიზიკური მონაცემები განსხვავებულია. მწვრთნელების მომზადებაც. სად, ამერიკაში რომ გაივლი მზადებას და სწავლებას და სად საქართველოში, როცა მარტო გადამზადებებს გადისხარ. ამაშიც ძალიან დიდი სხვაობაა. თვითონ მიდგომა სხვა ამერიკაში სპორტის მიმართ და განსაკუთრებით, კალათბურთის. საქართველო ბოლო

„ძალიან მოაწონა ფინანს ბაზსა. ქართული ტექნიკა, რითაც ბაზსა, ძალიან მოაწონა, შინაარსობრივი იყო, ასეთი ლამაზი ბაზსა არც მინახავს, ბავიშაული იყო“



„პირველი შემთხვევა იყო, რომ ასეთ ცნობილ ადამიანს ვატარებდი და მიხარია, რომ მისი შექება დავიმსახურე“
EXCLUSIVE

წლებია ძალიან წინ წავიდა. ადრე იყო ჩავარდნა, მაგრამ ახლა შედარებით სტაბილური სიტუაციაა. შეიძლება, თუ არა, რომ ამერიკულ კალათბურთს დავენიოთ, ვერ გეტყვით. ჩვენ საერთოდ ევროპულს ვთამაშობთ და სულ სხვაა. ცოტა მიჭირს ახსნა, სხვა სტილია, სისტემაც განსხვავებულია.

- რაც შეეხება მწვრთნელებს, გყავს კვალიფიციური სპეციალისტები საქართველოში?

- კი, სხვათა შორის, რამდენიმე კარგი სპეციალისტია. მე, მაგალითად, ირაკლი ხოშტარიასთან ვიყავი „დინამოში“, ზურა ტომარაძესთანაც მომიწია. ძალიან კმაყოფილი ვარ ორივესი. ხოშტარიას „დინამო“ ჩემპიონი გახდა, არც მეგონა, რომ ასეთი სისტემის შექმნა შეეძლო ქართველს.

- ნაკრებს წინ ევრობასკეტი ელის, როგორ შეაფასებ ჩვენი ნაკრების შანსებს?

- ძალიან მაღალი დონის ნაკრები გყავს. დიდი შანსები გვაქვს. მოთამაშეებიც ძალიან შეკრულნი არიან, როგორც ვიცი, მე არ მაქვს პირადად ამასთან შეხება. მწვრთნელიც კარგი გყავს, ლეგიონერებიც, უპრობლემოდ უნდა გავიდეთ ჯგუფიდან.

- ის თაობა, რომელიც ახლა ეროვნულ ნაკრებში ძირითად ბირთვს შეადგენს, მალე წავა, ვინ მოდის მომავალიდან?

- სიმართლე გითხრათ, არ ვიცი. მართალია, ჩემი ასაკის თაობაში არის

- სწორედ პლატინზე უნდა მეთქვას, ლეგენდარულ ფეხბურთელი და ადამიანი, მარტივია მასთან ურთიერთობა?

- თავიდანვე ვიცოდი, რომ მასთან მომიწევდა მუშაობა. კარგი დახასიათება რომ მომცეს, დამქირავებელმა კომპანიამ, „ვითი გრუპმა“ მითხრა, თუ გინდა პლატინის ტარებაო. სიხარულით გავეფიქრე. ფეხბურთში დიდად ვერ ვერკვევი, კალათბურთი ვიცი, მაგრამ პლატინი ყველამ იცის, ფეხბურთი რა დონეზეც არ უნდა ესმოდეს. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. შეხება მქონდა, ვატარებდი, სადაც მიდიოდა, ყველგან მიმყავდა.

- ისაუბრეთ?

- კი, სურმოდა კიდევ, შეხელელებსაც მეუბნებოდა ხანდახან. ძალიან მოეწონა ფინანსის ბაზსა. ქართული ცეკვები, რითაც გაიხსნა, ძალიან მოეწონა. შინაარსობრივი იყო, ასეთი ლამაზი ბაზსა არც მინახავსო, გაგიჟებული იყო. პირველად არ ყოფილა. მითხრა, როგორც კი უფასო პრეზიდენტად ამირჩიეს, პირველი ოფიციალური ვიზიტით საქართველოში ჩამოვედიო. სამწუხაროდ მე ეს არ ვიცოდი. ნებისმიერ რალაცაზე შე-

ეძლო ესაუბრა. სულ საქმეებში იყო, ხან სიჭინავა ევდა მანქანაში, სულ საუბრობდნენ. გახსნილი პიროვნებაა.

- კმაყოფილმა დატოვა საქართველო?

- დიახ, ძალიან კმაყოფილი იყო. მე, მაღლობა გადამიხადა განუელი სამსახურისთვის, გამეხარდა, იმიტომ რომ გამოცდილება არ მაქვს ამ სფეროში, პირველი შემთხვევა იყო, რომ ასეთ ცნობილ ადამიანს ვატარებდი და მიხარია, რომ მისი შექება დავიმსახურე.

- სოციალურ ქსელში დაწერეს, ჩემპიონთა ლიგის ფინალზე დაპატიჟაო, ხუმრობაა?

- არა, ეს მართალი არ არის. ხუმრობაა. არსად არ დაეუბრატიყვივარ, მაღლობა გადამიხადა.

- შენი გუნდის ამბავი როდის გადაწყდება?

- სექტემბრიდან უკვე გადაწყვეტ, სად გაგაგრძელებ კარიერას. ეს ნებისმიერი გუნდი შეიძლება იყოს.



„ღონე საერთოდ სხვაა. მოთამაშეების ფიზიკური მონაცემები განსხვავებულია. მწვრთნელების მომზადებაც. სად, ამერიკაში რომ გაივლი მზადებას და სწავლებას და სად საქართველოში, როცა მარტო გადამზადებებს გადისხარ. ამაშიც ძალიან დიდი სხვაობაა“



„ძალიან მაღალი დონის ნაკრები გყავს. დიდი შანსები გვაქვს“

ჩავარდნა, მაგრამ უფრო ახალგაზრდებში მოდის კარგი თაობა, 92-წლიანებიდან კარგი ბიჭები მოდიან. შეიძლება რამდენიმე წელი ჩავარდნა, მაგრამ თაობა რომ არ მოლოდინდეს, ასეთი არ ხდება. ნაკრების პროგრესი არ შეჩერდება, ბევრი პერსპექტიული მოთამაშე იზრდება.

- როგორც ვიცი, ჩართული იყავი თბილისის ახალგაზრდულ ფესტივალსა და უფასო სუპერთასში, როგორ მოხვედი ამ ღონისძიებებზე?

- გასაუბრებზე ვიყავი. ზაფხულის სამუშაოს ვეძებდი, ერთ-ერთმა კომპანიამ დამიქირავა, ათი დღე ვიყავი ოლიმპიურ ფესტივალზე. სერბეთის წარმომადგენელს ვატარებდი. როგორც ვიცი, სერბეთის წარმომადგენელმა კარგი დახასიათება დაწერა ჩემზე და შემდეგ ჩამსვეს პლატინისთან მძღოლად.

სკანდალური ფაქტები და სიმატლე „დინამოს“ კვილი და ახალი მისვლელების შესახებ

სურნალისტური გამოძიება

თბილისის „დინამოს“ ყოფილი პრეზიდენტი, მერაბ ჟორდანიას პერიოდულად წამოყობს-ხოლომე თავს და აცხადებს, რომ თავის დროზე „დინამოს“ მას უკანონოდ, ხელისუფლების ზეწოლით წაართვეს და მზად არის, მის დასაბრუნებლად იბრძოდეს. ჟორდანიამ ბოლოს 2010 წლის გაზაფხულზე გაახმოვანა „დინამოს“ დაბრუნების სურვილი, მაგრამ საზოგადოებისა და ქართული მედიის დიდ წინააღმდეგობას წაანყდა და სრულიად უპერსპექტივო, სამართლებრივად და მორალურად უსაფუძვლო ამ გადაწყვეტილებებზე ხელი აიღო. სადღეისოდ, ისევე აქტუალური გახდა „დინამოს“ ძველი, მერაბ ჟორდანიას და მისი მფლობელი „მხედრონელებისთვის“ დაბრუნების თემა. ამჯერად, მერაბ ჟორდანიამ ჩრდილოში ყოფნა არჩია, თავად აღარ აქტიურობს, რადგან უკვე იცის, რომ ქართული საფეხბურთო (და არა მარტო საფეხბურთო) სამყაროს ნეგატიური დამოკიდებულება მის მიმართ და წინა პლანზე ყოფილი „დინამოელები“, კლუბის სამეთვალყურეო საბჭოს ყოფილი წევრი, ნუკრი კაკილაშვილი და გიორგი ქინქლაძე გამოვიდნენ. მათ დააფუძნეს არასამთავრობო ორგანიზაცია „დავიბრუნოთ თბილისის „დინამოსი“. ორეულს რამდენიმე ყოფილი „დინამოელი“ შეუერთდა, სასამართლოსაც მიმართეს სარჩელით და პიარ-კამპანიაც წამოიწყეს „დინამოს“ დასაბრუნებლად. ამ პიარ-კამპანიის მიზანი კი საზოგადოების შეცდომებში შეყვანა, შვეის თეთრად წარმოჩენა და იმის მტკიცება, რომ მერაბ ჟორდანიას და „მხედრონელებს“ 2001 წლის უკანონოდ ჩამოართვეს „დინამოსი“ და ბადრი პატარკაციშვილს მიჰყიდეს. ნუკრი კაკილაშვილსა და გიორგი ქინქლაძეს „დინამოს“ რამდენიმე ყოფილი ფეხბურთელი შეუერთდა - აჩო არველიძე, მამუკა მაჭავარიანი, ნიკა ჩხიძე, მიხა ყაველაშვილი, გიორგი ლუღუშვილი, რატი აღუქსიძე, გოგა გახაკიძე, ლევან ცქვიტიანი, მიხეილ აშვეთია, არჩილ სახვაცი... რის დაბრუნებას ცდილობს ეს ხალხი, გასაკვირია. არც კაკილაშვილი და არც გიორგი ქინქლაძე „დინამოს“ წლის არც ერთი პროცენტის მფლობელები არასდროს ყოფილან. კი, ქინქლაძე წლების მანძილზე თამაშობდა „დინამოში“, კლუბს ბევრი გაუკეთა, მაგრამ ამ კრიტერიუმით თუ მივუდგებით, მას ასეთივე წარმატებით შეუძლია მოითხოვოს ყველა იმ კლუბის დაბრუნება, რომლებშიც უთამაშია - „მეტეხის“, „საარბრუკინის“, „ბოკა ხუნიოსის“, „მანჩესტერ სიტის“, „აიქსის“, „დერბი ქაუნთის“, „ანორთოსისის“ და ყაზანის „რუბინის“. მოითხოვოს ერთი ამ რომელიმე კლუბის დაბრუნება, რატომ არ თხოულობს? მაგალითად, „მანჩესტერ სიტისთვის“ არანაკლები პაქსი გაკეთებული, ვიდრე „დინამოსთვის“.



ნუკრი კაკილაშვილსაც ბევრი გაუკეთა „დინამოსთვის“, 1981 წლის თაბისის თასის ფინალის „სკოტისთან“ ისტორიული მატჩის მონაწილეცაა, მაგრამ რა დააშვეს ამავე მატჩის სხვა მონაწილეებმა? თუ ნუკრი კაკილაშვილს ეკუთვნის „დინამოს“ და მის დაბრუნებას ითხოვს, მაშინ გამოდის, რომ კლუბი ოთარ გაბელიას, თამაზ კოსტავას, ალექსანდრე ჩივაძეს, გიორგი თავაძეს, ნოდარ ხიზანიძეს, ზაურ სეადაძეს, ვლადიმერ გუცაძეს და ამ მატჩის სხვა მონაწილე ფეხბურთელებსაც ეკუთვნის. თუ ამ აბსურდულ ლოგიკას მივყავართ, ყველა იმ ფეხბურთელს უნდა გადაეცეს „დინამოს“, ვისაც ამ გუნდში უთამაშია, ვისაც გუნდი გაუნვრთნია და მისთვის მცირედი მინც გაუღია. გამოდის, რომ „დინამოს“ მფლობელობაზე პრეტენზია 2-3 ათასამდე კაცმა და მათმა მეგობრებმა უნდა გამოთქვან და ქინქლაძისა და კაკილაშვილის ლოგიკით, ეს სამართლიანი იქნება. ასეთ შემთხვევაში ერთადერთი გამოსავალი რჩება - „დინამოს“ საქცილი საზოგადოებად უნდა გადაკეთდეს და აქციები ყველა ყოფილ „დინამოელს“ და მათ სამართალმემკვიდრეთ უნდა გადაეცეთ. თუმცა, არც ეს აწყობთ კაკილაშვილსა და ქინქლაძეს. ისინი „დინამოს“ ძველი მფლობელებისთვის დაბრუნებას თხოულობენ, ეს ძველები კი მერაბ ჟორდანიას, მერაბ რატიანი და „მხედრონელები“ არიან. არა, ვინ და როდის წაართვეს კაკილაშვილსა და ქინქლაძეს „დინამოსი“? როცა რაღაცის დაბრუნებას ითხოვ, ლოგიკურად, იმ რაღაცას ოდესღაც ფლობდი, წაგართვეს და ახლა მის დაბრუნებას ცდილობ, არა? „დინამოს“ საკუთრებაში მყოფი ერთი საფეხბურთო ბურთიც კი არასდროს ეკუთვნოდათ კაკილაშვილსა და ქინქლაძეს და თუ „დინამოსისთვის“ გარჯილან, ამის საფასური როდის უხვად მიუღია, ისევე, როგორც მათ მხარდამჭერ ყოფილ „დინამოელებს“-კლუბი, იმ დროისა და პირობების შესაბამისად, როცა „დინამოსი“ თამაშობდნენ, არც ერთ მათგანთან ვალში არ დაჩინილა.

„დავიბრუნოთ თბილისის „დინამოსი“ დამფუძნებლები აცხადებენ, რომ თავის დროზე „დინამოს“ მათ ყაჩაღურად წაართვეს. მოდი, ვნახოთ, ვინ ვის წაართვა ყაჩაღურად და მართლა უნაბუსად „დინამოსი“, რა დღეში ჩაადგეს მერაბ ჟორდანიამ და მისმა პარტნიორმა „მხედრონელებმა“, როგორ დააჩინეს

და გააუბედურეს ყველა ქართველისთვის მართლაც ესოდენ საამაყო და სათაყვანო კლუბი.

როგორ ჩაიგდეს ხელში „დინამოს“ მერაბ ჟორდანიას და „მხედრონელებმა“?

ვიდრე „მხედრონელები“ ჩაიგდებდნენ ხელში, თბილისის „დინამოს“ ათეული წლების მანძილზე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ეკუთვნოდა. სპორტსაზოგადოება კი - რესპუბლიკის შს სამინისტროს. ასე იყო 1988 წლის 29 დეკემბრამდე. ამ დღეს საქართველოს სპორტდებარეობის რეკომენდაციის საფუძველზე „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის N57 დადგენილებით შეიქმნა დამოუკიდებელი საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ - სრული სამეურნეო ანგარიშითა და თვითდაფინანსებით. კლუბი ანგარიშვალდებული იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს წინაშე. „დინამოს თბილისს“ საბჭომ გადასცა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ შტაბები, გუნდის შესაბამად დაეგვიფილი 1989 წლის სახსრები, დღემის სპორტული ბაზა, პავილიონი და თვითდაფინანსებით. კლუბი ანგარიშვალდებული იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს წინაშე. „დინამოს თბილისს“ საბჭომ გადასცა საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ შტაბები, გუნდის შესაბამად დაეგვიფილი 1989 წლის სახსრები, დღემის სპორტული ბაზა, პავილიონი და თვითდაფინანსებით. კლუბი ანგარიშვალდებული იყო სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს წინაშე.

1991 წლიდან ამ სახარმოებმა შეწყვიტეს ფუნქციონირება და როგორც „დინამოს“ საბჭოს, ასევე მის დაფინანსებაზე მყოფ კლუბებს ფინანსური პრობლემები შეექმნათ. ისინი, ფაქტობრივად, გაკოტრდნენ. სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით, 1992 წელს „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის 5 ივნისის დადგენილებით, მოხდა საფეხბურთო კლუბ „დინამო თბილისის“ როგორც ახალი კლუბი შპს-ს სახით, რომლის კაპიტალი განისაზღვრა 30,4 მილიონი მანეთით, ანუ 60 000 დოლარით. აღნიშნული შპს-ს დამფუძნებლები იყვნენ ავიაკომპანია „ორბი“, საქართველო-საფრანგეთის ერთობლივი საწარმო „ბომბორა“, სამრეწველო-სავაჭრო ფირმა „კავკასიონი“ და, ცხადია, სპორტსაზოგადოება „დინამოს“. ორგანიზაციული პრობლემების გამო საზოგადოებას დიდხანს არ უარსებია და 1992 წლის 31 ოქტომბერს, დიდუბის რაიონის გამგებობის მიერ, რეგისტრაციაში გატარდა შპს საფეხბურთო კლუბი თბილისის „დინამოსი“, რომლის საწესდებო კაპიტალი 5 მილიონი მანეთით განისაზღვრა. ეს ის პერიოდია, როცა საქართველოში ენ. არაფორმალური შეიარაღებული ჯგუფები თარეშობდნენ. სწორედ ეს 1992 წლის 31 ოქტომბერს დაფუძნებული „დინამოსი“ იქცა „მხედრონელებმა“ და სხვა კრიმინალთა ლეკვად. ამ დროს დაიწყო საფეხბურთო კლუბის უკანონოდ მიტაცების არანაშული საერთაშორისო მასშტაბის ფინანსური მაციანაციები.

„დინამოს“ 28 მილიონიანი აფერა

**ვინ
გაისტუმრა
ჟორდანიას-რატიანის
400 000
დოლარი
პროცენტებით**

აზ შელია, გიორგი ნემსაძე და სხვები. ამდენად, შპს-ს არ გააჩნდა კანონიერი საფუძველი, თავის საქმიანობაში გამოყენებინა სპორტული ბაზები და ფეხბურთელთა გუნდი, ანუ არ გააჩნდა სამოქალაქო სამართლით განსაზღვრული ორიდული პირისთვის აუცილებელი ქონება. თუმცა, ამ უკანონო, დე ფაქტო ქონებას „დინამოს“ მესვეურნი საკუთარი ნება-სურვილით განკარგავდნენ. არასრულწლოები შპს „დინამოს თბილისის“ განაგრძობს საქმიანობას. იგი თითქმის 3 წელი ფუნქციონირებს, როგორც ფორმალური ორიდული პირი, რომელსაც არ გააჩნია საკუთარი ქონება და საწესდებო კაპიტალის შევსების დამატებითი რესურსები. მისთვის, მაგრამ „დინამოს“ მესვეურთ ამ უკანონობის გამო პასუხს არავინ სთხოვდა, რადგან „მხედრონელები“ ნებისმიერ სახელმწიფო სტრუქტურაზე ახდენდნენ ზეწოლას და თავისი გაკოტრდა.

1994 წლის 28 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „მენარმეთა შესახებ“, რომლის მიხედვითაც ყველა სამენარმეო სუბიექტს უნდა გაეღო ხელახალი რეგისტრაცია, მათ შორის „დინამოსიც“. ცხადია, კლუბის ხელმძღვანელებმა გადაწყვიტა შპს-ს ხელახალი რეგისტრაცია. ამისთვის კი დამფუძნებელთა თანხმობა იყო საჭირო. იმ დროს შპს მინისტრი და, ავტორმატურად, სპორტკლუბ „დინამოს“ თავმჯდომარე გახდა კახა თარგამაძე, რომელმაც კლუბის საბჭოს შემადგენლობა შეცვალა. მინისტრის დაავლებით შეისწავლეს „დინამოს თბილისის“ საქმიანობა. ცხადია, უამრავი დარღვევა აღმოჩნდა, დანაშაულები ნიღების გადაწინააღმდეგობით, დამთავრებული მიტაცებებით და უკვე განთავსებული ქონებით. ამის გამო თარგამაძემ, ანუ სპორტკლუბმა „დინამოს“, როგორც თანდამფუძნებელი, უარი უთხრა პარტნიორებს შპს-ს ძველბურთო სახით რეგისტრირებაზე. 1996 წლის 1 ივლისიდან შპს „საფეხბურთო კლუბი თბილისის დინამოსი“ აღარ არსებობდა ორიდული პირის სტატუსით და შს სამინისტრომ დაიწყო შპს-ს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შესწავლა. შპს „დინამოს“ რეგისტრაციაში არ გაატარეს, მაგრამ 1997 წლის დეკემბერში, შპს-ს დირექტორის მიმართვის საფუძველზე დიდუბის რაიონის საგანგებო ინსპექციის უფროსმა მ. ქვენიშვილმა ანგარიშსწავლა დაიწყო და არ დააქნა შპს-ს საფინანსო-საკუთრების მფლობელების 1996 წლის 9 ივლისის N193 განკარგულება, მიჩნევა საიდენტიფიკაციო კოდი და შპს-მ სასამართლოს რეგისტრაციის გარეშე გააგრძელა ფუნქციონირება.

„დინამოს“ 28 მილიონიანი აფერა

საქართველოს პრეზიდენტის 1995 წლის 21 ივნისის N251 ბრძანებულებით შესაბამისად, საფეხბურთო კლუბი სამეურნეო-კომერციული საქმიანობით მიღებული შემოსავლების ყოველგვარი გადასახადებისგან გათავისუფლდა. ოღონდ იმ პირობით, რომ შეიქმნებოდა ე.წ. საპარტნიორო ფონდი, სადაც ამ თანხების აკუმულირება მოხდებოდა და იგი „დინამოს“ განვითარებას მოხმარებდნენ.

„დინამოს“ თავკაცებმა დიდი ფულის კეთება დაიწყეს. იმ პერიოდში, „დინამოს“ სახელით საზღვარგარეთის ქვეყნებიდან 215 შემთხვევაში შემოსული იყო 17 მილიონ 700 000 აშშ დოლარის ღირებულების საქონელი, რომლის რეალიზაციის შედეგად გადასახადების სახით ბიუჯეტის კუთვნილი, მაგრამ კლუბისთვის ნაწილობრივ 28 მილიონი ლარი, ანუ 20 მილიონი დოლარი საპარტნიორო ფონდს უნდა მიეღო.

გამომიხილას გარკვევა, რომ აღნიშნული თანხა ყოველგვარი ალრიცხვისა და კონტროლის გარეშე გაინაცვდა. აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და პასუხისმგებლობის საფუძველზე შორდა, ვ. შალიკაშვილი (რომელიც პრეზიდენტის წევრი), მ. რატიანი და ნ. მამეიანი (მთავარი ბუღალტერი). მათ ბრალად წაყენდა სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენება და სიყალბის ჩადენა.

1999 წლის 25 იანვარს დიდუბის რაიონის მოსამართლე მ. კობრიკაძემ განიხილა ეს საქმე და ოთხივე ბრალდებული გაამართლა. პროკურორმა განაჩინა უზენაესი სასამართლოში გაასაჩივრა. 25 აგვისტოს უზენაესი სასამართლომ დიდუბის რაიონის სასამართლოს განაჩინა უკანონოდ



„დავიბრუნოთ თბილისის „დინამოსი“ დამფუძნებლები აცხადებენ, რომ თავის დროზე „დინამოს“ მათ ყაჩაღურად წაართვეს. მოდი, ვნახოთ, ვინ ვის წაართვა ყაჩაღურად და მართლა უნაბუსად „დინამოსი“, რა დღეში ჩაადგეს მერაბ ჟორდანიამ და მისმა პარტნიორმა „მხედრონელებმა“, როგორ დააჩინეს

სკანდალური ფაქტები და სიგარეტის „დინამი“

დასაწყისი გვ. 26

მიიჩნია, გააუქმა და საქმე ხელახალი განხილვისთვის იმავე რაიონის სასამართლოს სხვა შემადგენლობას დაუბრუნა. ამ უკანასკნელმა კი გამოძიებას გადასცა.

ვინ გაისტუმრა ჟორდანი-რატინის 400 000 დოლარი პროცენტებით
1999 წლის 15 ნოემბერს შსს საგამოძიებო დეპარტამენტი სისხლის სამართლის მეორე საქმე აღიძრა „საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი“ დირექტორის ნვერთა მიმართ, კრედიტის მოტყუებით მიღებისა და საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით გატაცების ფაქტზე. აღმოჩნდა, რომ მერაბ ჟორდანიას და მერაბ რატინას „თი-ბი-სი“ ბანკიდან 3 შემთხვევაში კრედიტის სახით გატანილი ჰქონდათ 400 000 აშშ დოლარი. გიორგი კი ჩადეს სპორტკლუბი „დინამოს“ კუთვნილი ილიმის სასანოტო ბაზა, მესატრისთვის თანხმობის გარეშე. ეს სპორტკლუბი „დინამო“, რომელმაც ხელახალ რეგისტრაციაზე, ანუ პარტნიორობაზეც უარი განუცხადა „ბერმუნა-92“-სა და მერაბ ჟორდანიას და მას-დე ველარ დაფუძნდა. გიორგის სახით ბანკში ჩაიდო საექიკოს საზოგადოება „მზიურის“ (მოკლადიას ქარხანა) აქციების 35% (1 011 113 ცალი აქცია). თავის დროზე, საქართველოს მეთაურის ბრძანებითა და მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, „მზიურის“ აქციების 35% „დინამოს“ იმიტომ გადაეცა, რომ წარმოების მოგებიდან მიღებული წილი კლუბის მოხმარებლად. მეტი არაა თანხის მტერი, ერთი ცალი „ყარაყუმის“ არაფერია გადაუდგია ფეხბურთელებისთვის. არადა, 400 000 დოლარი ბანკიდან სწორედ „მზიურის“ განვითარების მოტივით გამოიბანეს. გავიდა დრო და ბანკმა თავისი ფული მოითხოვა. საქმე სასამართლოდ მივიდა. 1999 წლის 16 ივლისს დიდუბურ-ჩუღურეთის რაიონულმა სასამართლომ გამოიტანა ვალის გადახდის ბრძანება – „დინამოს“ ბანკის სასარგებლოდ, პირველ ეტაპზე 202 952 დოლარის გადახდა დაევა. იუსტიციის სამინისტრო შესაბამისმა დეპარტამენტმა კი გადაწყვიტა, აუქციონზე გაეყიდა დიდი მისი საწვრთნელი ბაზა. ჩვენს ქონებას სხვისი ვალის დასაფარავად ყიდეთო? - გადართვინ შსს სამინისტროს ხელმძღვანელები და მათი ჩარევით შედეგად, იმავე დიდუბურ-ჩუღურეთის სასამართლოს 1 ოქტომბრის განჩინებით ბრძანების აღსრულება სარჩელის საბოლოო განხილვამდე შეჩერდა, ხოლო ბანკს უარი უთხრეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე. საბოლოოდ, „თი-ბი-სი“ ბანკის ვალი თავის პროცენტებით 2000 წელს „დინამომ“ ფეხბურთელების - გივი დიდავას, მიხეილ აშვეთიასა და კლიმენტი ნიტაილის ტრანსფერებიდან შემოსული თანხებით დაიფარა.

გიორგი დემეტრადისა და „მზიურის“ საქმე
2000 წლის 28 იანვარს შსს საგამოძიებო დეპარტამენტი საქართველოს გენერალური პროკურატორიდან

გადმოგზავნა სისხლის სამართლის საქმე სს „მზიურის“ სხვისი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცების ფაქტზე. სს „მზიურის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე მერაბ რატინა და მერაბ ჟორდანიას ამგვარი დანაშაულები და დადგინდა. აღმოჩნდა, რომ თბილისის „დინამოს“ და ვლადიკავკაზის „ალანიას“ შორის 2 სატრანსფერო კონტრაქტი იყო გაფორმებული დემეტრადის „ალანიამ“ გადასვლასთან დაკავშირებით. ორივე კონტრაქტი 1998 წლის 2 ივლისით თარიღდება. პირველი, „დინამოს“ მხრიდან ხელს აწერს მერაბ ჟორდანიას. „ალანიამ“ იღებს ვალდებულებას „დინამოს“ 1998 წლის 1 ოქტომბრამდე გადაუხადოს 320 000 დოლარი. კონტრაქტის მე-6 პუნქტში მითითებულია, რომ გ. დემეტრადის საფეხბურთო კლუბი „ალანიადან“ სხვა კლუბში გაყიდვის შემთხვევაში, თბილისის „დინამოს“ უნდა მიეღოს სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი. „ალანიას“ მხრიდან კონტრაქტს ხელს აწერს კლუბის დირექტორი ბიბიტა დგომარაძე. გ. დემეტრადის 1999 წელს „ალანიადან“ კიევის „დინამოში“ გადავიდა, მაგრამ ოსურ კლუბს თბილისის „დინამოსთვის“ სატრანსფერო თანხის 50 პროცენტი არ გადაუხდია. ეს კონტრაქტი ყალბი და უკანონო აღმოჩნდა. სინამდვილეში დემეტრადის ტრანსფერი „ალანიამ“ სხვაგვარად და სკანდალურად განხორციელდა. მეორე კონტრაქტი 1998 წლის 2 ივლისსაა დადებული. „ალანიას“ მხრიდან მას ისევე ბიბიტა დგომარაძეს ხელს, ხოლო თბილისის „დინამოდან“ ხელს პრეზიდენტი მერაბ რატინა. მასში აღნიშნულია, რომ „დინამომ“ დემეტრადის „ალანიას“ 720 000 დოლარად მიჰყიდა. ამ კონტრაქტის, ასევე, მე-6 პუნქტში ხაზგასმით არის დაფიქსირებული, რომ თბილისის „დინამოს“ არა აქვს უფლება, მოითხოვოს დემეტრადის სხვა კლუბში გადასვლიდან სატრანსფერო თანხის წილი ოსურ კლუბისგან. ვლადიკავკაზის „ალანიამ“ შეასრულა ამ კონტრაქტის ყველა პირობა. მთლიანად გადაიხდა ეს 720 000 დოლარი, ოღონდ „დინამოს“ ხელმძღვანელების ჩარევით თანხა დანაშაულზე და სხვადასხვა მიმართულებით გადაირიცხა - მ. რატინის მითითებით „ალანიამ“ 130 000 დოლარი გადაირიცხა შვეიცარიის კანტონში, ე. წ. ვენეციაში „ფინანსბანკში“, სადაც „დინამოს“ ანგარიში ჰქონდა გახსნილი. (არადა, გამოძიების მასალებით, „დინამოს“ ბულაღტურის მონაცემებით, კლუბს არც ერთ უცხოურ ბანკში არ ჰქონდა ანგარიში გახსნილი. „ფინანსბანკის“ ანგარიში ბულაღტურიაში არ იყო დაფიქსირებული. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ ანგარიშს „მევი ფულის“ გასათვრებლად და სხვა ფინანსური მანქანაციებისთვის იყენებდნენ კლუბის მესვეურნი). 100 000 დოლარი გადმოირიცხა თბილისში, „საქართველოს ბანკში“, „მზიურის“ ანგარიშზე, 70 000 დოლარი კი იმუქმად უკვე კლუბის ყოფილი პრეზიდენტის, მერაბ ჟორდანიას მითითებით გადარიცხა გერმანიაში, ქ. ვისბადენში ვლადიმერ გუცაივის პირად ანგარიშზე. გუცაივმა მიიღო გასამრჯელო - საშუალოდ თანხა, რადგან სწორედ მან გაჩარხა დემეტრადის ტრანსფერი „დინამოდან“, „ალანიამ“. დარჩენილი 420 000 დოლარი მ. რატინამ მიიღო ხელზე, არ შეიტანა „დინამოს“ ბულაღტურიაში და, როგორც „ალანიას“ წყარო იუწყება, მითვისა. ამ დროს მერაბ რატინა დაპატიმრეს - სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებისა და დიდი ოდენობით სხვისი ქონების მითვისებისათვის. საქმე შოკოლადის ფაბრიკა „მზიური“ ჩადენილ დანაშაულს ეხებოდა. გამოძიების პროცესში გარკვეული ძალების, მათ შორის ე. წ. ქურდული სამყაროს ზენოლის შედეგად, „ალანიას“ პრეზიდენტმა ბატარად ბიბიტა დგომარაძე უარყო, რომ 420 000 დოლარი მისცა

მ. რატინას. თუ ბიბიტა დგომარაძე სიმართლეს, მაშინ „ალანიას“ „დინამოს“ ვალი დემეტრადის ტრანსფერიდან დღესაც ეკუთვნის და ყოველგვარი სამართლებრივი ნორმების დაცვით, ჟორდანი-რატინის „დინამოს“ დღევანდელ სამართლებრივ მდგომარეობაში ამაყინდელ ხელმძღვანელობას, შეუძლია „ალანიას“ 420 000 დოლარი მოსთხოვოს, რაც კონტრაქტით იყო გადასახდელი.

თუმცა, უფრო სარწმუნოა, რომ ბიბიტა დგომარაძე აღარ გაიმეტა ციხეში მყოფი რატინა, „კანონიერი ქურდების“ რჩევა-მუქარით, აღარ დაუშვია დანაშაული და განაცხადა - 420 000 დოლარი ხელზე არ მიმიციაო. მოკლე, თუ ბიბიტა დგომარაძე, მას „დინამოს“ 420 000 კვლავ მართებს, თუ ტყუის, მაშინ რატინამ უნდა გადაიხადოს კლუბის სასარგებლოდ ეს თანხა. ასეც და ისეც, „დინამოს“ 420 000 დოლარი ეკუთვნის. საბოლოოდ, მერაბ რატინა მხოლოდ „მზიურის“ საქმის გამო გაასამართლეს, დანაშაულზე ცნეს და 5 წლის პირობითი სასჯელი გამოუტანეს.

სკანდალური ტრანსფერები
გამოძიების პროცესში კლუბის ოფისში არ აღმოჩნდა არც ერთი სატრანსფერო კონტრაქტი. არადა, იმ დროისათვის უცხოურ კლუბებში საქმიად სოლიდურ თანხად გაიყიდნენ იამპილი, ცეკიტიპილი, კობიაპილი, ქინქლაძე, შოთა და არჩილ არველაძეები, შელა, რევიშვილი, ყავლაძეები, გახოკიძე, აშვეთია, ალექსიძე, კიკნაძე და კალაძე. ეს ტრანსფერები 1995-99 წლებში განხორციელდა. გამოძიებაში ამ ფეხბურთელებთან მხოლოდ გერმანიის „ფრ

დოლარი, თანხა გადარიცხულია შვეიცარიის „ფინანსბანკში“. 11. გიორგი დემეტრადის, 1998 წ. ვლადიკავკაზის „ალანიამ“, 720 000 აშშ დოლარი. 130 000 დოლარი გადარიცხულია შვეიცარიის „ფინანსბანკში“, 100 000 დოლარი - თბილისში, სს „მზიურის“ ანგარიშზე. 70 000 დოლარი, მ. ჟორდანიას მითითებით გადარიცხა გერმანიის ქალაქ ვისბადენში ვლადიმერ გუცაივის პირად ანგარიშზე. დანარჩენი 420 000 დოლარის ბედი გაურკვეველია. საგარეოდ, იგი მერაბ რატინამ აიღო ხელზე. 12. კახი კალაძე, 1998 წ. „დინამო“ კიევი. 300 000 აშშ დოლარი, გადარიცხა შვეიცარიის „ფინანსბანკში“. 13. გიორგი კიკნაძე, 1999 წ. „სამსუნგსპორტი“ (თურქეთი), 90 000 აშშ დოლარი. ხელზე აქვს მიღებული „დინამოს“ ერთ-ერთ ხელმძღვანელს. 14. კლიმენტი ნიტაიშვილი, 2000 წ. ისრაელი, 100 000 აშშ დოლარი, თანხა მოხმარდა „თი-ბი-სი“ ბანკის კრედიტის დაფარვას. 15. გივი დიდავა, 200 000 აშშ დოლარი, თანხა მოხმარდა „თი-ბი-სი“ ბანკის კრედიტის დაფარვას.

16. მიხეილ აშვეთია, 2000 წ. ვლადიკავკაზის „ალანიამ“, 40 000 აშშ დოლარი. ხელზე მიიღო მერაბ რატინამ და მოხმარდა „თი-ბი-სი“ ბანკის კრედიტის დაფარვას. 17. რატო ალექსიძე, 2000 წ. „ჩელსი“ (ინგლისი), 1 000 000 ფუნტი სტერლინგი. თანხის ასავალ-დასავალი ვერავინ მიაკვლია.

ამდენად, 1995-2000 წლებში, თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელებმა 15 ფეხბურთელის გაყიდვასა და სატრანსფერო თანხად მიიღო 5 მილიონი 50 ათასი აშშ დოლარი, 3 მილიონი გერმანული მარკა და 1 მილიონი გერმანული სტერლინგი. მხოლოდ მაღალმა დემერტმა,

სკანდალური ტრანსფერები

აიბუ-რგომი „დინამოდან“ გაყიდული 3 ფეხბურთელის - იამპილის, კობიაპილისა და ცეკიტიპილის სატრანსფერო კონტრაქტებს მიაგნო.

გიორგის „რამი“-ს, რომ ამ კონტრაქტებით გათვალისწინებული 1 მილიონ 100 000 გერმანული მარკიდან 300 000 ჟორდანიას მითითებით „ფრაიბურგის“ საბანკო ანგარიშიდან ვინმე ერევის კაზაკოვსკის გადაეცა, ხოლო 800 000 მარკა თავად ჟორდანიამ ხელზე მიიღო. ეს ფული გაქრა.

გათვალისწინებით 1995-2000 წლებში თბილისის „დინამოდან“ გაყიდული ფეხბურთელების სიას და სატრანსფერო თანხებს, რომელიც თავის დროზე გამოძიებამ დიდი წყალებით მოიპოვა:

1. გიორგი კინქლაძე, 1995 წელს „მანჩესტერ სიტი“ (ინგლისი), 3 მილიონი აშშ დოლარი. თანხა გადარიცხა შვეიცარიის „ფინანსბანკში“.
2. შოთა არველაძე, 1995 წელი, „ტრანსფერო“ თანხის ოდენობა უცნობია.
3. არჩილ არველაძე, 1995 წელი, „ტრანსფერო“ თანხის ოდენობა უცნობია.
4. მურთაშვილი, 1997 წ. ვლადიკავკაზის „ალანიამ“, 100 000 აშშ დოლარი. თანხა გადარიცხა შვეიცარიის „ფინანსბანკში“.
5. ზაზა რევიშვილი, 1997 წ. ვლადიკავკაზის „ალანიამ“, 100 000 აშშ დოლარი. თანხა გადარიცხა შვეიცარიის „ფინანსბანკში“.
6. მიხეილ ყავლაძე, 1997 წ. ვლადიკავკაზის „ალანიამ“, 100 000 აშშ დოლარი. თანხა გადარიცხა შვეიცარიის „ფინანსბანკში“.
7. ალექსანდრე იამპილი, 1997 წ. „ფრაიბურგი“ (გერმანია), 900 000 გერმანული მარკა. თანხის ნაწილი გადარიცხა შვეიცარიის „ფინანსბანკში“.
8. ნაწილი ხელზე მიიღო მ. ჟორდანიამ.
9. ლევან კობიაპილი, გაყიდულია ორჯერ - 1997 წ. ვლადიკავკაზის „ალანიამ“, 100 000 დოლარი, თანხა ჩარიცხულია შვეიცარიის „ფინანსბანკში“ და „ფრაიბურგი“ (გერმანია), 1 200 000 გერმანული მარკა. თანხის ნაწილი ჩარიცხულია შვეიცარიის „ფინანსბანკში“, ნაწილი ხელზე მიიღო მ. ჟორდანიამ.
10. გიორგი გახოკიძე, 1998 წ. ვლადიკავკაზის „ალანიამ“, 200 000 აშშ

დინამომ და რატინამ თუ იცინ, რა თანხად გაყიდეს მძეპი არველაძეები 1995 წელს თურქეთში.

კახი კალაძის ტრანსფერი და მაკა ასათიანის ფრანგული ბუტიკი

კახი კალაძის ტრანსფერი კიევის „დინამოში“ მერაბ ჟორდანიამ და კომპანიათა თავის დროზე ვაჭარად მოხერხდა. ეს ტრანსფერი ერთხანს ბურუსით იყო მოკეული, მაგრამ გამოძიებამ მასაც ახად ფარდა. მას-ს საგამოძიებო ჯგუფი კიევიმ გაემგზავრა. კიევის „დინამოს“ ოფისიდან ქართველმა სამართალმცემებმა ამოიღეს კალაძის სატრანსფერო კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც კალაძის საფასურად კიევის „დინამომ“ თბილისის „დინამოს“ 300 000 აშშ დოლარი გადაუხდა. ერთი წლის შემდეგ კიევის „დინამომ“ კიდევ 200 000 დოლარი გადარიცხა მერაბ ჟორდანიას მიერ მითითებულ ანგარიშზე, მაგრამ ეს არ ყოფილა ფეხბურთელის საგარეო სურის ნაწილი. უფრო სწორად, ჟორდანიამ წერილობით, თხოვნით მიმართა კიევის „დინამოს“ პრეზიდენტს, გრიგოლ სურისს დაეხმარებოდა, რომელმაც კეთილი ნება გამოხატა და „დინამოს“ სამონეტარო 200 000 დოლარი გადმოირიცხა, აჩუქა და ამ თანხასთან კახი კალაძის ტრანსფერი არაფერ შუაში არ იყო. ვეჭვობ, ამგვარი რამ მსოფლიო საფეხბურთო ისტორიაში სხვა კიდევ მოიძებნება. ერთი ქვეყნის საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტი, მეორე ქვეყნის საფეხბურთო კლუბის პრეზიდენტს სწერს, ფინანსურად გვიჭირს და 200 000 დოლარი შეგვიწიეთო. დღეს, მერაბ ჟორდანიას მხარდამჭერები „დინამოსთვის“ ოდესმე აღდგებულა ლაპარაკობენ. არადა, არც ერთ მათგანს ხმა არ ამოუღია, როცა მერაბ ჟორდანიას მიერ გრიგოლ სურისისადმი მიმართილი ეს, „დინამოსთვის“ და ყველა თანხის „დინამომისთვის“ ლისრებაშემლახველი, თავის მომჭრელი წერილი ქართულად, უკრანულად, რუსულად და პოლანდულად პრესაში დაიბეჭდა.

აი, ამონარიდი გრიგოლ სურისის წერილიდან: „1998 წლის შემოდგომაზე ჩვენი კლუბის ხელმძღვანელობას მიმართა მერაბ ჟორდანიამ მატერიალური მხარდაჭერისთვის. ჩვენი კლუბის საბჭოს გადაწყვეტილებით, თბილისის „დინამოს“ გაეწია ერთგვარი დახმარება 200 000 აშშ დოლარის ოდენობით,

რომელიც არ არის დაკავშირებული სპორტის კონტრაქტის ვალდებულებასთან. ამ თანხის გადახდა მოხდა ორჯერ 100-100 ათასი დოლარის გადარიცხვას, მას შემდეგ, რაც ჩვენმა კლუბმა უფავსაგან მიიღო ბოზუსი (ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით ასპარეზობისთვის განკუთვნილი პრემია. ს. (კ)“.

გამოძიების მასალების მიხედვით, კიევის „დინამოს“ თანადამფუძნებელმა ფირმამ „მენჯემენტ ნიუპორტმა“ კახი კალაძის საკომპენსაციო თანხა 300 000 დოლარი გადარიცხა 1998 წლის 17 იანვარს უნუის ჩვენთვის უკვე კარგად ცნობილ „ფინანსბანკში“, ხოლო ჟორდანიას სამონეტარო თანხა, 200 000 დოლარი ინგლისში, ლონდონში „ბარკლა იბანკში“ - 100 000 დოლარი 1998 წლის 12 ნოემბერს, ხოლო მეორე 100 000 დოლარი იმავე ბანკში 1999 წლის 26 იანვარს.

უცნობია, სად წავიდა და რამი გაიხარჯა ეს 200 000 დოლარი. თუმცა ვარაუდობენ, რომ ლონდონის ბანკიდან ეს თანხა ერთ-ერთ პარიზულ ბანკში აღმოჩნდა. ამავე ვერსიით, სწორედ ეს 200 000 დოლარი მოხმარდა პარიზში, ჟორდანიას ყოფილი მეუღლის, მაკა ასათიანის სამოქალაქო მალაზიის გახსნას.

კახა კალაძის მერაბ და გასაიდუმლებული სატრანსფერო კონტრაქტი
უცნაურია, მაგრამ ქართველმა გამოძიებელმა კახა კალაძის კიევის „დინამოში“ გადასვლასთან დაკავშირებულ მერაბ ჟორდანიას ქალაქში მიაკვლიეს, რომელიც ასევე თბილისისა და კიევის კლუბებს შორის გაფორმდა. ამ კონტრაქტის ქსეროასლი საგამოძიებო ჯგუფმა „აგრომონტინგს“ ამოიღო. მერაბ ჟორდანიას კონტრაქტის განხილვის მიზით განსხვავდებოდა, რომ მის ერთ-ერთ პუნქტში აღნიშნულია, რომ, თუ კახა კალაძე კიევის „დინამოდან“ სხვა კლუბში გაიყიდებოდა, სატრანსფერო თანხის 50% თბილისის „დინამოს“ ეკუთვნოდა.

გრიგოლ სურისი იმ წერილში, რომლიდანაც ამონარიდი ზემოთ შემოვთავაზეთ, იმასაც აფიქსირებს, რომ, თუ კალაძე კიევის „დინამოდან“ სხვა გუნდში გაიყიდებოდა, მისი კლუბი ყველა ფინანსურ ვალდებულებას იხსნიდა თბილისის „დინამოს“ წინაშე, ანუ კალაძის იტალიის „მილანში“ გაყიდვის საფასურიდან (15 მილიონი გერმანული მარკა), სურისის განმარტებით, თბილისის კლუბს ერთი ფინანსიკი არ ეკუთვნოდა. აბა, რას წარმოიდგინებთ ეს მერაბ, „აგრომონტინგს“ ნაპოვნი კონტრაქტის ასლი, რომელსაც, თუ დაფუჯვრდებით, კიეველებს თბილისის „დინამოს“ 7,5 მილიონი მარკა მართებდა?

გამოძიების მტკიცებით, ბანკში ნაპოვნი კონტრაქტის ასლი ყალბია. იმის ჩიტია გრიგოლ სურისი, რომ კალაძის საფასური მთელი ცნობრება ეხდა „დინამოსთვის“? „აგრომონტინგს“ კონტრაქტის ასლი კი ცხადია, „დინამოს“ მესვეურებმა მიიტანეს. მათ ბანკიდან კრედიტის გამოხატა სურდათ, ეს კი საგარეო საშუალება იყო. ბანკის ხელმძღვანელობას არწმუნებდნენ, კიევის „დინამოსგან“ 7,5 მილიონი მარკა გვეყუთუნის და ამის დასტურად, ეს კონტრაქტი დაავიწყდა. თუმცა, „აგრომონტინგს“ დაავიწყდა „დინამომ“ თანხის გამოტანა ვერ მოახერხეს. კიევის „დინამომ“ კახა კალაძე, ფაქტობრივად, მუქარა ჩაიგდო ხელში. ესეც თბილისის „დინამოს“ თავკაცთა ბედოვლათობის შედეგია. არც ის 300 000 და არც „სამონეტარო“ 200 000 ერთად არ წარმოადგენდა კალაძის რეალურ ღირებულებას. ეს კარგად იცოდა სურისსაც. ამიტომ, როცა კიევი სპორტსაზოგადოება „დინამოს“ წარმომადგენლები ჩაივინდნენ, მან კეთილი ნება გამოხატა და კალაძის „მილანში“ გაყიდვიდან მიღებული მოგების ნაწილი, კიდევ 400 000 დოლარი გადმოირიცხა შსს-ს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ ანგარიშზე.

მაშინ მინისტრი ჯერ კიდევ კახა თარგამაძე იყო, რომელიც ძალე გადადგა. მინისტრი კოხა წარჩემაშვილი ხდება, რომელიც ავტომატურად იღებს სპორტსაზოგადოება „დინამოს“ თავმჯდომარის პოსტს და მის თანხებს, მათ შორის იმ 400 000 დოლარსაც სწორედ ის განკარგავდა. არსებობს ვერსია, რომ ამ 400 000 დოლარით სპორტსაზოგადოების თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს საგზაო პოლიციის ყოფილმა შეფმა, ნიკა ივანიშვილმა, ერთ-ერთი სტადიონის გვერდით გახსნა კაფე „სპორტი“ და ეს თანხა კლუბს არ მოხმარებია.

სხვა შორის, ნიკა ივანიშვილი „დინამოს“ დაბრუნების ფერხულშია ჩამბ-



ოს“ კვლევი და ახალი მესვეურების შესახებ



რატომ იგალობა მერაბ ჟორდანიანის ნუკრი კაკილავილისა და გიორგი ქიქელიძის ზურბს უკან

ული გაურკვეველია, რის დაბრუნება სურს ივანიშვილს? „დინამოს“ ამჟამინდელმა მესვეურებმა, სპორტკლუბ „დინამოს“, რომლის თავმჯდომარეც ნიკა ივანიშვილია, კლუბის 10%-იანი წილის საფასური, 600 000\$ გადაუხადა და მისი აღმარებელი მართებს.

გიორგი ქიქელიძის ტრანსფერი
გიორგი ქიქელიძე „დინამოში“ თბილისის „მრეტიდან“ გადავიდა. კლუბებს შორის გაფორმდა კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც, თუ ქიქელიძე „დინამოდან“ სხვა კლუბში გადავიდოდა, სატრანსფერო თანხის 10%-ს „დინამო“ „მრეტს“ გადაურიცხავდა.

ქიქელიძე 3 მილიონ დოლარად გაიყიდა ინგლისის „მანჩესტერ სიტიში“. „დინამოს“ ხელმძღვანელობამ არაერთხელ უტყუა პირი „მრეტის“ ხელმძღვანელობას. მრავალჯერ სცადა მისი პრეზიდენტის, ვაჟა ჩხაიძის გადაგდება, დამინება და დამანტაჟება.

„მრეტის“ ჩხაიძის ერთ-ერთი პარტნიორი იყო გერმანელი ბიზნესმენი, რომლის მეშვეობითაც ჩხაიძემ ლამის სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა „დინამოს“.

ღირდა კიდევ - „მრეტს“ 300 000 დოლარი ერგებოდა „დინამოდან“. ჩხაიძემ და მისმა პარტნიორმა უფასო და ფიფაკი უჩივლეს დინამოელებს. ამით „დინამოს“ შემოსულობა ხელმძღვანელობამ დროის გაჩქარება და მრავალრეზიდანია მოლაპარაკებები დაიწყო „მრეტის“ მესვეურებთან, მაგრამ ვერაფერს მიაღწია. ამასობაში ფიფაკი არაერთხელ მისწერა „დინამოს“, რომ სასწრაფოდ მიეცა კუთვნილი თანხა „მრეტისთვის“. „დინამომ“ 2000 წლის მიწურულს 30 000 დოლარი გადაურიცხა „მრეტს“, მაგრამ უკვე გვინი იყო: თავს ფიფაკი რისხვა დაიტიცხა.

2001 წლის 3 იანვარს ფიფაკს დისციპლინარულმა კომიტეტმა განიხილა „მრეტის“ საჩივარი და შემდეგი გადაწყვეტილება მიიღო: „საქმის შესწავლის შემდეგ, კომიტეტმა დაადგინა, რომ ს.კ. „დინამო“ თბილისმა დაარღვია ფიფაკის წესები, ფიფაკს შესაბამისი ორგანოს მიერ დადგენილი ინსტრუქციის უგულვებელყოფით. შემოაღწიეს ოლქის გამოდინარე, ფიფაკს დისციპლინარულმა კომიტეტმა დაადგინა შემდეგი:

1. ს.კ. „დინამო“ თბილისს მიეცეს მიღებული გადაწყვეტილების შეტყობინებად 30 დღე, რათა ს.კ. „მრეტები თბილისს“ გადაუხადოს მთლიანი თანხა 270 000 აშშ დოლარის ოდენობით.

2. იმ შემთხვევაში, თუ მთლიანი თანხა არ იქნება გადახდილი მიცემულ პერიოდში, თქვენს ფედერაციას მოეთხოვება, თქვენს ფედერაციას მოეთხოვება, თქვენს ფედერაციას მოეთხოვება, თქვენს ფედერაციას მოეთხოვება, თქვენს ფედერაციას მოეთხოვება.

3. ჯარიმა 5000 შვეიცარიული ფრანკის ოდენობით დაეკისროს ს.კ. „დინამო“ თბილისს. მოცემული თანხა გადახდილი უნდა იქნეს ფიფაკს საბანკო ანგარიშზე 30 დღის განმავლობაში, დღიდან გადაწყვეტილების მიღებისა.

ფიფაკს დისციპლინარული კომიტეტის გადაწყვეტილებას ხელს აწერს კომიტეტის მდივანი ვერონ მოსენგაომბა.

თბილისის „დინამოს“ მესვეურთ მორიგი სატრანსფერო-მაჩინაცია არ შერჩათ. „დინამომ“ ფიფაკსაგან ფულად სანქციას - 5000 შვეიცარიული ფრანკსაგან გამოიყვანა ხელი. ამ დროისთვის „დინამო“ უმძიმეს კრიზისულ მდგომარეობაში იმყოფებოდა, კლუბის მილიონობით ლარის დავალიანება ჰქონდა.

გუნდი მორალურადაც იყო გატეხილი და ძველი დიდების აჩრდილაც კი აღარსად ჩანდა. ეს უკვე უფსკრულის ძირი იყო, ამის იქით მერაბ ჟორდანიანი და „მხედრიონელები“ ვეღარსად გა-

დასჩქავდნენ „დინამოს“. კლუბის სატრანსფერო წესები და დასაბუთებული მონაწილეობა ექვემდებარებოდა. აი, ასეთი შვედურმა ჩააგდეს „დინამო“ მერაბ ჟორდანიანი და მისმა „შაიკამ“. სწორედ ამის შემდეგ გადაწყვიტა ხელისუფლებამ, წლების წინ ჟორდანიანსა და კომპანიის მიერ უკანონოდ და ძალადობით მართვისებული „დინამოს“ საქმეები ჩარეულიყო და „დინამო“ გადაერჩინა.

როგორ იყიდა „დინამო“ ბადრი პატარკაცივილია
„დინამო“ გაკოტრდა, მაგრამ ეს ოფიციალურად არსად ფიქსირდება. სახელგატყეპილი კლუბის სხვა ხელმძღვანელებთან კომერციული სტრუქტურები საქმიან პარტნიორობას თავს არიდებდნენ, არც კრედიტებს აძლევდნენ ბანკები, „დინამოს“ ყველა საბანკო ანგარიშს ინკასო ედო, კლუბი, ელემენტარულად, ხალფასებსაც ვეღარ არიგებდა, თუმცა, საამისო თანხები არც ვააჩნდა. კანონიერი თუ უკანონო გზებით, კლუბი ყველა მაღალი კლასის ფეხბურთელები გაყიდული

სპორტსაზოგადოება „დინამო“ განაგებდა. მსს-მ ქონების მართვის სამინისტროსაც მიმართა, რომ „დინამო“ ტენდერზე გაეტანათ და გაეყიდათ, მაგრამ რადგან კლუბი საზოგადოებრივი და არა სახელმწიფო საკუთრება იყო, ტენდერი არ შედგა.

ინვესტორთა ძიების პროცესში სპორტსაზოგადოებას კლუბის შექმნის თხოვნით მიმართეს კერძო პირებმა რევაზ არველაძემ, რუსეთის ერთ-ერთმა მოქალაქემ, რომელიც მოსკოვის საფეხბურთო კლუბ „სპარტაკის“ წარმომადგენელი მოიხრებოდა და ბადრი პატარკაცივილის კომპანიამ „პაიზერ პარკ პროპერტის ლიმიტიდემ“. საბოლოოდ, „დინამო“ ბადრი პატარკაცივილიმ 6.6 მილიონ დოლარად, პატარკაცივილია გაკოტრებული „დინამო“ გადაარჩინა, კლუბი ჭკუაზე მოიყვანა, სოლიდური ინვესტიციები განახორციელა და გაპარტახებული კლუბი ფეხზე დააყენა. „დინამომ“ სწორედ ბადრი პატარკაცივილის ხელით ითამაშა უფასო ჯგუფურ ეტაჟზე, რაც დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში, „დინამოს“

რიონელები“ „დინამოს“. მათი მიზანია, ხელში ჩაიგდონ აყვავებული კლუბი.

ქართული საზოგადოება არ შეეუფება „დინამოს“ წარსულში დაბრუნებას, მერაბ ჟორდანიასა და „მხედრიონის“ თუნდაც უნაყოფო და სასაცილო მცდელობას, დაბრუნონ კლუბი. „დინამოს“ ჟორდანიანი და მისი „მხედრიონელი“ ამფონები 19 წლის მანძილზე ფლობდნენ. ამ წნის მანძილზე კლუბი ფინანსური მაქინაციების ადგილად იქცა, საფეხბურთო ტრანსფერებიდან შემოსული მილიონები მავანთა კეთილდღეობას მოხარბოდა, მათ შორის, ნარკოტიკებისადმი ლტოლვის დაოკებას და ესეც კარგად ახსოვს საზოგადოებას. ის პერიოდზე კარგად გვახსოვს, „დინამოს“ ბაზა მპრიცებით რომ იყო მოფენილი და ღერი სულაბერიდ და „მხედრიონელები“ არათუ კლუბის მართვაში ერეოდნენ, გუნდის მწვრთნელთა საქმიანობასაც აკონტროლებდნენ და კონკრეტული მატჩის წინ შემადგენლობას მწვრთნელები მათთან შეთანხმებით აყენებდნენ, „მხედრიონელებს“ უთანხმებდნენ, რომელ შესხვედრამი რომელ ფეხბურთელს უნდა ეთამაშა და ეს ნუსად იყო დაწერილი.

ბადროს, ნუკრი კაკილავილი, გიორგი ქიქელიძე და მერაბ ჟორდანიანის სხვა მხარდამჭერები იმით აპულირებენ, რომ დღევანდელი „დინამო“ არ არის იმ „დინამოს“ სამართლმემკვიდრე, რომელსაც მერაბ ჟორდანიანი და მისი გუნდი ფლობდა, რომ იურიდიულად ის სხვა „დინამო“ და დღევანდელი - სხვა. ვინც ამ აზრს აეთვალვებს, მათ ერთი „არგუმენტი“ აქვთ. მერაბ ჟორდანიანი „დინამოს“ იურიდიულად ერქვა მსს „თბილისის დინამო“, კახა თავარამაძემ კი რეგისტრაციაში გაატარა „დინამო“ და როგორ შეიძლება, რომ მორე პირველის სამართლმემკვიდრე იყოს? ამგვარი რამ ჩვეულებრივი აშხაფია ბიზნესში და არამხოლოდ საქართველოში. თარგამაძემ და იმეამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა კლუბს სარეგისტრაციო სახელი იმით მოუცვალეს, ხელახლა იმითმ დაარეგისტრირეს, რომ ძველი მსს „თბილისის დინამო“ ვალეობით იყო გატენილი, ამის გამო არამხოლოდ ვერ ახორციელებდა, კლუბს რომ ტექნიკურად გაეგვლებინა საქმიანობა, ამიტომ, საჭირო გახდა ახალი მსს-ს დაფუძნება. ახალი მსს-ს ძველის სამართალმემკვიდრეობა იმით დგინდება, რომ მას არ შეუცვლია მისამართი და ისტორიული, დიდი სპორტის ისტორიული ბაზაზე განაგრძობდა საქმიანობას. ასევე, მისი ერთ-ერთი დამფუძნებელი იყო სპორტსაზოგადოება (შემდგომში-სპორტკლუბი) „დინამო“, რომელიც უწყვეტად იყო კლუბის ერთ-ერთი მესვეურე და მას არანაირი პრეტენზია ახალი მსს-ს ჩამოყალიბების გამო არ გამოუხატავს, როგორც კლუბის თავდაპირველ მფლობელს. (მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა და დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში იცვლებოდა იურიდიული პირის სადამფუძნებელი ფორმები, მათ შორის „სპორტსაზოგადოება“ „დინამო“ მუდამ რჩებოდა კლუბის ერთ-ერთ დამფუძნებელად). მოკლედ, მსს-„დინამო“ თბილისი“ კანონიერად გახდა ძველის სამართალმემკვიდრე, შესაბამისად, „დინამოს“ მატერიალური და ინტელექტუალური საკუთრების მფლობელი და სამართ-

ლანი განმკარგავი. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამაც, უფასო-ს კანონმდებლობაზე დაყრდნობით, მსს „დინამო თბილისი“ მსს „თბილისის დინამოს“ სამართალმემკვიდრედ აღიარა და სფფ-ს ეგვიდით გამართულ შეჯიბრებებში მონაწილეობის ნება დართო. რაიმე სამართლებრივად ხელმოსაჭიდი რომ ჰქონდეთ მერაბ ჟორდანიანს, ნუკრი კაკილავილს, გიორგი ქიქელიძეს და მათ მხარდამჭერებს, აქამდე უფა-ში იჩივებდნენ და „დინამოს“ უფა შეუქმნიდა პრობლემებს. როცა ამ თემით სპეკულირებენ „დინამოს“ დაბრუნებაზე მეოცნებები, ავიწყდებათ, რომ ძველი, მსს-ს ანუ, მერაბ ჟორდანიანს მიერ დაგროვილი ვალეობა, სწორედ ახალმა მსს-მ გაისტუმრა. მერაბ ჟორდანიანს მომხრეთა „არგუმენტს“ თუ გავიზიარებთ, მაშინ რა დაამავეს ავიაკომპანია „ორბმა“, საქართველოს საფრანგეთის ერთობლივმა სანარმო „ბომბორამ“ და სამწვრთნელი-სავაჭრო ფირმა „კავკასიონამ“, რომლებიც მცურენ ხნით, მაგრამ იყვნენ „დინამოს“ დამფუძნებლები? ამ ლოგიკით გამოდის, რომ მათაც თუ განაცხადეს „დინამოს“ დაბრუნებაზე პრეტენზია, მათი ეს მოთხოვნა სამართლიანი იქნება. ან, იქნებ უფრო შორს წავსულიყავით - 1936-1988 წლებში „დინამოს“ მს სამინისტრო ფლობდა ხან პირდაპირ, ხან - სპორტსაზოგადოება „დინამოს“ მეშვეობით. მსს-ს და მის ქვემდებარე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რომ კლუბისთვის გაუკეთებიათ, იმდენი სხვას არ გაუკეთებია და „დინამოს“ ყველა დიდი მიღწევა სწორედ იმ პერიოდს უკავშირდება. ხომ არ დაგვებრუნებინა „დინამო“ მსს-სთვის და ამით ისტორიული სამართლიანობაც აღდგებოდა და ავარც სადღო დარჩებოდა რამე?

PS. ცინიკულის „სპარტაკის“ ტექნიკური დირექტორი, გიორგი ქიქელიძე „დინამოს“ აუცილებლად დაბრუნების მორიგ „არგუმენტად“ იმას ასახელებს, რომ „დინამო“ უფასო თანხის საკვალიფიკაციო ეტაჟზე დამატრფიციან აზერბაიჯანის უსუსტეს და სამრეცხვილო გუნდ „გაბალასთანო“. ამ უსუსტესმა „გაბალამ“ „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ 2012 საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჩამოიცილა გზიანდა, ბოლოს საბერძნეთის მრავალხის ჩემპიონს, „პანათინაიკოსს“ სძლია და უფასო თანხის ჯგუფურ ეტაჟზე გავიდა. რას ვიზამთ, ყველას თავისი ვაზომი აქვს!

● ზაზა ცინცივილი ●

როგორ იყიდა „დინამო“ ბადრი პატარკაცივილია

ჰყავდა და მათი სატრანსფერო თანხები შექმნილი იყო.

კლუბს ვალეები და მევალები ახრობდნენ. ამ დროს „დინამოს“ საქმეებში სერიოზულად იყო ჩართული მს სამინისტრო, რომელიც თავის დროზე „დინამოში“ „მხედრიონელების“ მიერ მიტაცებული წილების სახელმწიფოსთვის გადაცემას კანონიერად მოითხოვდა.

საქმის კურსში მსს-მ მორიგეობით ჩააყენა პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია, სახელმწიფო მინისტრი ვაია არსენიშვილი და ბოლოს, პრეზიდენტი ელვარდ შევარდნაძე. 2001 წლის 2 თებერვალს საქართველოს პრეზიდენტთან ჩატარდა თათბირი ვაია არსენიშვილის, ნუგზარ საჯავაის, კახა თავარამაძის, პეტრე მამრადის, თედო ისაკაძის, ზურაბ ნოლაგლოისა და სხვა თანამდებობის პირთა მონაწილეობით. ამ თათბირზე, კახა თავარამაძეს დაევალება, 10 დღის ვადაში, 12 თებერვალამდე უზრუნველყო საფეხბურთო კლუბ „დინამოს“ სანარმოდ დაფუძნება (ანუ, „დინამოს“ ძველი მფლობელისთვის დაბრუნება) და კლუბში არსებული ვალეების გასტუმრება. თარგამაძემ ხსენებული დავალება შეასრულა. პრეზიდენტის N42 პრდინებულებით, მსს-ს ნება დართო, 3 წლის ვადაში, 2003 წლის 1 იანვრამდე ეტაპობრივად დაბრუნების პირობით, სპეცემოსავლების 60 პროცენტში, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, კონკრეტულად „დინამოს“ პრობლემების მოსაგვარებლად გამოეყენებინა. გადაწყვეტილებას ხელს აწერენ იმეამინდელი ოუსტიციის მინისტრი მიხეილ სააკაშვილი, ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრები. შესაბამისად, „დინამოს“ ჭაობიდან ამოსათრევადა, ნთვემი გაიხარჯა 6.6 მილიონი ლარი. სპორტსაზოგადოება „დინამომ“ გაისტუმრა კლუბის 2 მილიონზე მეტი ვალი. მათ შორის, „მრეტის“ 270 000 დოლარი. ამის პარალელურად კი მუშაობა მიმდინარეობდა ინვესტორთა მოსაძიებლად.

ასეც მოხდა, „დინამოს“ ჩამოაშორეს ძველი ხელმძღვანელები. კლუბი დაფუძნდა ახალი მსს-ს სახით და მას

ყველა - ანუ დიდი მიღწევაა.

„დინამოს“ ყოფილი ტექნიკური დირექტორი, ამირან ლიბრაძე აცხადებს, რომ ბადრი პატარკაცივილიან მოლაპარაკებას ანარმობდნენ მისი ძველი მფლობელები და პატარკაცივილი მზად იყო, კლუბი გადაეცა „დინამოელებისთვის“. „დინამოელებში“, ალბათ, მისი ძველი მფლობელები უფაობსნებთან - მერაბ ჟორდანიანი და მისი გუნდი. ეს არის სრულიად უსაფუძვლო ვერსია. ბადრი პატარკაცივილის შემკვიდრებმა, მისი გარდაცვალების შემდეგ, არამხოლოდ მისი ანდერძი აღასრულეს, ანდერძის მიღმა, თუკი რაიმეს განხორციელება ვერ შეძლო სიცოცხლეში და ამის შესახებ იცოდნენ, ყველაფერი გააკეთეს. ბადრი პატარკაცივილის „დინამოს“ გადაცემის სურვილი რომ ჰქონოდა „დინამოელებისთვის“, ამის შესახებ ოჯახის წევრებსაც ეცოდინებოდათ და მისი გარდაცვალების შემდეგ, როგორც იმდენი ამის ახორციელება კი ის არის, რომ პატარკაცივილის ოჯახს ამაზე არც კი უფიქროს, როცა „დინამო“ გაყიდეს. ცხადია, რაც არ იცოდნენ, ის აზრადაც არ მოუვიდოდათ.

რომან ფიფაკი - „დინამოს“ კანონიერი და კეთილსინდისიერი მფლობელი
2010 წელს, ბადრი პატარკაცივილის სამართალმემკვიდრეებისგან, „დინამო“ ბიზნესმენმა რომან ფიფაკმა შეიძინა, რომელიც „დინამოს“ კანონიერი და კეთილსინდისიერი მფლობელია.

რომან ფიფაკი ყოველ წელს რამდენიმე მილიონ დოლარს ხარჯავს „დინამოში“, კლუბის ბაზაზე დაწერა თანამედროვე ინფრასტრუქტურა. ზუთი წლის მანძილზე რამდენიმე ათეული მილიონი ლარია დახარჯული და ყველა თეთრი საქმეს ეფექტურად მოხმარდა. „დინამოს“ დღეს, ნებისმიერი კრიტერიუმით, ყველა ქართული კლუბზე უკეთესი პირობები აქვს. სწორედ აქ არის ძალის თავი დამარხული, სწორედ ამის გამო ეპოტინებიან უიმედოდ მერაბ ჟორდანიანი და „მხედ-



my View ნიმუშა მკვლევარი

მთელი წელი „პროფილის“ გუნდთან ერთად გაატარა და ეგვიპტეშიც მათთან ერთად წავიდა დასასვენებლად. ამბობს, რომ მისი თანამშრომლები მისი საუკეთესო მეგობრები არიან. ახალი იმიჯით დაბრუნდა თბილისში და ქალაქური ზომონდით ალაპარაკდა.

რა შეცვალა საკუთარ იმიჯში, როგორი იქნება სახეცვლილი „პროფილის“ ახალი სეზონი და ყველაზე მთავარი, როდის გვატყუებდა ჟურნალისტებს მათა ასათიანი, ჩემი რესპონდენტი თავად გიამბობს.

პირველად „პრაიმტიმში“ ტელენამყვანი საკუთარ პირადზე ალაპარაკდა.

- მაია, მთელი წელიწადი „პროფილის“ გუნდთან ერთად მუშაობ და დასვენებასაც ამ გუნდთან ერთად არჩევ. რატომ?

- რვა წელია ერთმანეთით თენდება და ღამდება ჩვენი გუნდისთვის და ამდენივე წელია ვაკეთებთ საქმეს, რომელიც ჩვენთვის არ არის მხოლოდ სამსახური. ამ რვა წლის განმავლობაში იმდენი ქართველი გამოვიარეთ ერთად, იმდენი პრობლემა დავძლიეთ და იმდენი საერთო გამარჯვება გვქონდა, რომ უახლოესი ადამიანები გახდით ერთმანეთისთვის. წელს არ იყო პირველი შემთხვევა, ტრადიცია გვაქვს ასეთი, როცა სეზონი მთავრდება, ყველა ერთად მივდივართ დასასვენებლად. ამაზე თავადაც ეხალისობთ ხოლმე. ძალიან მიყვარს ჩემი გუნდის წევრები, ბევრი არ

ვართ. შეიძლება ვინმეს გადამეტებულად მოეჩვენოს, მაგრამ ჩემთვის ისინი უახლოესი ადამიანები არიან. ეს ადამიანები მე უბნებიან სიმართლეს, მხედავენ ნამდვილს, დალოდს, მოწყენილს, ზოგჯერ დეპრესიულს, იშვიათად ნამტირალეცაც კი. მოკლედ, მიცნობენ ისეთს, როგორც ვარ რეალურ ცხოვრებაში და ვუყვარვარ ისეთი, როგორიც ვარ. ჩემი წარმატება მათი წარმატებაა და პირიქით. ერთმანეთის ცხოვრების ნაწილები გახდით, ამდენად, მათ გვერდით დასვენება ჩემთვის კომფორტია.

- წელს სად დაისვენეთ?

- ეგვიპტეში ვიყავით, ხურგადში. ხშირად ვისვენებთ ხოლმე იქ. ერთი ამოჩემებული სასტუმრო გვაქვს, სადაც ყოველ წელს ჩავდივართ. იქ უკვე ყველა გვიცნობს.

- რა არის იქაურობის განსაკუთრებული ნიბლი?

- იქაურობის განსაკუთრებული ნიბლი არის ის, რომ ჩვენ ერთად ვართ და არ ვმუშაობთ. ეს არის ერთადერთი კვირა წელიწადში, როცა თავს უფლებას ვაძლევთ არ ვიფიქროთ და რაც მთავარია, არ ვილაპარაკოთ საქმეზე.

- გამოგდით?

- კი. აეროპორტში ვთანხმდებით ყველა, რომ საქმეზე არ ვილაპარაკოთ.

„ახლა საქართველოში არ არის ის სიტუაცია, როცა უნდა იფიქრო მხოლოდ რეიტინგზე და მხოლოდ სიყვითლეზე“



„- კარიერა არჩია სიყვარულს? - არა, ჩემი ცხოვრება პარჩიე, სხვის ცხოვრებას“

„ვცდილობ, ყოველ წელს რაღაც შევცვალო ჩემს ვიზუალში“

კებით და გარედან ვინც გვიყურებს, ვერ მიხვდება რა პროფესიის ვართ და რა გვაკავშირებს ერთმანეთთან.

- როგორ ერთობით ხოლმე იქ?

- მე ცოტა პენსიონერით ვისვენებ. დილით ადრე ვიღვიძებ, ვცურავ, მერე ვიძინებ და მერე ისევ ბევრს ვცურავ. ჩემი მეგობრები და კოლეგები უფრო აქტიური დასვენების მომხრე არიან, თავისი გართობებით, დისკოტეკებით და სასამლეოთ. დღეში ერთ კილომეტრს რომ გაცურავ, ჩემთვის ეს ბევრია და ღამითაც ადრე მეძინება. ასე რომ, ცოტა მოსაწყენი პარტნიორი ვარ დასვენებისთვის.

- დაბრუნდი და შენ ახალ იმიჯზე მთელი თბილისი ალაპარაკდა...

- ეს ძალიან მასარებს. მაღლობა მინდა ვუთხრა ყველას, ვისაც ჩემი ხეული თმა მოეწონა. მხოლოდ ვარცხნილობა შევიცვალე. ძალიან მომწონდა ხეული თმა და სულ მინდოდა ხეული თმა მექონოდა არაეკრანული იმიჯში. რომ დავიხვიე, ისე მომეწონა და გამოხმაურებაც ისეთი იყო, გადავწყვიტე ეკრანზეც დავიტოვო ეს ვარცხნილობა.

- მეტი არაფერი შეიცვალა?

- წარბის ფორმა მაქვს შეცვლილი, სხვა არაფერი. 13 წლის წინ კეხი მოვიშორე ცხვირზე. ახლა დასვენებული და გარუჯული ვარ, ეს არის და ეს. საერთოდ, მიყვარს ცვლილებები იმიჯში. წლების განმავლობაში ერთსა და იგივე ადამიანს უყურო ეკრანზე, იგივე იმიჯით, ძალიან მოსაწყენია. ამიტომ ვცდილობ ყოველ წელს რაღაც შევცვალო ჩემს ვიზუალში. ერთადერთი, რაც არ იცვლება ჩემს იმიჯში, არის ავთანდილ ცქვიტინიძე. ოც წელიწადზე მეტია, რაც ჩვენ ერთმანეთს ვიცნობთ და ერთად ვმუშაობთ.

მანვანელებით!
☎ 596 300 300

**შეცვადე სახურავი
თვეში 49 ლარიდან!**

თბილისი, რ. აბლაძის №45;
ბათუმი, ვ. ბაგრატიონის №105ბ

www.NOVA.ge
info@NOVA.ge

ISO 9001-2008

NOVA

„ქველი „პროფილი“ აღარ იარსებებს“

„ქვეყანაში ისეთი პროცესები ხდება, აღამიანი, რომელიც პროფესიით ჟურნალისტი, ასეთ დროს არ უნდა გარეშდეს“

EXCLUSIVE

„მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოდან წასულიყო, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავრჩენილიყავი იქ, სადაც არის ჩემი საქმი. დღემდე ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე“

რატომ დაითავრდა ტელენაამყვანის რვაწლიანი რომანი

- როგორი იქნება „პროფილის“ ახალი სეზონი, რას ვპირდები შენ მაყურებელს?

- ძველი „პროფილი“ აღარ იარსებებს. ამ სეზონზე ჩვენ ვინცერთ ახალ გადაცემას, რომელსაც ძველთან არაფერი საერთო არ ექნება გარდა სახელისა. ფორმატიც კი იცვლება, იცვლება თემატიკა. იქნება სუპერატრუალური, ძალიან რეზონანსული და საჭირო. ამ სეზონზე ჩვენ არ გვეყოფილება სტუმრად შოუბიზნესის ვარსკვლავები.

- სოციალურ თემებზე გადაიხარება?

- ყველაფერს არ ვიტყვი. ვფიქრობ, რომ ასეთი გადაცემის გაკეთება ახლა ძალიან საჭიროა. ქვეყანაში ისეთი პროცესები ხდება, აღამიანი, რომელიც პროფესიით ჟურნალისტი, ასეთ დროს არ უნდა გარეშდეს.

- პოლიტიკურ თემატიკაზე ხომ არ აკეთებ?

- პროფილი აღარ იქნება ვარსკვლავური და ყვითელი. ჩვენ გვაქვს არხი, „მარაო“, სადაც დიდი ასპარეზო იმისთვის, რომ შოუბიზნესურ ამებზე და სიყვითლეზე ვისაუბროთ.

- არ ფიქრობ, რომ თემატიკის შეცვლა გადაცემის რეიტინგზე იმოქმედებს?

- რვა წლის განმავლობაში „პროფილი“ იყო და არის ყველაზე რეიტინგული არაპოლიტიკური ქართული თემატიკა. არ მემიზნა. ვთვლი, რომ განახლება აუცილებელია. ახლა საქართველოში არ არის ის სიტუაცია, როცა უნდა იფიქრო მხოლოდ რეიტინგზე და მხოლოდ სიყვითლეზე.

- ამ ხნის განმავლობაში სწორედ ყვითელ თემებზე „ნადირობდი“. თავად რომ შეგიყვარდება ისე, რომ თეთრი კაბის ჩაცმაზეც არ იტყვი უარს, ჩვენც „ვინადირობთ“ შენი სიყვარულის ისტორიის მოპოვებაზე. მოყვებო, საჯაროდ ვინ და როგორ შეგიყვარდა?

- ამაზე მიფიქრია და ყოველ წელს განსხვავებული აზრი მქონდა. ისიც მიფიქრია, რომ თუ ვინმეს მოეყვებოდი პრესაში, ეს „პრაიმტიმინი“ იქნებოდა. მაშინ ვფიქრობდი, რომ ჩემი ცხოვრების ასეთი მნიშვნელოვანი ამბის აფიშირება შეცდომა არ იქნებოდა. მე ვარ აღამიანი, რომელიც გადაცემაში ხშირად სხვის სიყვარულზე საუბრობს, რესპონდენტებს მათი სიყვარულის ისტორიის მოყოლას სთხოვს. ამიტომ ჩემი მხრიდან, ცოტა უხერხულია, მაგრამ ახლა დარწმუნებული ვარ, რომ როცა ჩემს ცხოვრებაში ასეთი მნიშვნელოვანი ეტაპი დადგება, ამაზე ხმამაღლა არ ვილაპარაკებ. ძალიან მძიმეა როცა ტელექალი გყავს გვერდით. ყველა ჩემი გადაცემის სტუმარ მამაკაცს მადლობა მინდა ვუთხრა იმისთვის, რომ ასეთ თემებზე მოდიოდნენ და გახსნილად ყვებოდნენ თავისი სიყვარულის ამბებს.

- და როგორ გგონია, ჟურნალისტი დაინტერესდება?

- ალბათ, მომინებს ამაზე საუბარი და

უნდა მოვემზადო ამისთვის. უხერხულია ჩემი მხრიდან ამის თქმა, მაგრამ ვთვლი, რომ საჯაროობა, მით უმეტეს ქვეყანაში, სადაც რატომღაც საზოგადოებას არ უხარია სხვისი კარგი, არ არის მომგებიანი. ჩვენს ქვეყანაში კარგი აღამიანი ხარ მაშინ, როცა რაღაც პრობლემა გაქვს და ვილაპარაკებ. გრძობებისა და

გატყუეთ. ახლა ვარ გულწრფელი, ახლა ნამდვილად არ ვცრუობ, შეყვარებული არ ვარ. მაშინ ვიყავი შეყვარებული, მაგრამ არ მინდოდა ამაზე საუბარი და ვიცრუე.

- რატომ დამთავრდა?

- არის ამბები, რომელიც ადრე თუ გვიან მთავრდება. ეს იყო სქელტანიანი ნიგნი, რომელიც ადრე თუ გვიან უნდა დახურულიყო და დაეხურე.

- ნაკითხვა მაინც მოასწარი?

- კი. დიდხანს, წლების განმავლობაში გრძელდებოდა ჩვენი ურთიერთობა... როცა მისვამენ კითხვას, რატომ ვარ შეცვლილი ვიზუალურად, ამის დამსახურებაც არის. ახლა უფრო მომწონს სარკეში საკუთარი თავი. არის ისტორიები ცხოვრებაში, რომელიც უნდა დამთავრდეს. და როცა მთავრდება, აღმოაჩენ, რომ ახლა ბევრად კარგად ხარ, ვიდრე მაშინ, როცა ეს ამბავი ხდებოდა.

- მე პირიქით ვიცოდი, რომ სიყვარული ახლებიერებს და ალაამაზებს...?

- კი, ასეა... აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. ერთს დავამატებ მხოლოდ, რვა წელიწადი ვიყავით ერთად.

- და მაინც, რატომ დამორღო?

- მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოდან წასულიყო, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავრჩენილიყავი იქ, სადაც არის ჩემი საქმი. დღემდე ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე.

- კარიერა არჩიე სიყვარულს?

- არა, ჩემი ცხოვრება ვა-

რჩი, სხვის ცხოვრებას.
- ხშირად არა, მაგრამ ზოგჯერ ვრცელდება სოლემე ქორები შენს პირადზე...

- და არასდროს არ ვრცელდება იმ აღამიანებზე, ვისზეც შეყვარებული ვყოფილვარ. ძირითადად იმ აღამიანებთან მანყილედნენ ხოლმე, რომლებსაც კარგად არც ვიცნობდი, ან ბავშვობის მეგობრებზე. ვერაფრით მივეჩვიე, რომ ამან ნერვები არ მომიშალოს და არ გამაბრაზოს. დღემდე განვიცდი მსგავს სულელურ ქორებს.

- ამჯერად შენ პროდიუსერთან, ნიკა ხაჩიძესთან დაგანვივლეს.

- ეს სასაცილოც არ არის. ჩვენი ზაფხულის ფოტოს მოპყვა ეს ქორი. ხომ ვიამბეთ, ხურგადამი რვანი ვისვენებდით, მთელი „პროფილის“ გუნდი. ინტერნეტში მაინცდამაინც ის ფოტო გავრცელდა, სადაც მარტო მე და ნიკოლოზი ვჩანვართ. ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ნიკა „პროფილის“ პროდიუსერია, შესაბამისად, მასთან მხოლოდ სამსახური და მეგობრობა მაკავშირებს, ისევე როგორც ჩვენი გუნდის სხვა წევრებთან.

- დაბოლოს, როგორ გგონია, „პროფილის“ ახალი სეზონი, მიცემს ჩასაფრებულ მაყურებელს იმის საბაბს, რომ კვლავ გესროლოს ტალახი“?

- თუ არავინ განიხილავს შენ გადაცემას, ეს იმას ნიშნავს, რომ დაამთავრე შენი კარიერა. ჩვენი საზოგადოება სასტიკია, უყვარს ამოჩემება ერთი აღამიანის, ერთი თემის. იოლია როცა ასე კაცი ერთი აღამიანს ურტყამს, თუნდაც სიტყვიერად. მოუშვადელი არასდროს ვინც სეზონს, ვეშვადები ფსიქოლოგიურადაც. ჩემი ჟურნალისტური კარიერის ოცდამეცამე წელი სრულდება, 38 წლის ვარ, აღარაფერი მაოცებს. ყველაფერი სთვის მზად ვარ. ჩვენ ვიყვავებით და გათენდება თუ არა ერთად ვნახავთ. აუცილებლად იქნებან ადამიანები, ვისაც ჩვენი ყვილი ძალიან მწარედ მოხვდება გულზე და იქნებან ისეთებიც, ვინც საკუთარ თავს გამოუტყდება იმაში, მე რატომ არ მომაფიქრდა ამის გაკეთება და ამის გამო გავგლანძღავენ.



„როცა ეს კითხვა დაიხსნა, მე მოგატყუეთ“

მამუკა კვარაცხელია - უშანსოდ

მამუკა კვარაცხელია

მამუკა კვარაცხელია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებში, უკვე ზედიზედ მესამედ იღებს მონაწილეობას. ის პირველი იყო, რომელმაც თავის კანდიდატურა ოფიციალურად დაარეგისტრირა პრეზიდენტის პოსტზე, თავად კვარაცხელია კი საფეხბურთო კლუბმა „გაგრაში“ წარადგინა. რატომ იღებს ისევ არჩევნებში მონაწილეობას, რა შანსები აქვს და რას აპირებს გაპრეზიდენტების შემთხვევაში, პირველად, „პრაიმტაიმში“, ინტერვიუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატ მამუკა კვარაცხელიასთან.

- რატომ გინდათ პრეზიდენტობა?

- ქართული ფეხბურთის გადარჩენა მინდა ძალიან!

- ზედიზედ მესამე არჩევნებში იღებთ მონაწილეობას. ყოველ არჩევნებზე განსხვავებული სიტუაციაა. წელსაც, შეიძლება ითქვას, რომ უშანსოდ ხართ, რატომ იღებთ მონაწილეობას?

2007 წელს არჩევნები არ იყო. ეს იყო დანიშნულები იმედი მაქვს, ეს მესამე ნამდვილად არჩევნები იქნება და ღირსეული გამარჯვებას. რაც შეეხება უშანსობას, უშანსოდ მე არ ვარ, უშანსოდ ქართული ფეხბურთია. ამ 25 წლის განმავლობაში ვერ ვნახე ადამიანი, რომელსაც ჩემზე მეტად უყვარს ქართული ფეხბურთი, ჩემზე მეტად შესტკივა გული და მზად არის, ყველაფერი გაიღოს ქართული ფეხბურთისთვის. მე, ფაქტობრივად, ყველაფერი გავიღე ქართული ფეხბურთისთვის. მოვიმდ-

გაიღოს ქართული ფეხბურთისთვის. მე, ფაქტობრივად, ყველაფერი გავიღე ქართული ფეხბურთისთვის. მოვიმდ-



„ჩემი შანსია წესიერი, ჰატიოსანი ამომრჩეველი, რომელიც ქართულ ფეხბურთს დაუჭერს მხარს“

ურე ხალხი, სიმართლეს პირში ვეუბნები ყველას, მაგრამ ხალხს, ვისაც ვხვდები, როგორც ვალერი ჩოლარია ამბობდა, საკუთარი თავი უყვართ

ასე უნდა მკითხონ, რა შანსები გაქვსო. ვეუბნები: ჩემი შანსი შენ ხარ, მოისმინე ჩემი პროგრამა, სხვისი და შეაფასე, ნახე, ვინ რას გააკეთებს. ეს

რომ ხმის უფლება მოიპოვონ. მათ მაგივრადც კი დაწერილი მაქვს განცხადებები და როგორც გადავამოწმე - ბევრმა უკვე შეიტანა. მაძლობა ღმერთს, გამოსაფხიზლებელი რალაც გავაკეთე, გურულები მივიდნენ და თავიანთი პოზიცია დააფიქსირეს ადგილობრივ ფედერაციაში. კარგია, რომ „ზესტაფონს“ აღუდგინეს ხმის უფლება და პატარა წვლილი ჩემიც არის. ვიმეორებ, კანონიერად სავსებით შესაძლებელია ფეხბურთის ფედერაციის მოქმედი ხელისუფლების დამარცხება.

- ასხენეთ, საქართველოში კლუბების უმეტესობამ არ იცის, რისი უფლება აქვთ, რა წერია წესდებაში. მიუხედავად ამისა, ახლა რატომ გახდა აქტუალური ხმების მინიჭებაზე საუბარი, აქამდე სად იყვნენ?

- მე გავხადე აქტუალური. საფეხბურთო ინტელექტი გვაკლია! როგორ შეიძლება მოქმედი წესდება არ იცოდეთ? კლუბებსა და დელეგატებზე ვსაუბრობ, როგორ შეიძლება თამაშობდე ჩემპიონატში და დეზულეა არ იცოდეთ. პირდაპირ გეუბნებით, ბევრმა, ჩემი პრესკონფერენციის შემდეგ ნაიკითხა დეზულეა და აღმოჩინა ძალიან საინტერესო მომენტები და განცხადებები შეიტანეს. ყველაფერს გავაკეთებ, რომ ამ სუბიექტებმა მიიღონ ხმის უფლება. არ ვიცი, იღებენ კობიაშვილი წამოაყენებს თუ არა კანდიდატურას, ალბათ, ერთიანი ძალებით შევებრძოლებით, თუ შეიძლება ეს სიტყვა ვიხმარო, იმ უკანონობას და წონსენსს, რაც ქართულ ფეხბურთში სუფევს. წონსენსში ვგულისხმობ

„ეს არის კანონიერი აქტიურობა გუნდებისა, რომ ხმის უფლება მოიპოვონ“



ფეხბურთში და არა ფეხბურთით, მართლა ასეა. ყველაზე კარგი ლანჩხუთის „გურისა“ მაგალითია. რეალურად რომ იყაროს კენჭი მერაბ ჟორდანიამ, ჩემი კონკურენტი უნდა იყოს და არ უნდა ვამბობდე კონკურენტზე, მაგრამ... ხაზს ვუსვამ, შევარცხვინე გურიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები, რომლებიც ხმას აძლევდნენ არა მერაბ ჟორდანიას, არამედ რევაზ არველაძეს, მოქმედ ხელისუფლებას. მართო იმიტომ არა, რომ მოქმედი ხელისუფლება კრიტიკას იმსახურებს და ძალიან ცუდ დღეში ჩავარდა მათ გამო ქართული ფეხბურთი, იმიტომ, რომ მერაბ ჟორდანიას არის ლანჩხუთის „გურისა“ აღზრდილი, ბევრი გაუკეთებია გურიის ფეხბურთისთვის და თუ სადმე ლანჩხუთში საფეხბურთო ვარსკვლავი დაბადებულა, ერთ-ერთი არის მერაბ ჟორდანიას. რაც შეეხება შანსებს, კიდევ ერთხელ გავიმეორებ. უშანსოდ არ ვარ მე, უშანსოდ ქართული ფეხბურთია. როცა ვეკითხები რამდენიმე ხმის მიცემ სუბიექტს, იმას კი არ მეკითხებიან, რა პროგრამა მაქვს, რას აპირებ, ლოგიკურად ხომ

არის ჩემი შანსი. ჩემი შანსია წესიერი, ჰატიოსანი ამომრჩეველი, რომელიც ქართულ ფეხბურთს დაუჭერს მხარს.

- გყავს წესიერი და ჰატიოსანი ამომრჩეველები?

- კარგი კითხვაა და მაგის გარკვევა თქვენთვის მომინდა.

- სფფ-ს პრეზიდენტს 35 სუბიექტი ირჩევს. რამდენად მისაღებია, ქართული ფეხბურთის ბედს 35 კაცი წყვეტდეს?

- პრესკონფერენციაზე გავასაჯაროვე ინფორმაცია. დანია პატარა ქვეყანაა და იქ 146 დელეგატი იღებს არჩევნებში მონაწილეობას, 188 - მოლდოვაში, 140 - ისლანდიაში, 250 - ნორვეგიაში, 70 - ჩვენს მეზობელ სომხეთში და ა.შ. წონსენსია. ეს სპეციალურად არის გაკეთებული იმისთვის, რომ ფედერაციის რჩეულმა მოიგოს არჩევნები, ყველაზე საინტერესო ისაა, ფედერაციის მესვეურებმა, დელეგატების დიდმა უმრავლესობამ, საფეხბურთო სამყაროს დიდმა ნაწილმა, არ იციან ფეხბურთის ფედერაციის წესდება. ნაკითხულიც კი არ აქვთ, რისი დემონსტრირებაც მქონდა პრესკონფერენციაზე. აღმოვაჩინე პუნქტები, რითაც შეიძლება მოქმედი ხელისუფლების დამარცხება. ეს არის კანონიერი აქტიურობა გუნდებისა,

იმას, რომ ეროვნულ ჩემპიონატში, უმაღლეს ლიგაში მონაწილეობს 7 გუნდი, რომლებიც სფფ-ს წევრები არ არიან. „ჩიზურა“ საქართველოს სუპერთასის მფლობელი გახდა, ბათუმის „დინამომ“ აგერ გუმინნი იასპარეზა ევროსარბილზე. წარმოიდგინეთ, რა ხდება. მე გავხადე ეს თემა აქტუალური. როგორც აღმოჩნდა - სხვებზე მეტად წიგნიერი ვარ და თამაშად შემიძლია ვთქვა და სხვებზე მეტად მიყვარს ფეხბურთი. არც მთავრობის ფავორიტი ვარ, არც ფედერაციის, ჩემი თავის და ქართული ფეხბურთის ფავორიტი ვარ. ვეუბნები, გავაკეთებ ამას და ამას, ისინი კი შანსებზე მეტაპარაკებინან. ქართულ ფეხბურთს შანსი მანამდე არ ექნება, სანამ პირველი კითხვა ის იქნება, იმას თუ უთხარიო და ზემოთ გაიშვრენ თითს... არ მოგებზრდათ ამ ტყლაპოში ყოფნა? მოდით, საფეხბურთო სამყარომ ავირჩიოთ ის, ვინც ღირსია, ვინც კარგ პროგრამას წარმოადგენს. მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება, ვინ უჭერს მხარს. მე რომ გავხადე პრეზიდენტი, არ დამიჭერს მხარს სახელმწიფო, არ განახორციელებს იმ პროექტებს? ხაზი გაუსვით, გაბედოს პარლამენტმა, გაბედოს სახელმწიფო სტრუქტურებმა და იმ პრ-

„არც მთავრობის ფავორიტი ვარ, არც ფედერაციის, ჩემი თავის და ქართული ფეხბურთის ფავორიტი ვარ“



მე არ ვარ, ქართული ფეხბურთია

„ამ 25 წლის განმავლობაში ვერ ვნახე ადამიანი, რომელსაც ჩემზე მეტად უყვარს ქართული ფეხბურთი, ჩემზე მეტად შესტკივს გული და მზად არის, ყველაფერი გაიღოს ქართული ფეხბურთისთვის“



„შევარცხვინე გურიის ფეხბურთის ფედერაციის მესვეურები, რომლებიც ხმას აძლევენ არა მერაბ ჟორდანიას, არამედ რევაზ არველაძეს, მოქმედ ხელისუფლებას“

EXCLUSIVE

ოქტს, რომელსაც საფეხბურთო სამყარო აირჩევს, არ მისცეს ქართულ ფეხბურთს, ის, რაც ეკუთვნის და გარეგნობა, ვინ ვინ არის საქართველოში!!! ასე ეგონათ საბჭოთა კავშირში ძალიან კარგად მჯდარ ჩინოვიკებს, რომ ვერ გამოვეყოფოდით და გამო-

ძეს და თამარ დოლიძეს არ იცნობს, ბევრი დაუკარგავს! ბრწყინვალე ძმები ჰყავს, თვითონაც კარგი ფეხბურთელი იყო. ახლა, რეზო არველაძეს ეძლევა შანსი, რომ გახდეს ლირსეულზე ლირსეული კანდიდატი და თუკი იმ მომენტებს გაითვალისწინებს, რაც

„იმას თუ უთხარი და ზემოთ გაიშვებოდა თითოს...“

ვეყავით! მას მერე რომ არ დაშვებულ იყო შეცდომები, დღეს ასეთ დღეში არ ვიქნებოდით!
- როდესაც ზვიად სიჭინავს ჰკითხეს, გაიზრდებოდა თუ არა ხმის მიცემი სუბიექტების რაოდენობა, პასუხი იყო არა. შესაცვლელია თუ არა რეგლამენტი?
- რა თქმა უნდა, აუცილებლად შესაცვლელია და რამდენიმე წამის წინ დავასაბუთებ კიდევ. არ შეიძლება გუნდი არ იყოს შენი წევრი და თამაშობდეს შენს ჩემპიონატში. რეგლამენტი უნდა გავალდებულებდეს, რომ მხოლოდ შენი წევრი მონაწილეობდეს ჩემპიონატში. როდესაც პრეზიდენტი გახდება, აუცილებლად შევიტან ამ ცვლილებას.
- ლირსეული კანდიდატი ახსენეთ, ვინ არის ლირსეული კანდიდატი?
- ოთხი კანდიდატი გამოიკვეთა და ოთხივე ლირსეულია.
- რეზო არველაძეც ლირსეულია?
- რა თქმა უნდა! ვინც კიჭა არველა-

ძეს და თამარ დოლიძეს არ იცნობს, ბევრი დაუკარგავს! ბრწყინვალე ძმები ჰყავს, თვითონაც კარგი ფეხბურთელი იყო. ახლა, რეზო არველაძეს ეძლევა შანსი, რომ გახდეს ლირსეულზე ლირსეული კანდიდატი და თუკი იმ მომენტებს გაითვალისწინებს, რაც
- ხშირად გვესმის, რომ კობიაშვილი სახელმწიფოს ფაქტობრივად, თუმცა ისიც გვესმის, რომ არველაძეს გამარჯვება გარანტირებული აქვს...
- პირობას გაძლევთ, რომ გამარჯვება არავის არ აქვს გარანტირებული. ვერავინ განაღდებს გამარჯვებას. ბოლომდე კანონიერად ვიბრძოლებ იმისთვის, რომ გაიზარდოს დელეგატთა რიცხვი, არ მოხდეს სახელმწიფო ჩარევა. ამ შემთხვევაში ყველას გამარჯვების თანაბარი შანსი ექნება.
- ნელ-ნელა ნათელი ხდება, რომ საარჩევნო სუბიექტების უმეტესობა დელეგატებად ფედერაციის თანაშრომლებს ნიშნავს. ამის ფო-



„კანონიერად სავსებით შესაძლებელია ფედერაციის მოქმედი ხელისუფლების დაბარცხება“


ნზე, ხდება თუ არა აუცილებელი სახელმწიფოს ჩარევა?
- არა, გამოირიცხებოდა. კატეგორიულად დაუშვებელია.
- მაშინ, ხომ არ გამოდის, რომ არველაძე გახდება პრეზიდენტი?
- ვერ გახდება, თუკი 70-მდე გაიზრდება დელეგატების რაოდენობა. ვინ აირჩია იმერეთის რეგიონმა დელეგატად? - სფფ-ს მწვრთნელი ოთარ კორლაიძე. იმერეთის რეგიონში კი არიან „ტორპედო“, „ზესტაფონი“, „სამტრედია“, რომლებიც მხარს არველაძეს არ უჭერენ, სამი საუკეთესო კლუბი. ფედერაცია ერთია, კლუბი მეტი, თუკი რაოდენობა გაიზრდება, ვის მხარეს იქნება უპირატესობა?
- რომ არ მიიღოს ფედერაციამ ეს გადაწყვეტილება და არ გაზარდოს სუბიექტების რაოდენობა?
- გადაწყვეტილებას ჩვენ მივალდებინებთ ნებსებიდან გამომდინარე! მე მივალ გუნდებთან. თუ ჩემი აზრი გაინტერესებს, სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს! გუნდებმა შეიტანეს განცხადებები და კანონიერად მოვიპოვეთ ხმის უფლებას. თუ ფედერაციის კანდიდატის კონკურენტებმა ვერ მოვახერხეთ ის, რომ შეიდი ხმა, რომელსაც ფედერაციის რიგგარეშე არჩევნების მოთხოვნის უფლება აქვს, ვერ მოვიპოვეთ, არაფრის ღირსები არ ვყოფილვართ მაშინ!!!
- მიდის ამაზე მოლაპარაკებები?
- ამას კომენტარის გარეშე დავტოვებ.
- სპორტის მინისტრმა განაცხადა, რომ ახალი სისტემით დაფინანსებას ვერ მიიღებს პროგრამა, რომელიც მოწონებული არ იქნება. ეს ნიშნავს, რომ თუკი არველაძე მოიგებს, მას სახელმწიფო არ დააფინანსებს?
- ჯერ არ ვიცით, რა პროგრამას

წარადგენს არველაძე. როგორც ვიცი, პირველ სექტემბერს აქვს პრეზენტაცია. მე დიდი ყურადღებით მოვუსმენ, ალბათ დიდი ყურადღებით მოუსმენს სპორტის მინისტრიც, რომელიც, ჩემი თვალთახედვით, სპორტის საუკეთესო მინისტრია, რაც აქამდე გეყოლია. თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ერთადერთი კაცია, რომელმაც ქონების გადასახადი შეამცირა და ფაქტობრივად გადაარჩინა ქართული სტადიონები!
- ილია კოკიაშვილმა განაცხადა, რომ ყველას მოუსმენს, მაგრამ აინტერესებს, ვინ მოიყვანს სპონსორებს, თქვენ მოიყვანთ?
- პირდაპირ გეუბნებით, მე მომყავს მინიმუმ ათი სპონსორი! იაპონელი სამურაივით - ჩემი თითებით ვაგებ პასუხს!
- ერთი მაინც ვითხარით...
- ჩემი პროგრამით, ფეხბურთი გახდება ბიზნესი და სპონსორები თვითონ ჩადგებიან რიგში ფედერაციაში! ფეხბურთი ძალიან მიმზიდველი გახდება და „ვიისოლს“ და ფხაკაძეებსაც დავაბრუნებ ფეხბურთში! ძალით არ შეიძლება სპონსორის მოყვანა!!! მე თუ ათი სპონსორი არ მოვიყვანე, მაშინ, პირობას გაძლევთ, 6 თვეში, მოვიწვევ ყრილობას და გადავდგები!

**მამუკა
 კვარაცხელია
 - უმანსოდ
 მე არ ვარ,
 ქართული
 ფეხბურთია**



**ლევან ხურციან
 და მარიამ
 კუბლაშვილი
 დაქორწინდნენ**



**ექსკლუზიური
 ინტერვიუ
 ნვილთან**

exclusive


**როდის ჰქონდა
 ყვავილები ბიზნესი
 ბია ნიკოლაძეს**



**„რასაც მიხდოდა
 მაინც იმას
 ვაკეთებდი. მე
 უფრო ვიყავი
 მამინაცვალისთვის
 დისკომფორტი“**

exclusive

ISSN 1987-7404



9 771987 740005

შპს „ანსავალ-დასავალის სტამბა“

exclusive



„მან მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველოდან წასულიყო, მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ დავრჩენილიყავი იქ, სადაც არის ჩემი საქმე. დღემდე ვთვლი, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღე“

**რატომ
 დამთავრდა
 ტელენოველას
 რეჟისორი
 რომანი** **exclusive**

**მან ასათიანი: -
 ძველი „პროფილი“
 აღარ იარსებებს“**